CMYK - 1

www.24saati.ge

# 24 საათი

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი 9 დეკემბერი, 2008 წელი. №275 (2019) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

აქსისი
სიმართლე აქსისის შესახებ A3

ოპერაცია "ატალანტა" A8



კვირის წიგნები A9




პირველი არხი - თქვენი განწყობისთვის A10




24 საათი
"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
BORJOMI ბორჯომი
GRDC group
ჯი პი აი ვენის სადაზღვევო ჯგუფი

# პრინციპული ობამა და იმედგაცრუებული რუსეთი

დიმიტრი ავალიანი

*აშშ-ს ახალარჩეულმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ არჩევის შემდეგ პირველად ისაუბრა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის თემაზე და აღნიშნა, რომ რუსეთის ქმედებები საერთაშორისო ნორმებს ეწინააღმდეგება. როგორც აშშ-ს მოქმედი სახელმწიფო მდივნის თანაშემწე, თავის მხრივ, აცხადებს, რუსეთის ახალი ინიციატივა ევროპაში უსაფრთხოების შესახებ, აშშ-მ და ევროპის ქვეყნებმა იმის გამოც უარყვეს, რომ მოსკოვს სამშვიდობო შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები არ შეუსრულებია. აგვისტოს ომზე პასუხისმგებლობას ვაშინგტონი კვლავ მოსკოვს აკისრებს.*

ტელეარხ "ენ-ბი-სი"-სთვის მიცემულ ინტერვიუში აშშ-რუსეთის ურთიერთობებზე საუბრისას ბარაკ ობამამ აღნიშნა, რომ **"როცა საუბარია საქართველოსა და უახლოესი მეზობლების დაშინებაზე, ვფიქრობ, რუსეთის მოქმედებები საერთაშორისო ნორმებს ეწინააღმდეგება."**

**"ჩვენ რუსეთთან თანამშრომლობა გვსურს იმ სფეროებში, სადაც ეს შესაძლებელია, მაგრამ ჩვენ გვინდა, რუსეთს გავუგზავნოთ სიგნალი იმის შესახებ, რომ მეზობელ სახელმწიფოებთან ასე მოქცევა არ შეიძლება,"** - განაცხადა აშშ-ს არჩეულმა პრეზიდენტმა.

იმავდროულად, ობამამ აღნიშნა, რომ აშშ-თვის **"რუსეთთან ურთიერთობების აღდგენა მნიშვნელოვანია"** და ისიც დასძინა, რომ რუსეთმა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვან ეკონომიკურ პროგრესს მიაღწია, **"რაშიც მას ნავთობზე მაღალი ფასები დაეხმარა."**

საქართველოს პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ დავით დარჩიაშვილმა "24 საათთან" საუბრისას ბარაკ ომაბას განცხადებას **"ადეკვატური და პრინციპული"** უწოდა.

გაგრძელება A3 გვერდზე



AFP' 2008

# ახალი ალიანსი ლიდერის მოლოდინში

ვერიკო თევზაძე

*"რესპუბლიკელების" და "ახალი მემარჯვენეების" აქტიურ კონსულტაციებს რეალური შედეგი მოჰყვა - გუშინ ამ ორი პარტიის ალიანსი ოფიციალურად გაფორმდა. ალიანსის ლიდერის საკითხი, დაახლოებით, ერთ თვეში გაირკვევა. კულუარებში ასეთ ფიგურად ირაკლი ალასანიას განიხილავენ.*

როგორც "მემარჯვენეების" ლიდერმა დავით გამყრელიძემ მედიის წარმომადგენლებს განუცხადა, მათი გაერთიანების მთავარი მიზეზი ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა გახდა. **"ალიანსი,** - შენიშნავს გამყრელიძე, **- ხელისუფლების ალტერნატივად უნდა იქცეს. საჭიროა, რომ უმოკლეს ვადაში საქართველოში გაჩნდეს რეალური დემოკრატიული ალტერნატივა. ის ალტერნატივა, რომელიც პასუხს გასცემს ძალიან მარტივ კითხვას - თუ არა ეს ხელისუფლება, თუ არა მიხეილ სააკაშვილი, მაშინ ვინ და რა ძალა დაძლევს შექმნილ პრობლემას?"**

გაგრძელება A2 გვერდზე



ხათია ჯანდიერის ფოტო

CMYK - 1

## ორი სიტყვით

**თბილისი**. საქართველოს დღეს სამუშაო ვიზიტით სომხეთის პრემიერ-მინისტრი ტიგრან სარქსიანი ეწვევა. **ინტერპრესნიუსი**

**თბილისი.** სახმელეთო ძალებისა და სამხედრო საჰაერო ძალების სარდლების თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების პრეროგატივა საქართველოს პრეზიდენტს ენიჭება. **ინტერპრესნიუსი**

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, დავით ბაქრაძე სამდღიანი სამუშაო ვიზიტით ვაშინგტონში გაემგზავრა. **ჯი-ეიჩ-ენი**

**თბილისი.** "ლეიბორისტები" სემეკ-ს "ყაზტრანსგაზ-თბილისის" დაჯარიმებას სთხოვენ, რადგან კომპანია თბილისის მოსახლეობას თანხას უკანონოდ ახდევინებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

**თბილისი.** გარე მოვაჭრეთა პროფესიულმა ლიგამ (პროფკავშირი) თბილისის მერიის შენობასთან (სააკაძის მოედანზე) საპროტესტო აქციას გამართა. **ჯი-ეიჩ-ენი**

**გურჯაანი.** გურჯაანის მუნიციპალიტეტის ახალი გამგებლის გიორგი ჩივიაშვილის დავალებით, გამგეობის ყველა თანამშრომელმა სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადება დაწერა. **ჯი-ეიჩ-ენი**

**ზუგდიდი.** 8 დეკემბერს სოფელ განმუხურში მცხოვრებმა დევნილებმა ზუგდიდის ცენტრში გამგეობის შენობასთან საპროტეტსო აქცია გამართეს. მათი განცხადებით, შვეიცარიის განვითარების ფონდმა ერთჯერადი ჰუმანიტარული დახმარება, 700 ლარის ოდენობით, არასამართლიანად გაანაწილა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## გრიგოლ ვაშაძე გააკრიტიკეს

გრიგოლ ვაშაძემ წარდგენის დღესვე საქართველოს ყველა ელჩს "განცხადებების დაწერისკენ" მოუწოდა, რაც საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ ლაშა ჟვანიამ პოლიტიკურად მიუღებლად შეაფასა.

როგორც ჟვანიამ ჟურნალისტებს განუცხადა, არა მხოლოდ მინისტრები, არამედ ხელისუფლებები იცვლებიან, თუმცა ეს ცვლილებები დიპლომატიურ კორპუსს არ ეხება ხოლმე. მისი თქმით, დღეს საქართველოს ფრონტის ხაზი დიპლომატიურ სამსახურზე გადის და ასეთ ვითარებაში ელჩებს არასტაბილურობის განცდა, თუნდაც ორი დღით, არ უნდა შეექმნათ. გრიგოლ ვაშაძეს ამ გადაწყვეტილების შესახებ კითხვას საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში მიწვევისას აუცილებლად დაუსვამენ.

გრიგოლ ვაშაძემ წარდგენის დღესვე განცხადებების დაწერა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეებსაც სთხოვა, თუმცა, კანონის მიხედვით, მინისტრის უფლებამოსილების შეწყვეტისას მინისტრის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს უფლებამოსილება ახალი მინისტრის დანიშვნისთანავე უწყდებათ. ეს ცვლილება წინა მოწვევის პარლამენტმა მიმდინარე წლის საგაზაფხულო სესიაზე მიიღო. **ინტერპრესნიუსი**

## ახალი ელჩების კანდიდატურები

პრეზიდენტმა პარლამენტს კვიპროსში, უნგრეთსა და სერბეთში, ჩეხეთში და ისრაელში ელჩობის კანდიდატები წარუდგინა. კვიპროსის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩად ვლადიმერ კონსტანტინიდის, უნგრეთსა და სერბეთის რესპუბლიკებში - ზვიად ჭუმბურიძის, ჩეხეთში, ლადო ჭიპაშვილის ნაცვლად - ნინო ნაკაშიძის, ხოლო ისრაელში ვახტანგ ჯაოშვილის კანდიდატურები არის წარდგენილი. მათ პარლამენტი 10 დეკემბრის რიგგარეშე სხდომაზე დაამტკიცებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## დიალოგის აუცილებლობა

საქართველოს ყოფილი ელჩი გაერო-ში ირაკლი ალასანია ქართულ და აფხაზური მხარეებს შორის პირდაპირი დიალოგის აღდგენას ვარაუდობს.

"ღრმად ვარ დარწმუნებული, დადგება დრო, შეიძლება უახლოეს მომავალში, რომ აღდგეს პირდაპირი დიალოგი აფხაზურ საზოგადოებასთან, რაც საფუძველს შექმნის ქართველი და აფხაზი საზოგადოების ერთიან სახელმწიფოში თანაცხოვრებისთვის," - განაცხადა ალასანიამ. ირაკლი ალასნიას თქმით, როდესაც ის პირადად იყო ჩართული კონფლიქტების დარეგულირების პროცესებში, მხარეებს შორის კონსტრუქციული დიალოგი წარმოებდა და ურთიერთობის გაუმჯობესების კუთხით კონკრეტული შედეგებიც იყო. **ჯი-ეიჩ-ენი**

## უმაღლესი რანგის ელჩი

საგარეო ურთიერთობათა საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელი ლაშა ჟვანია დარწმუნებულია, რომ "გაერო-ში ირაკლი ალასანიას მსგავსი წარმომადგენელი საქართველოს დიდი ხნის მანძილზე ვერ ეყოლება." "ირაკლი ალასანია ძალიან ეფექტური, უმაღლესი რანგისა და კვალიფიკაციის მქონე ელჩი იყო და ამასთან, ძალიან პატრიოტი დიპლომატი ამ პოსტზე," - აცხადებს ლაშა ჟვანია. დეპუტატი თავს იკავებს ალასანიას მიერ თანამდებობიდან წასვლის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების კომენტირებისგან და აცხადებს, რომ ამაზე განმარტებები თავად ირაკლი ალასანიამ უნდა გააკეთოს. **პირველი**

# ახალი ალიანსი ლიდერის მოლოდინში

პირველი გვერდიდან

გუშინდელ პრეზენტაციაზე ითქვა, რომ ალიანსის მიზანია, საზოგადოება ცვლილებისთვის მოამზადოს. **"ჩვენი ამოცანები იქნება, უმოკლეს ვადაში საზოგადოება, ქვეყანა მოვამზადოთ ვადამდელი არჩევნებისთვის, უზრუნველვყოთ ხელისუფლების შეცვლა კონსტიტუციური მეთოდებით, არჩევნების გზით და მოვახერხოთ პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის დაძლევა."**

დავით გამყრელიძე და დავით უსუფაშვილი აღნიშნავენ, რომ მათი გაერთიანება ბევრად უფრო მეტია, ვიდრე, უბრალოდ, არჩევნების წინ შექმნილი ალიანსი. ისინი ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის გრძელვადიან გეგმებზე საუბრობენ.

ალიანსი გაფართოებას, კოალიციის ფორმით ჩამოყალიბებასაც აპირებს. **"ჩვენ მზად ვართ დიალოგისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. მზად ვართ ფართო პოლიტიკური კოალიციის ჩამოყალიბებაზე სასაუბროდ ყველა იმ ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალასთან, ვისთანაც მივაღწევთ შეთანხმებას სწორედ ქვეყნის განვითარების გრძელვადიან გეგმაზე,"** - დავით უსუფაშვილის წინასწარი პროგნოზით, დაახლოებით, ერთ თვეში გაიმართება კონსულტაციები ყველა შესაძლო პარტნიორთან. ერთი თვის თავზე საზოგადოების წინაშე უკვე წარდგება კოალიცია კონკრეტული სამოქმედო გეგმით. **"ქართველ ხალხთან ერთად გადავწყვეტთ იმას, თუ ვინ უნდა იყოს ამ ქვეყნის ხელისუფლებაში,"** - აღნიშნა გუშინ "რესპუბლიკური პარტიის" ლიდერმა.

ალიანსის ლიდერის საკითხიც დაახლოებით ერთ თვეში გაირკვევა. "რესპუბლიკელების" და "მემარჯვენეების" ოფიციალური ვერსიით, მიმდინარეობს საუბრები გარკვეულ პოლიტიკურ ძალებთან და პოლიტიკურ ფიგურებთან, მათ შორის გაერო-ში საქართველოს ყოფილ წარმომადგენელ ირაკლი ალასანიასთანაც. თუმცა, საკმაოდ მეტყველი იყო ამ თემაზე დავით გამყრელიძის მიერ გაკეთებული კომენტარი: **"ირაკლი ალასანიას გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება იმის გამო არ მიუღია, რომ დაიღალა და პოლიტიკური საქმიანობისთვის თავის დანებებას აპირებს... მაგრამ სასურველია, თავად მას მოვუსმინოთ და მისგან გავიგოთ, რამდენად აქტიურად აპირებს პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართვას."** დავით გამყრელიძის შეფასებით, ირაკლი ალასანიას აქვს რესურსი, **"იყოს გამოკვეთილი ფიგურა დღევანდელ და ხვალინდელ საქართველოში."**

ვიდრე ოფიციალურად გაირკვევა ლიდერის ვინაობა, ალიანსის წარმომადგენლები შენიშნავენ, რომ მათ აქცენტი აქვთ ძლიერ გუნდზე, რომელსაც "სხვა ტიპის" ლიდერი ეყოლება და არა ისეთი, როგორიც დღემდე არაერთხელ გვიხილავს.

ახალი ოპოზიციური ალიანსის შექმნას სხვა ოპოზიციონერები გამოეხმაურნენ. მიუხედავად იმისა, რომ "მრეწველები" ალიანსში გაერთიანებას არ ჩქარობენ, მას დადებითად აფასებენ. "მრეწველთა" ლიდერ ზურაბ ტყემალაძის თქმით, ალიანსი საკმაოდ სერიოზულ წონას შეიძენს. **"ეს ორი პარტია პროამერიკული, პროგრესული ძალაა, რომლებსაც საკმაოდ სერიოზული, ოპოზიციური და პროგრესული ალიანსის შექმნა შეუძლიათ. ალიანსში ახალი სახეებიც გამოჩნდებიან, თუნდაც - ირაკლი ალასანია,"** - აცხადებს ტყემალაძე.

"მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" ლიდერი ეკა ბესელია "მემარჯვენეებისა" და "რესპუბლიკელების" ალიანსს ქართულ პოლიტიკაში მნიშვნელოვან მოვლენად განიხილავს. ბესელია მომავალში მათთან კონსულტაციებს არ გამორიცხავს.

ერთგვარ სიმკაცრეს იჩენს "კონსერვატორი" კახა კუკავა. მისთვის "მემარჯვენეებისა" და "რესპუბლიკელების" ალიანსი ჯერჯერობით მხოლოდ ორი პარტიის თანამშრომლობაა და აქ ძლიერი პოლიტიკური გაერთიანების ნიშნებს ვერ ხედავს. კუკავა გაერთიანებისგან კონკრეტულ ნაბიჯებს ელის და ამის შემდეგ იფიქრებს, ღირს თუ არა მათთან მოლაპარაკებების წარმოება.

# "ქრისტიან-დემოკრატები" ეროვნული უშიშროების საბჭოს რეფორმირებას ითხოვენ

გიორგი ასანიშვილი

*აგვისტოს მოვლენების ანალიზმა და დროებით საპარლამენტო კომისიაში მიღებულმა გამოცდილებამ "ქრისტიან-დემოკრატები" იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ქვეყნის უსაფრთხოების სისტემაში სერიოზული ხარვეზებია, ხოლო თავად ამ სისტემაში ყველაზე სუსტ რგოლს პრეზიდენტთან არსებული ეროვნული უშიშროების საბჭო წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ოპოზიციური ფრაქცია გამოდის საკანონმდებლო ინიციატივით, რომლის გათვალისწინებამაც, ოპოზიციონერთა თქმით, ომის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსწორებას უნდა შეუწყოს ხელი. "ქრისტიან-დემოკრატების" ინიციატივის პრეზენტაცია პარლამენტში გუშინ გაიმართა და მას საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებიც დაესწრნენ.*

ოპოზიციონერი დეპუტატები მიიჩნევენ, რომ კრიზისულ სიტუაციაში ქვეყნის უსაფრთხოების სისტემა უსუსური აღმოჩნდა და ამის მიზეზად ისინი რამდენიმე გარემოებას ასახელებენ.

**"პირველ რიგში, ეს ინსტიტუციონალური ნაკლოვანებების ბრალია. კერძოდ, უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე უწყებებს შორის არანაირი კოორდინაცია არ არსებობდა. გარდა ამისა, დაბალი იყო როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო ექსპერტების კვალიფიკაცია. თავი იჩინა ფორსმაჟორულ სიტუაციებში მუშაობის არასაკმარისმა გამოცდილებამაც,"** - რადიკალური განახლების აუცილებლობაზე საუბრობს ახალი საკანონმდებლო ინიციატივის ავტორი, ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატების" თავმჯდომარის მოადგილე ნიკოლოზ ლალიაშვილი.

მისივე თქმით, ეროვნული უშიშროების საბჭოს უსაფრთხოების სისტემაში არსებული უამრავი ხარვეზის გამოსწორება შეეძლო, მაგრამ ამის გაკეთება ვერ მოახერხა, რადგან თავად საჭიროებს ცვლილებებს.

**"უსაფრთხოების არსებულმა სისტემამ აგვისტოში თავისი არაქმედუნარიანობა და არაეფექტურობა აჩვენა. იმედია, ჩვენს მიერ შემოთავაზებული ახალი მოდელი მდგომარეობას შეცვლის. ამ ინიციატივების ნაწილი პრეზიდენტის განსახორციელებელია, ნაწილს კი პარლამენტს წარვუდგენთ დასამტკიცებლად,"** - აღნიშნავს ლალიაშვილის თანაფრაქციელი, საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი გიორგი თარგამაძე.

ეროვნული უშიშროების საბჭოს რეფორმირების მიზნით, "ქრისტიან-დემოკრატები" გამოდიან წინადადებით, რომ არსებულ სტრუქტურას დაემატოს ახალი რგოლები - "დირექტორთა კომისია" (დეპარტამენეტების უფროსების დონეზე) და "სამუშაო ჯგუფი" (ექსპერტების დონეზე). ამასთან, ნიკოლოზ ლალიაშვილი აუცილებლად მიიჩნევს "დირექტორთა კომისიასა" და "სამუშაო ჯგუფთან" პარლამენტის თანამშრომლობას. კერძოდ, მათ მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიიღონ პარლამენტის შესაბამისი კომიტეტების თავმჯდომარეებმა, აპარატის უფროსებმა და სპეციალისტებმა.

ნიკოლოზ ლალიაშვილის თქმით, ეროვნული უშიშროების საბჭოს სტრუქტურული განახლება ერთბაშად რამდენიმე პრობლემას გადაჭრის. კერძოდ, უსაფრთხოების საკითხებით დაკავებულ უწყებებს შორის გაღრმავდება თანამშრომლობა და კოორდინაცია; უსაფრთხოების სექტორი თავსებადობაში მოვა ნატო-ს რეკომენდაციებთან; განისაზღვრება და მკაფიოდ გამოიკვეთება ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები...

ლალიაშვილის განცხადებით, მიმდინარე წლის ბოლომდე "ქრისტიან-დემოკრატები" აპირებენ აგრეთვე "ეროვნული უსაფრთხოების შესახებ" კანონპროექტის შემუშავებასა და პარლამენტში განსახილველად წარდგენას.

ოპოზიციის საკანონმდებლო ინიციატივის შეფასებებისგან პარლამენტისა და საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერები თავს იკავებენ, ვინაიდან, მათივე თქმით, დოკუმენტს დეტალურად ჯერ არ გაცნობიან.

**"ამ დოკუმენტს სიამოვნებით გავეცნობი. მანამდე კი ვადასტურებ უმრავლესობის პოზიციას, რომ მზად ვართ ნებისმიერი საკანონმდებლო ინიციატივის განსახილველად და შენიშვნების გასაზიარებლად. თუ ოპოზიციის მიერ შემუშავებული დოკუმენტი მისაღები იქნება, სიამოვნებით დავუჭერთ მხარს,"** - აღნიშნავს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე მიხეილ მაჭავარიანი.

"24 საათის" შეკითხვაზე, ეროვნული უშიშროების საბჭოს დღევანდელი სტრუქტურა საჭიროებს თუ არა სტრუქტურულ ან ფუნქციონალურ ცვლილებებს, პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი პასუხობს: **"ჯერ აგვისტოს მოვლენების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის დასკვნას დაველოდები, რადგან აღნიშნულ საკითხებზე კომისიაშიც იყო მსჯელობა. ჩემს პოზიციას ამ დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ მოგახსენებთ".**

"ქრისტიან-დემოკრატების" ინიციატივის განხილვა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ რურუასაც მიზანშეწონილად მიაჩნია. იგი ეროვნული უშიშროების საბჭოს გამართულ მუშაობას ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რადგან ეს სტრუქტურა ქვეყნის ხელმძღვანელობას ყოველდღე ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციებს აწვდის.

რურუას აზრით, შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ეროვნული უშიშროების საბჭო ძალიან ბევრი ფუნქციით იყო გადატვირთული და ბიუროკრატიული ბარიერების შემქმნელ ორგანოს წარმოადგენდა.

**"უშიშროების საბჭომ გამართული მუშაობა კახა ლომაიას დროს დაიწყო. აგვისტოს დღეებში მას რესურსებით ძალიან აღმატებულ მოწინააღმდეგესთან მოუწია ბრძოლა და ექსტრემალურ სიტუაციებში, არანორმალური გამოწვევების პირობებში უხდებოდა მუშაობა,"** - აღნიშნავს ნიკა რურუა და დასძენს, რომ ეროვნული უშიშროების საბჭომ, აგვისტოს მოვლენების დროს, საკუთარ ფუნქციებს თავი გაართვა.

ნიკოლოზ რურუა, ისევე როგორც მიხეილ მაჭავარიანი, "ქრისტიან-დემოკრატების" შეთავაზებული საკანონმდებლო ინიციატივის დეტალებს ჯერ არ იცნობს, მაგრამ დოკუმენტის განსახილველად მზად არის.

**"ეროვნული უშიშროების საბჭო ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქციის მატარებელია და ამდენად, მისი მუშაობის გაუმჯობესება ყოველთვის შეესაბამება ქვეყნის ინტერესებს. ამიტომ, "ქრისტიან-დემოკრატების" წინადადებები სერიოზულად უნდა განვიხილოთ და რაც მისაღებია, მხარი დავუჭიროთ. მსჯელობის დროს აუცილებლად მივალთ ოპტიმალურ ვარიანტამდე,"** - დასძენს რურუა.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# აქსისი სიმართლე აქსისის შესახებ

აქსისის მეწილეების ვინაობის შესახებ მედიაში რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომელიც სიმართლეს არ შეესაბამება.

სინამდვილეში, კომპანია აქსისი დაფუძნდა 10 წლის წინ, ალექსანდრე მეჟევიძისა და გიორგი წირღვავას მიერ.

დღევანდელი მონაცემებით, მდგომარეობა უცვლელია. კომპანიის წილის 50%-ს

კვლავ ფლობს ალექსანდრე მეჟევიძე, ხოლო 50%-ს გიორგი წირღვავა და მათ წილის გასხვისების სურვილი არა აქვთ.

კომპანიის მარკეტინგის სამსახურის ხელმძღვანელი ნინო ონიანი:

მედიაში დასახელებული პიროვნებები არ არიან კომპანიის მეწილეები. ინფორმაცია „აქსისის“ დამფუძნებლების შესახებ, გამჭვირვალეა და გამოქვეყნებულია კომპანიის ოფიციალურ ვებ გვერდზე **www.axis.ge.**



ქვეყანაში რთული ეკონომიკური მდგომარეობაა და ასეთ ვითარებაში დარგში ყველაზე წარმატებული კომპანიების გარშემო ვრცელდება ცრუ ინფორმაცია, რასაც, უმჯობესი იქნება, თუ საზოგადოება უბრალოდ არ აჰყვება. აქვე მინდა, მადლობა გადავუხადო გაზეთ „24 საათის“ რედაქციას, რადგან საშუალება მოგვცა, ეს ინფორმაცია გამოვაქვეყნოთ.“

კომპანია აქსისი“ ქართული უძრავი ქონების ბაზარზე 1998 წლიდან მოღვაწეობს. მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს საცხოვრებელი, საოფისე და კომერციული უძრავი ქონების დეველოპმენტი. მას გააჩნია 21 შვილობილი კომპანია, მათ შორის: საკუთარი სამშენებლო ბაზა, სამშენებლო მასალების საკუთარი საწარმოები, პროფესიონალი არქიტექტორების მრავალრიცხოვანი გუნდი, მაღალკვალიფიციური ინჟინერ-მშენებლები, სერვისისა და გაყიდვების სამსახურები.

# პრინციპული ობამა და იმედგაცრუებული რუსეთი

პირველი გვერდიდან

მისი თქმით, აშშ-ს ახალარჩეული პრეზიდენტის რეაქცია მოწმობს, რომ, ადმინისტრაციების ცვლის მიუხედავად, ვაშინგტონის საგარეო პოლიტიკაში მუდმივი პრინციპები და ერთიანი ხედვა არსებობს. ობამას ადმინისტრაციის მომავალ საგარეო კურსზე საუბრისას დარჩიაშვილმა აღნიშნა, რომ აშშ რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებას **"როგორც ევროპასთან ერთად, ასევე ცალკე შეეცდება, მაგრამ არა პრინციპების დათმობის ხარჯზე."**

გაზეთ "კომერსანტისთვის" მიცემულ ინტერვიუში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწემ მეთიუ ბრაიზამ საქართველოში განხორციელებული ქმედებების გამო რუსეთი მკაცრად გააკრიტიკა. ბრაიზამ იმ მიზეზებზე ისაუბრა, რის გამოც აშშ-მ და სხვა ქვეყნებმა ეუთო-ს ჰელსინკის მინისტერიალზე მხარი არ დაუჭირეს რუსეთის წინადადებას ევროპაში უსაფრთხოების ახალი სისტემის შექმნის საკითხზე სამიტის მოწვევის შესახებ.

მისი თქმით, აშშ ამ იდეას **"არავითარ შემთხვევაში"** არ დაუჭერს მხარს. **"ჩვენთვის მნიშვნელოვანია ნატო-სა და ევროკავშირის შენარჩუნება, ასევე რუსეთის თანამშრომლობა ამ ორგანიზაციებთან. რატომ უნდა შევცვალოთ ეს ყველაფერი?"** - აღნიშნა ბრაიზამ.

შეკითხვაზე, თუ რატომ ვერ აიცილეს ამ სტრუქტურებმა აგვისტოს ომი რუსეთსა და საქართველოს შორის, ბრაიზამ განმარტა: **"ჩვენი შეხედულება ნათელია. საქართველო პროვოკაციაში ჩაითრიეს და ეს რუსეთმა გააკეთა. საქართველომაც ამ მახეში გაბმით დიდი შეცდომა დაუშვა."**

მისი თქმით, **"თუ რუსეთს სურს, წინ წავიდეს უსაფრთხოების საკითხების განხილვაში, ეს ვერ მოხდება მედვედევის მიერ საკუთარ თავზე აღებული ვალდებულებების შესრულების გარეშე."** კერძოდ, მეთიუ ბრაიზამ აღნიშნა, რომ არ სრულდება სარკოზი-მედვედევის შეთანხმების პირველი პუნქტი, რომელიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ჰუმანიტარული მისიების თავისუფლად შესვლას გულისხმობს; ასევე მეხუთე პუნქტი, რომელიც 6 აგვისტომდე დაკავებულ პოზიციებზე ჯარების დაბრუნებას ითვალისწინებს. ბრაიზას განცხადებით, **"ეს უნდა ეხებოდეს როგორც სამხედრო ნაწილების გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას, ასევე ჯარისკაცების რაოდენობას. დღესთვის კი საწინააღმდეგო ხდება - მდგომარეობა ახალგორის რაიონში ძალიან საშიშია."**

რაც შეეხება შეთანხმების მეექვსე პუნქტს, რომელიც საერთაშორისო მოლაპარაკებებს ითვალისწინებს, სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწის განცხადებით, **"სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარებით რუსეთმა ამ პროცესის ბლოკირება მოახდინა."**

მეთიუ ბრაიზამ აღნიშნა, რომ რუსეთის წინადადება ჰელსინკის მინისტერიალზე არაფორმალურ ვითარებაში, ლანჩზე განიხილეს და გადაწყდა, რომ დისკუსიის გაგრძელება შესაძლებელია, თუმცა სამიტის მოწვევა **"ბუნდოვანი იდეის გამო"** არ ღირს.

**"რას წარმოადგენს მედვედევის წინადადება? მე ვნახე მხოლოდ ქაღალდი, სადაც საუბარია ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის დაცვის აუცილებლობაზე. რა საინტერესოა! ამას ამბობს რუსეთი, რომელიც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე,"** - განაცხადა ბრაიზამ. მისი თქმით, ქვეყანა დამოუკიდებელი ვერ გახდება, თუ მას მსოფლიოში მხოლოდ ორი სახელმწიფო აღიარებს.

განცხადება აშშ-რუსეთის ურთიერთობების საკითხზე აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმაც გააკეთა. მისი თქმით, რუსეთის პოლიტიკის ცვლილება ბუშის ადმინისტრაციისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. **"აშშ ცდილობდა, რუსეთისთვის მიეცა შანსი, რომ საერთაშორისო თანამშრომლობის მონაწილე გამხდარიყო 21-ე და არა მე-19 საუკუნის პირობებით,"** - აღნიშნა სახელმწიფო მდივანმა.

**"სამწუხაროდ, ნავთობზე მაღალმა ფასებმა და "ფერადი რევოლუციების" შიშმა რუსეთი ისეთი გახადა, როგორსაც ჩვენ არ ველოდით,"** - დასძინა რაისმა.

# რუსეთის შავი ზღვის ფლოტი ქართულ ნაპირებს ზვერავს

რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საზღვაო ძალების შავი ზღვის ფლოტის ფლაგმანი - სარაკეტო კრეისერი "მოსკვა" საქართველოს ტერიტორიულ წყლებში მოძრაობს.

რუსეთის შავი ზღვის ფლოტის უმსხვილესი გემი "მოსკვა", ერთ-ერთ სამხედრო კატარღასთან ერთად, სოფელ განმუხურის სანაპიროს 7 მილის მანძილზე მიუახლოვდა. გადაადგილებას თვალყურს ადევნებდნენ ევროკავშირის დამკვირვებლები, რომლებმაც ფოტოებიც გადაიღეს. ევრომონიტორების თქმით, მსგავსი ფაქტები ჟენევის მოლაპარაკებების მთავარი თემა იქნება.

კრეისერი "მოსკვა" და სამხედრო კატარღა საქართველოს ტერიტორიულ წყლებში აგვისტოს მოვლენების დროსაც იყვნენ. ამჟამად ისინი სოფელ ფიჩორიდან 22 მილის დაშორებით იმყოფებიან. გარდა ამისა, გუშინ ქართული საგუშაგოების თავზე რუსული ვერტმფრენებიც დაფრინავდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, ისინი საქართველოს ტერიტორიას ზვერავენ.

რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრო სამხედრო გემების საქართველოს ტერიტორიულ წყლებში შემოსვლის ფაქტს უარყოფს. ამის შესახებ სააგენტო "ინტერფაქსი" იუწყება.

"საქართველოს ტერიტორიულ წყლებში არანაირი სამხედრო გემები არ შესულან, რეალობას არ შეესაბამება სოფელ განმუხურის თავზე რუსული ვერტმფრენების ფრენის შესახებ გავრცელებული ინფორმაციაც," - განაცხადა რუსეთის შეიარაღებული ძალების სარდლის თანაშემწემ ალექსანდრ დრობიშევსკიმ.

თბილისში კი ეხმიანებიან რუსეთის ფლოტის მოქმედებას. აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარე მალხაზ აკიშბაია აცხადებს, რომ "საქმე გვაქვს საერთაშორისო სამართლის უხეშ დარღვევასთან."

*საკუთარი ინფორმაცია*

# ახალი მინისტრების პირველი სამუშაო დღე

*ახალდანიშნული მინისტრები შესაბამის უწყებებში გუშინ ოფიციალურად წარადგინეს. გუშინვე მათი მხრიდან პირველი კომენტარებიც გაკეთდა. საგარეო უწყების ახალი ხელმძღვანელი გრიგოლ ვაშაძე რუსეთთან ურთიერთობების დამყარებისთვის მზადყოფნას გამოთქვამს, განათლების მინისტრი ნიკა გვარამია სამინისტროში სამართლიანი ცვლილებების განხორციელებას გეგმავს, თავდაცვისა და კულტურის სამინისტროები კი, ჯერჯერობით, მინისტრების გარეშე რჩებიან.*

საგარეო უწყების ახალი ხელმძღვანელის განცხადებით, ქართული მხარე მზად არის, რუსეთთან ურთიერთობაში შექმნილი პრობლემებიდან გამოსავალი რუსულ მხარესთან ერთად გამონახოს. ქართველმა მინისტრმა ამ ეტაპზე ლავროვთან პირდაპირი მოლაპარაკებების შესაძლებლობა უკომენტაროდ დატოვა და აღნიშნა, რომ რუსეთთან მოლაპარაკებების განახლებამდე საქართველო გააგრძელებს ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას.

**"ქვეყნის საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული ვექტორი არ შეიცვლება. ჩვენ მშვიდად და გააზრებულად ვიმოძრავებთ ნატო-სა და ევროკავშირის მიმართულებით. MAP-ის მიუღებლობის მიუხედავად, საქართველომ მიიღო ყველაფერი, რაც MAP-ს ნიშნავს და ითვალისწინებს. ასე რომ, მთავარი სულაც არ არის, რა ერქმევა იმ პროგრამას, რომელიც ქვეყანას ნატო-სთან დაახლოებს. მთავარია ის, რომ მოინახა გამოსავალი, რათა ქვეყანამ ნატო-ს მიმართულებით იმოძრაოს,"** - აღნიშნა ვაშაძემ.

განათლების ახალდანიშნული მინისტრი ნიკა გვარამია, რომელიც "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ამ უწყებაში უკვე რიგით მეოთხე მინისტრია, გუშინ სამინისტროში თავად პრემიერ-მინისტრმა გრიგოლ მგალობლიშვილმა წარადგინა.

გრიგოლ მგალობლიშვილმა განათლების ყოფილ მინისტრ გია ნოდიას გაწეული სამუშაოსთვის მადლობა გადაუხადა, ნიკა გვარამიას კი წარმატებული მინისტრობა უსურვა. **"გია ნოდიამ განათლების სისტემის მდგრადობა რთულ ვითარებაშიც მოახერხა. მადლობას ვუხდი მას შესრულებული სამუშაოსთვის. ამჟამად მნიშვნელოვანი ცვლილებების დროა. ვფიქრობ, ნიკა გვარამია დაკისრებულ საქმეს თავს გართმევს,"** - განაცხადა მგალობლიშვილმა.

ახალდანიშნული მინისტრის განმარტებით, განათლების სამინისტროში გარკვეული, თუმცა მხოლოდ სამართლიანი ცვლილებები განხორციელდება. **"სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან მხარდაჭერის იმედი მაქვს, იგივე იქნება ჩემი მხრიდანაც. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ურთიერთობა წარმატებული იქნება. ყველა თანამშრომელი მუშაობის შესაბამისად მიიღებს. საკადრო ცვლილებებს რაც შეეხება, ის განხორციელდება, თუმცა სამართლიანად,"** - აღნიშნა გვარამიამ.

რაც შეეხება განათლების ყოფილ მინისტრ გია ნოდიას, იგი აკადემიურ საქმიანობას დაუბრუნდება. **"ჩემი სამუშაო სფერო აკადემიურია. დღეიდან ამ საქმიანობას ვუბრუნდები. მე პროფესიით პოლიტოლოგი ვარ, ამიტომ პოლიტიკაში საქმიანობა ჩემთვის მეტად საინტერესო იყო. დღეიდან შეგიძლიათ მომმართოთ, როგორც პოლიტოლოგს,"** - განაცხადა ნოდიამ.

დროებით უმინისტროდ არის დარჩენილი კულტურის სამინისტრო. გავრცელებული ინფორმაციით, ეს თანამდებობა შესაძლოა, "ნაციონალური ბალეტის" სამხატვრო ხელმძღვანელ ნინო სუხიშვილს შესთავაზონ. ამ ინფორმაციას სახელმწიფო კანცელარიაში ჯერჯერობით ოფიციალურად არ ადასტურებენ.

როგორც ცნობილია, მანამდე კულტურის მინისტრის პოსტი საქართველოს ყოფილ ელჩს რუსეთში ზურაბ აბაშიძეს შესთავაზეს, თუმცა მან შეთავაზებაზე უარი განაცხადა, რასაც პრემიერ-მინისტრი გრიგოლ მგალობლიშვილი, აბაშიძის თქმით, "გაგებით" შეხვდა.

ზურაბ აბაშიძემ პრემიერ-მინისტრს საკუთარი სამსახური საგარეო საქმეთა სამინისტროში შესთავაზა, თუმცა ამ საკითხზე რაიმე გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ.

რაც შეეხება უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობას, გავრცელებული ხმების თანახმად, ამ პოსტზე ეკა ტყეშელაშვილის კანდიდატურა განიხილება. აღნიშნულ ინფორმაციას საპარლამენტო კულუარებში არც ადასტურებენ და არც უარყოფენ, თუმცა აცხადებენ, რომ გამორიცხული არაფერია. ტყეშელაშვილის კანდიდატურამდე კახა ლომაიას შემცვლელად გიგა ბოკერია სახელდებოდა.

თავად ლომაია კი მუშაობას დიპლომატიურ სამსახურში გააგრძელებს, ვარაუდობენ, რომ ის გაეროში საქართველოს ელჩის თანამდებობას დაიკავებს, თუმცა, ოფიციალურად ეს არ დადასტურებულა.

*ნათია მსხილაძე*

# ირანი და ევროპა აგვისტოს შემდეგ

*სტრატეგიისა და განვითარების ინსტიტუტმა დაიწყო პუბლიკაციების სერია, რომელსაც, 24 საათის დახმარებით, "პატარა საჭადრაკო დაფის" სახელით ვთავაზობთ მკითხველს. სერიის მიზანია, რომ თვალი მიადევნოს სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე მოვლენებს და სტრატეგიული ანალიზი მიაწოდოს დაინტერესებულ მკითხველს.*
*სამხრეთ კავკასიის პატარა საჭადრაკო დაფაზე უკანასკნელ დროს ისეთი მოვლენები განვითარდა, რაც სასწრაფო გააზრებას მოითხოვს და სწორედ ამ თემას მიეძღვნება "პატარა საჭადრაკო დაფის" სერიით შემოთავაზებული მიმოხილვები.*
*უშუალოდ სამხრეთ კავკასიის გარდა, ჩვენ შევეცდებით, ყურადღება მივადევნოთ იმ მოვლენებს, რომლებსაც აქვთ პოტენცია, რომ საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაზე გავლენა მოახდინონ. იმედი გვაქვს, რომ ამით საქართველოსა და კავკასიის მშვიდობისა და განვითარების საქმეში გარკვეულ წვლილს შევიტანთ.*
*პუბლიკაციების სრული ვერსიები, რომლებიც აღჭურვილია გამოყენებული წყაროების ჩამონათვალით, შესაბამისი რუკებითა და დიაგრამებით, ხელმისაწვდომია სტრატეგიისა და განვითარების ინსტიტუტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. მიმოხილვების სერიაში მონაწილეობა ნებისმიერ დაინტერესებულ ექსპერტს შეუძლია. ინტერესის შემთხვევაში დაუკავშირდით სტრატეგიისა და განვითარების ინსტიტუტს (www.stand.ge).*

ანდრო ბარნოვი
*სტრატეგიისა და განვითარების ინსტიტუტი*

## ირანი

აგვისტოს შემდეგ ირანს უჩნდება შანსი, რომ დაარეგულიროს ურთიერთობები აშშ-სთან და ევრაზიის სამხრეთში ცენტრალური მოთამაშე გახდეს. ირანს უჩნდება ძალიან სერიოზული ინტერესები კავკასიასთან მიმართებაში, სადაც ყველაზე პერსპექტიული ირან-საქართველოს სტრატეგიული ურთიერთობაა.

აგვისტოს ომმა საქართველოს, როგორც საიმედო ენერგო-დერეფნის როლი, ეჭვქვეშ დააყენა. ამის მიუხედავად, საქართველო იმდენად მნიშვნელოვანია ტრანსკასპიური რესურსების დასავლეთისკენ ტრანსპორტირების თვალსაზრისით, რომ რუსეთის მიერ საქართველოს სრულად დაკავების სცენარი თითქმის შეუძლებელ ვარიანტად უნდა განვიხილოთ. საქმე ისაა, რომ თუ რუსეთი სრულად გააკონტროლებს საქართველოს, სომხეთთან მისი ურთიერთობებისა და სამხედრო ბაზების გათვალისწინებით, აზერბაიჯანი სრულ იზოლაციაში ექცევა და იძულებული გახდება, რომ მოსკოვის ბრძანებებს დაემორჩილოს. ერთადერთი ალტერნატიული დერეფანი, რომელიც ბაქოს რჩება, ესაა ირანთან საზღვარი, მაგრამ ირანისა და აშშ-ს გართულებული ურთიერთობების გაგრძელების შემთხვევაში ამ მარშრუტის საიმედოობაც საეჭვო ხდება. ესეც არ იყოს, თურქეთიც მთლიანად რუსეთზე და ირანზე ხდება დამოკიდებული, რადგან საქართველოს გაკონტროლების შემთხვევაში რუსეთი საქართველო-თურქეთისა და სომხეთი-თურქეთის მარშრუტებს არ დაუშვებს, ხოლო თეირანთან სტაბილური პარტნიორობის გარეშე თურქეთის, როგორც ევრაზიული დერეფნის, ფუნქცია ვერ იმუშავებს, რადგან ირანს შეეძლება, სპარსეთის ყურისაკენ გადაამისამართოს ცენტრალური აზიისა და საკუთარი რესურსები, რომ არაფერი ვთქვათ მომავალში ერაყთან და სირიასთან შესაძლო პარტნიორობაზე.

ამიტომ, კავკასია თურქეთისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რჩება და რუსეთის მიერ საქართველოზე სრულმასშტაბიანი შეტევის შემთხვევაში არსებობს საკმაოდ სერიოზული ალბათობა იმისა, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის განახლებული კონფლიქტი ვიხილოთ ანკარას აქტიური წაქეზებითა და მონაწილეობით. ეს საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია თურქეთისთვის, რომ საეჭვოა, სომხეთის ჩრდილოეთში განლაგებული რუსული სამხედრო ბაზები მისთვის ხელისშემშლელი ფაქტორი აღმოჩნდეს. ამ სცენარის განვითარების შემთხვევაში კი, სავარაუდოდ, მინიმუმ ნახიჭევანის მიმდებარე სომხური ტერიტორიები მთლიანად აზერბაიჯან-თურქეთის კონტროლს დაექვემდებარება.

აგვისტო-სექტემბერში ევროპისა და აშშ-ს ავტორიტეტული კვლევითი ცენტრების მიერ გამოქვეყნდა ათობით სტატია და გამოკვლევა, სადაც ირანთან მოლაპარაკებების აუცილებლობაზეა საუბარი და როგორც უკანასკნელი ანგარიშებიდან ჩანს, აშშ-ს ადმინისტრაცია ამ რჩევებს, სავარაუდოდ, მალე გაითვალისწინებს. ბოლო პერიოდში მედიაში გამოჩნდა ცნობები, რომ პრეზიდენტი ბუში ნოემბრის არჩევნების შემდეგ ირანთან ურთიერთობების შემობრუნების შესახებ განცხადების გაკეთებას აპირებს. ამ სვლას ირანის საგარეო საქმეთა მინისტრიც მიესალმა და განაცხადა, რომ ისლამური რესპუბლიკა ყურადღებით მოეკიდება აშშ-ს შეთავაზებას.

აშშ-ს გადაწყვეტილებას ხელს შეუწყობს ის ფაქტიც, რომ ვაშინგტონის ჩაურევლადაც, თეირანის რეგიონული დიპლომატია ბოლო დროს ძალიან გააქტიურდა და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია. ამაზე მეტყველებს ირანის პრეზიდენტის აგვისტოს ვიზიტი სტამბულში, რომლის დროსაც ირანული გაზის იმპორტის გაზრდა გადაწყდა, ოქტომბრის ვიზიტი ინდოეთში, სადაც ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებაზე და პაკისტანის გავლით ცენტრალური აზიის ნავთობის ინდოეთისთვის მიწოდებაზე იმსჯელეს; ასევე აჰმადინეჟადის ინტენსიური კონტაქტები რუსეთთან, ჩინეთთან, და ლათინური ამერიკის ქვეყნებთან; თეირანის მიერ ერაყის პარლამენტის მნიშვნელოვანი ნაწილის ფაქტობრივი კონტროლი და თეირანის მზარდი სურვილი, რომ კავკასიურ პოლიტიკაში აქტიური მონაწილეობა მიიღოს. ამიტომ, მოსალოდნელია, რომ ირანი არ შეეგუება თურქეთის "წაყრუებას" მისი პოზიციის მიმართ და კავკასიისაკენ ალტერნატიული გზების ძიებას დაიწყებს.

მთავარი, რაც თეირანის წარმატებაზე მეტყველებს, ისაა, რომ დღეს სამხედრო ზეწოლის ნაცვლად, აშშ მასთან პარტნიორობაზე ლაპარაკობს. აშშ-სთან კონფრონტაცია ირანს რუსეთსა და ჩინეთთან მჭიდრო კავშირებისკენ უბიძგებს, რაც თეთრი სახლის ინტერესებში ნამდვილად არ შედის. სამაგიეროდ, ურთიერთობების დათბობის სანაცვლოდ ვაშინგტონს შეუძლია, რომ ირანისაგან ავღანეთისა და ერაყის საკითხში თანამშრომლობა მოითხოვოს და მიიღოს კიდეც.

თეირანის მიერ წარმოებული საკმაოდ რაციონალური დიპლომატიის შუქზე უნდა ვივარაუდოთ, რომ ირანი აშშ-სთან დაძაბულობის მოხსნაზე უარს არ იტყვის და ეს ავტომატურად ნიშნავს რუსეთის მიერ ცენტრალური აზიის ენერგო-რესურსებზე კონტროლის შესუსტებას. მაგრამ ამავდროულად, ეს ნიშნავს დასავლეთისთვის კავკასიის მნიშვნელობის დაკნინებას, რუსეთისთვის კი - შანსს, რომ კავკასიაში დამკვიდრებით კასპიის რეგიონზე კონტროლი გააძლიეროს. გადამწყვეტი აქ თურქეთის ფაქტორი რჩება.

როგორც უკვე ვთქვით, თურქეთისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ კავკასიის კორიდორი შეინარჩუნოს. თუ კავკასიის დერეფანი იმუშავებს, თურქეთის მარშრუტი ყველაზე მოკლე აღმოჩნდება და ანკარას ყველა არგუმენტი ექნება იმისათვის, რომ თურქულ მარშრუტზე გამავალი ენერგოპროექტების უპირატესობაზე ისაუბროს. ამიტომ, ირანის ინტერესია, რომ კავკასიაში ისეთ საყრდენს ფლობდეს, რომელიც თურქეთის ინტერესების დაბალანსების საშუალებას მისცემდა

მეორე მხრივ, ირანი, რომელსაც არაბეთის ნახევარკუნძულსა და ჩინეთს შორის ცენტრალური მდებარეობა უჭირავს, სავარაუდოდ, შეეცდება, რომ საბერძნეთი-სირია-ირანი-თურქმენეთი-ჩინეთის ღერძზე უმნიშვნელოვანეს მოთამაშედ ჩამოყალიბდეს. აშშ-ირანის დაპირისპირების მოხსნის შემთხვევაში კი მივიღებთ სიტუაციას, სადაც ამ ღერძის მოთამაშეებთან ხარისხით ერთი საფეხურით დაწეული, მაგრამ მაინც სტრატეგიული პარტნიორობა ექნებათ ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ერაყი, საქართველო და ყაზახეთი. თეირანი ეცდება, რომ საქართველო, რომელიც სამხრეთ კავკასიის ყველაზე ჩრდილოეთი სახელმწიფოა, რეგიონში ირანის დასაყრდენი გახდეს.

## ევროპა

აგვისტოს შემდეგ ევროპაში ორი ერთდროული ტენდენცია შეინიშნება: (1) აშშ ქოლგის შესაძლო დასუსტების ფონზე ევროპის სახელმწიფოები ძველ გეოსტრატეგიას მიმართავენ. აშშ-ს გარეშე ევროპას არ შესწევს ძალა, რომ კონტინენტზე მნიშვნელოვან მოთამაშედ დარჩეს. ევროპაში იკვეთება გერმანიის ცენტრალური როლი, რომელიც უპირატესობას რუსეთთან მშვიდობიან თანამშრომლობას და ამ გზით ევროპის ყველაზე მნიშვნელოვან მოთამაშედ ჩამოყალიბებას ცდილობს. გერმანიის ლიდერობას მხოლოდ მაშინ ექნება პერსპექტივა, თუ ის საერთო ევროპული სახლის ჩამოყალიბებისაკენ იქნება მიმართული. (2) საფრანგეთს არ სურს, რომ თამაშგარე მდგომარეობაში დარჩეს და თან გერმანიის პოლიტიკისათვის მიმართულების მიცემას ცდილობს პან-ევროპული პოლიტიკის სასარგებლოდ. ამიტომ საფრანგეთი ჩქარობს ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის გაძლიერებას. ეს ორი ტენდენცია ურთიერთკავშირშია და იმას მოასწავებს, რომ ერთიანი ევროპული სახლი შენარჩუნდება.

მიუხედავად იმისა, რომ კანცლერი მერკელი აგვისტოს ომის პირველ დღეებში საქართველოს ნატოში გაწევრიანებას ლამის პრინციპულ საკითხს უწოდებდა, პოზიცია მალევე შეცვალა და დღეს სამოქმედო გეგმის მონიჭებაზეც აღარ არის თანახმა. მიზეზი არც ისე მარტივია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. ანუ, ეს მხოლოდ რუსეთზე ენერგო-დამოკიდებულებით ვერ აიხსნება. ბერილინის გადაწყვეტილებებს ზოგიერთი ანალიტიკოსი გერმანიაში ტრადიციულად ძლიერი ბიზნეს-ლობის გავლენით ხსნის, მაგრამ შექმნილ სიტუაციაში გერმანიის სტრატეგიული გათვლები მაინც ჩანს.

ბერლინი შიშობს, რომ აშშ-ს გავლენის შესაძლო შესუსტებისა და, ამავდროულად, ნატოს გაფართოების პროცესის გაგრძელებით ბალტიისპირეთის სახელმწიფოების წინააღმდეგ რუსეთის აგრესია გარდაუვალი გახდება და ნატოს მათი დაცვა მოუწევს. ამ სიტუაციაში გერმანია რუსეთის შემაკავებელი პირველი ბასტიონი იქნება და მთელი ტვირთიც სწორედ მას დააწვება. ეს კი, გარდა იმისა, რომ ბერლინისთვის ეკონომიკურად საკმაოდ მძიმე გადასატანი იქნება, აშშ-ს შესუსტებული გავლენის პირობებში გერმანიისთვის დიდ რისკებს შეიცავს. აღსანიშნავია, რომ ნატოს გაფართოება, ისევე როგორც ერთიანი ევროპა, მეტწილად სწორედ აშშ-ს პროექტებია და ამ იდეების ხორცშესხმისათვის აშშ-ს ძლიერება სრულიად გადამწყვეტი წინაპირობაა. როდესაც ეს წინაპირობა ეჭვქვეშ დგება, ევროპის სახელმწიფოები იძულებულნი ხდებიან, რომ ძველ ევრაზიულ გეოპოლიტიკას დაუბრუნდნენ და მის ლოგიკას დაექვემდებარონ.

ტრადიციულად, ბრიტანეთი, საფრანგეთი და გერმანია ერთმანეთის დაბალანსებას ცდილობდნენ და ამ თამაშში ითრევდნენ აშშ-სა და რუსეთს. მაგალითად, როგორც 1998 წლის ცნობილ ნაშრომში ზბიგნევ ბჟეზინსკი აღნიშნავდა, საფრანგეთის სტრატეგია ტრადიციულად მდგომარეობდა ერთი მხრივ რუსეთისა და ამერიკის, მეორე მხრივ კი გერმანიის და ბრიტანეთის ერთმანეთზე წაკიდებაში, თვითონ კი ხან გერმანიის, ხანაც ბრიტანეთის მხარს დაიჭერდა ხოლმე. ასეთი სტრატეგია დაბალანსების კლასიკურ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს. იმავე ლოგიკით, გერმანიის ინტერესი უნდა იყოს, რომ საფრანგეთი-ბრიტანეთი რუსეთს წაკიდოს, თავად კი აშშ-ს შეეკრას. ალტერნატიულად, გერმანიის ინტერესი უნდა იყოს ბრიტანეთის საფრანგეთზე წაკიდება და ტრადიციული მოქიშპის ამგვარად დაბალანსება. მეორე მხრივ, გერმანია-საფრანგეთის უთანხმოება ბრიტანეთის ინტერესებში შედის. ანალოგიურად, როგორც პირველმა და მეორე მსოფლიო ომებმა აჩვენა, ბრიტანეთის, საფრანგეთისა და რუსეთის ალიანსი გერმანიისთვის დამღუპველი აღმოჩნდა.

მარტივი გეოსტრატეგიული ანალიზი დღევანდელი სიტუაციის ფესვების გამოცნობაში დაგვეხმარება. მაგალითად, დღეს გერმანია ევროპაში რუსეთთან სიახლოვით გამოირჩევა. საფრანგეთი და ბრიტანეთი კი მოსკოვს შედარებით რადიკალურად უპირისპირდებიან, თუმცა საფრანგეთი გერმანიის კონკურენტადაც გამოდის რუსეთთან ურთიერთობების შესაძო დათბობის იმედით. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი ევროპული უთანხმოება ისტორიამდელ ბრძოლებში არ გადაიზრდება, ის ძალიან საინტერესო სტრატეგიულ სურათს გვიჩვენებს. ევროპული სახელმწიფოების დღევანდელი პოზიციების გათვალისწინება და რუკაზე თვალის ერთი შევლებაც საკმარისია, რომ დავინახოთ: თუ აშშ-ს ევროპაში გავლენის შენარჩუნება სურს, მაშინ იგი უპირველეს ყოვლისა სწორედ გერმანიას უნდა შეეკრას. ამ ნაბიჯს შედარებით ნეიტრალურად შეხვდება ბრიტანეთი, მაგრამ საფრანგეთისთვის სტატისტის როლი სრულიად მიუღებელი აღმოჩნდება. რუსეთთან კონსტრუქციული ურთიერთობების დემონსტრირებით გერმანია თითქოს წაუგებელ თამაშს თამაშობს: ერთი მხრივ, აღმოსავლეთ საზღვრებთან მშვიდ გარემოს იქმნის, მეორე მხრივ, რუსეთთან სიახლოვით გერმანია ცდილობს, რომ არ დაუშვას რუსეთ-საფრანგეთის კავშირი და ამავდროულად, მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოს, აშშ-ს, უჩენს მოტივაციას, რომ ევრაზიული გეოსტრატეგიის გასაღები სწორედ გერმანიაში ეძებოს. ორივე შემთხვევაში გერმანია ევროპული პოლიტიკის ავანგარდში აღმოჩნდება.

მაგრამ გერმანიის სპეციფიკა მხოლოდ ამით არ ამოიწურება. რეალურად, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პირველად ხდება, რომ გერმანია მისი ნატოელი პარტნიორებისაგან განსხვავებულ პოზიციას იკავებს და ლამის ევროპული პოლიტიკის განმსაზღვრელად იქცეს. თითქმის იგივე პოზიცია აქვს იტალიასაც, რომელსაც, გერმანიის მსგავსად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა არ გააჩნდა. აქ საინტერესო ისაა, რომ გერმანიასა და იტალიასთან მჭიდრო თანამშრომლობის მიღწევით რუსეთი მთელ აღმოსავლეთ ევროპასთან წყალგამყოფს გაავლებს და ამით ბრიტანულ-ფრანგულ (და ამერიკულ) პოლიტიკას გზას გადაუკეტავს, ამით საკუთრივ ევროპული პოლიტიკის გაძლიერებას ხელს შეუწყობს და ევრაზიულ თამაშს ევრაზიაში დააბრუნებს, სადაც თავად გადამწყვეტი უპირატესობა აქვს.

თუ დავუკვირდებით, ბრიტანელი, ფრანგი და ესპანელი პოლიტიკოსები ბევრად უფრო მონდომებულები არიან, რომ უკრაინა და საქართველო ნატოში იხილონ, ვიდრე გერმანელები, იტალიელები ან თურქები. ეს გარემოება მხოლოდ ბიზნეს-კავშირებით არ აიხსნება და გადამწყვეტ როლს აქ სწორედ "მკვდრეთით აღმდგარი" გეოსტრატეგიული აზროვნება თამაშობს. ევროპას, რომელსაც აშშ ქოლგის ქვეშ თითქმის დაავიწყდა რა არის გეოპოლიტიკა, მისი თავიდან გახსენება უწევს, რაც ევროპული პოლიტიკის რეალიებს უწინდელისგან განსხვავებულად ხატავს.

ნათქვამს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ წარსულიდან გამომდინარე, გერმანიის ევროპულ ლიდერობას მხოლოდ მაშინ აქვს პერსპექტივა, თუ მისი პოლიტიკა მიმართული იქნება არა ვიწრო ეროვნული ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ, არამედ - საერთო ევროპული სახლის მშენებლობისაკენ. ეს შტრიხი გერმანიის მოსალოდნელ ლიდერობას ახალი კუთხით წარმოაჩენს და, სავარაუდოდ, უფრო სასურველ პარტნიორს ხდის ამერიკის შეერთებული შტატებისათვის.

რაც შეეხება საფრანგეთის პერსპექტივებს ევროპის ლიდერობის თვალსაზრისით, შექმნილ სიტუაციაში მას ალბათ მხოლოდ მაშინ მიეცემა შანსი, თუ აშშ პოლონეთში მყარად შეძლებს ფეხის მოკიდებას და პოლონეთის თავდაცვისუნარიანობას მნიშვნელოვნად აამაღლებს. პროამერიკული ძლიერი პოლონეთისა და საფრანგეთის კავშირი გერმანიის როლის უცილო შესუსტებას გამოიწვევს და გერმანიას მოუწევს, კიდევ ერთხელ შეეგუოს ევროპულ პოლიტიკაში სტატისტის როლს და მოკავშირეებს თამაშში ჩაჰყვეს. სამაგიეროდ, გერმანია კვლავ დარჩება ევროპის ეკონომიკურ ცენტრად. თუმცა აქვე ვთქვათ, რომ პოლონეთის გაძლიერება ადვილი საქმე არ არის და ამიტომ ეს სცენარიც ნაკლებ რეალისტურად გამოიყურება. მაგრამ ვინც უნდა იყოს ევროპის ლიდერი სახელმწიფო, ევროპა მზად იქნება აშშ-სთან პარტნიორობა გააგრძელოს, თუ ამის საშუალებას თავად აშშ მისცემს.

შპს ქართული ფილმი-უძრავი ქონება -ს

**განცხადება**

2008 წლის 6 დეკემბრის №273 (2017) გაზეთ 24 საათში უძრავი ქონების (გორის კინოგაქირავება) რეალიზაციის მიზნით გამოქვეყნებულ განცხადებაში აუქციონის ჩატარების თარიღი ნაცვლად 19 ნოემბრისა უნდა იყოს 2008 წლის 19 დეკემბერი.

# უპრეცედენტო გამოძიება

## გაყალბებული მტკიცებულებები და ნასამართლევად გამოცხადებული არასრულწლოვანი, რომელსაც დანაშაული არ ჩაუდენია

*ადვოკატმა გელა ნიკოლაიშვილმა იუსტიციის მინიტრ ზურაბ ადეიშვილს, შსს-ს და მთავარი პროკურატურის გენერალურ ინსპექციებს მიმართა. მან შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის პროკურორის მორის ჩუბინიძის და შიდა ქართლის კრიმინალური პოლიციის სამმართველოს გამომძიებლების დავით სამთელაძის, გაგა ღონღაძის, რამაზ გრიგალაშვილის და რამაზ ნასყიდაშვილის ქმედებების შესწავლა მოითხოვა. იუსტიციის მინისტრმა საქმე შესასწავლად მთავარი პროკურორის მოადგილეს დავით საყვარელიძეს დააწერა, რომელიც ჯერ გორის პროკურორი გახლდათ, ხოლო შემდეგ მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის პროკურორი და უშუალო შეხება ჰქონდა დავით მანაშვილის საქმესთან, რომელში დაშვებული სერიოზული ხარვეზების გამოც, ადვოკატმა იუსტიციის მინისტრს მიმართა.*

ინგა ალავიძე

### ადვოკატის მოთხოვნა და რეკომენდაციები მინისტრს

ადვოკატის მტკიცებით, დასახელებულმა პირებმა ბრალდებულ დავით მანაშვილის საქმეში მტკიცებულებები წინასწარ გამიზნულად გააყალბეს. სხვათა შორის, ამ საქმესთან დაკავშირებით, ადვოკატმა საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის და ადამიანის უფლებთა კომიტეტის თავმჯდომარეებსა და სახალხო დამცველს მიმართა.

**"ჩვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ იმ კონკრეტული საკითხის გადაწყვეტა, რომლის გამოც მოგმართავთ, არ შედის უშუალოდ თქვენს კომპეტენციაში, თუმცა, თქვენი თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, საჭიროდ ჩავთვალეთ, მოგვემართა იმ უსამართლობაზე, რომელიც, ერთის მხრივ, სერიოზულ ჩრდილს აყენებს სამართალდამცველი ორგანოების რეპუტაციას და მეორეს მხრივ, ქმნის რეალურ საფრთხეს, რომ სრულიად უადანაშაულო, 18 წლის ახალგაზრდა მკვლელობის ბრალდებით დამნაშავედ გამოცხადდეს,"** - ნათქვამი იყო ადვოკატის წერილში.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, გელა ნიკოლაიშვილმა მთავარ პროკურატურას, უფრო ზუსტად, მაშინდელ გენერალურ პროკურატურასაც მიმართა. თუმცა, როგორც ამჯერად ადვოკატი ზურაბ ადეიშვილს წერს: **"თქვენდამი დაქვემდებარებულმა ორგანიზაციამ აშკარად დანაშაულებრივ ფაქტებზე მოახდინა ფორმალური რეაგირება და საჩივარი გადაუგზავნა ხაშურის რაიონულ სასამართლოს, სადაც ამჟამად, არსებითი განხილვისთვისაა გადაცემული მანაშვილის საქმე,"** - წერს ადვოკატი ახლა უკვე იუსტიციის მინისტრ ზურაბ ადეიშვილს.

გელა ნიკოლაიშვილი განმარტავს, რომ სახელმწიფო მოხელეთა ქმედებებში დანაშაულის ნიშნების არსებობის დადასტურება ან უარყოფა მხოლოდ საგამოძიებო ორგანოთა კომპეტენციაში შედის და სწორედ მათ უნდა დაეწყოთ გამოძიება. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ პირთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების თაობაზე გენერალურ პროკურატურას საქმის სასამართლოში გადაგზავნამდე მიმართეს, თუმცა, როგორც გითხარით, ამას სამართლებრივი რეაგირება მაშინ არ მოჰყოლია.

ომბუდსმენის ოფისმა მანაშვილის საქმე შეისწავლა, მტკიცებულებების გაყალბების ფაქტზე დეტალური დასკვნა გააკეთა და იუსტიციის მინისტრს რეკომენდაციებით მიმართა.

**"გიგზავნით ჩვენს ხელთ არსებულ მასალებს და მოგმართავთ რეკომენდაციით, დაიწყოთ წინასწარი გამოძიება 369-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედებებისთვის,"** - ასეთია ომბუდსმენის რეკომენდაცია, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარის მოდგილე ლევან ვეფხვაძეც დაეთანხმა და იუსტიციის მინისტრს მანაც შესაბამისი რეკომენდაცია გაუგზავნა.

> ოფიციალურად გაცემული ცნობით, არასრულწლოვანი - 16 წლის დავით მანაშვილი ნასამართლევად გამოცხადდა, არადა, მას მანამდე არასდროს ჰქონია შეხება სამართალდამცველებთან და, შესაბამისად, არც ნასამართლევი ყოფილა.

### გაყალბებული მტკიცებულებები

საქმე ისაა, რომ დავით მანაშვილი, 16 წლის იყო, როცა სამართალდამცველებმა ბრალი დასდეს 2006 წლის 29 ივლისს, დაბა სურამში მომხდარ ირაკლი ჩაკვეტაძის მკვლელობაში. საქმეს იძიებდა შიდა ქართლის კრიმინალური პოლიციის სამმართველო და როგორც ადვოკატი აცხადებს, საქმის ფალსიფიკაცია პირველივე საგამოძიებო მოქმედებიდან დაიწყო. გამომძიებელმა მკვლელობის პირველივე დღეებში ჩაატარა ამოცნობის პროცედურა და მოწმეებს იმ დროისთვის 16 წლის ეჭვმიტანილი იმ სურათზე ამოაცნობინა, რომელიც დავით მანაშვილს 12 წლის ასაკში ჰქონდა გადაღებული. აქვე აღსანიშნავია, რომ დაკავების შემდეგ, როცა დავით მანაშვილი უკვე 18 წლის იყო, გამომძიებელს არ გასჩენია სურვილი ამოცნობის პროცედურა რეალურად ჩაეტარებინა.

საქმის მასალებიდან ირკვევა ისიც, რომ ირაკლი ჩაკვეტაძემ გარდაცვალებამდე ხაშურის კრიმინალური პოლიციის უფროსს რამაზ გრიგალაშვილს მკვლელობის მონაწილე დაუსახელა - ვინმე "ტრინკელი". ეს ფაქტი ბრალდებულის ადვოკატისთვის მკვლელობიდან 2 წლის შემდეგ გახდა ცნობილი - მაშინ, როცა ადვოკატს საქმის მასალები გადაეცა გასაცნობად, სადაც გარდაცვლილის დედის ჩვენება იდო, რომელშიც ამ ფაქტზე იყო საუბარი.

**"ხაშურის კრიმინალური პოლიციის უფროსმა გრიგალაშვილმა ეს ფაქტი დამალა, ამის თაობაზე არც ოქმი შეუდგენია, არც პატაკი ან რაიმე სხვა ოფიციალური დოკუმენტი. მეტიც, დაზარალებულებმა გამომძიებელს აღუწერეს საეჭვო პირის გარეგნობა და მიუთითეს ასაკიც, ითხოვდნენ მის მოძებნას. თუმცა, გრიგალაშვილი მათ ეუბნებოდა, რომ ასეთი პიროვნება ხაშურის რაიონში არ არსებობდა,"** - აცხადებს გელა ნიკოლაიშვილი, რომლის ინფორმაციითაც, გარდაცვლილის ოჯახის წევრებმა თავად დაადგინეს "ტრინკელის" ვინაობა. იგი აღმოჩნდა სურამელი ზვიად სისვაძე. დაზარალებულის ადვოკატმა გამოძიებას შუამდგომლობით მიმართა და მოითხოვა ჩაეტარებინათ ამოცნობის პროცედურა. გელა ნიკოლაიშვილის განცხადებით, საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ გამომძიებელმა სამთელაძემ შუამდგომლობა დააკმაყოფილა, მაგრამ გარდაცვლილის დედას და დას ამოსაცნობად წარუდგინა არა ზვიად სისვაძე, არამედ დავით სისვაძე.

**"დღემდე პასუხგაუცემელია, რატომ დამალა კრიმინალური პოლიციის უფროსმა საქმისთვის ასე მნიშვნელოვანი ფაქტი და რატომ ამოაცნობინეს გარდაცვლილის დედას და დას არა დასახელებული, არამედ სრულიად სხვა პიროვნება,"** - ამბობს დავით მანაშვილის ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი, რომლის თქმითაც, გამოძიებამ უარი განაცხადა მის შუამდგომლობაზე, დაკითხულიყვნენ მოწმეები, რომლებიც ადასტურებენ, რომ დავით მანაშვილი არც მკვლელობამდე, არც მკვლელობის მომენტში და არც შემდეგ დანაშაულის ადგილას არ ყოფილა. გამოძიება რატომღაც არც დაინტერესებულა ამ მოწმეების დადგენით.

როგორც ადვოკატი და ომბუდსმენი აცხადებენ, მტკიცებულებების ფალსიფიკაცია ხსენებული ფაქტით დაიწყო და გამოძიება იძულებული გახდა, თავის უკანონობის დასაფარად მტკიცებულებების გაყალბება გაეგრძელებინა.

ომბუდსმენის განცხადებით, მკვლელობიდან 40 დღის შემდეგ, კანონის იგნორირებით ჩატარდა მკვლელობის იარაღის ამოღების პროცედურა. ჩხრეკა ჩუმათელეთში, მანაშვილების აგარაკზე მოწმეების გარეშე ჩატარდა. გამომძიებლებმა ჩუმათელეთის აგარაკიდან საეჭვო ვითარებაში, კანონით გათვალისწინებული მოწმეების გარეშე ამოიღეს შავი ფერის პისტოლეტი "ვოლტრა პროფესიონალი" იარაღის მჭიდით. თუმცა, ოქმში არ მიუთითებიათ იარაღის ნომერი, გამოშვების თარიღი, არ მიუთითებიათ მჭიდი ცარიელი იყო თუ სავსე, ან რამდენი ვაზნა იყო მასში.

ბრალდებულის ადვოკატის მოთხოვნით, აგარაკიდან ამოღებულ იარაღზე დაინიშნა ალტერნატიული სასამართლო-სამედიცინო, ბალისტიკური, ბიოლოგიური და ტრასოლოგიური ესქპერტიზა. როგორც ომბუდსმენი აცხადებს, მიუხედავად იმისა, რომ საგამოძიებო ორგანო ვალდებულია ექსპერტიზის ბიუროში წარადგინოს დალუქული მტკიცებულება, გამომძიებელი სამთელაძე კარგა ხანს უარს ამბობდა ამ პროცედურის განხორციელებაზე და მხოლოდ 6 თვის შემდეგ, ნაწილ-ნაწილ მიიტანა მტკიცებულებები - ნაცვლად ამოღებული შავი პისტოლეტისა, ნაცრისფერი უნომრო პისტოლეტი, ამოღებული - ქუდის ფორმის 7 ერთნაირი ცილინდრული მასრის ნაცვლად, 5 მასრა, თანაც კონუსისებური ქუდის ფორმით და ახალი ლუქით, რომლებიც ჩატარებული ექსპერტიზისას, იარაღმა ვერ გაატარა და გასკდა.

გამომძიებელმა კომპლექსური ბიოლოგიური და ბალისტიკური ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებაში გარდაცვლილის სხეულიდან ამოღებული 1 ტყვიის გულის ნაცვლად მიუთითა 2 ტყვიის გულა, შსს-ს კრიმინალისტური მთავარი სამმართველოს ექსპერტს კი გადასცა 1 გულა, ხოლო ალტერნატიულ ექსპერტიზაზე მიიტანა 4 ტყვიის გულა, რომელიც განსხვავდებოდა შსს-ს კრიმინალისტურ მთავარი სამმართველოს ექსპერტისათვის გადაცემული გულასგან. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ საქმეში არ არსებობს დადგენილება ტყვიის გულების ნივთმტკიცებად ცნობის თაობაზე. გარდა ამისა, ნივთმტკიცებებზე დარღვეულია ლუქი, რაც თავად გამომძიებელმა სამთელაძემაც წერილობით დაადასტურა. აღსანიშნავია, რომ იარაღზე არ აღმოჩნდა დავით მანაშვილის თითის ანაბეჭდები.

### ფარულ ჩანაწერებში აღიარებული დარღვევები

**"ექსპერტიზის ასეთი შედეგები თავდაყირა აყენებდა საქმეს, რაც გამოიწვევდა საქმის გაყალბებაში მონაწილე პირების სამართლებრივ პასუხისმგებლობას. თანაც, ექსპერტიზის ბიუროში გამომძიებელი სამთელაძე აცხადებდა, რომ იარაღი მან პროკურორის მითითებით ჩადო. ის, რომ მტკიცებულებები გაყალბდა, დასტურდება ექსპერტიზის ბიუროს უფროსის მამალაძის კაბინეტში გაკეთებული ფარული ჩანაწერებით,"** - აცხადებს ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი.

გაგრძელება A6 გვერდზე

### ტრიპოლიში ჩაძირულ გემზე საქართველოს სამი მოქალაქე იმყოფებოდა

ლიბიის ქალაქ ტრიპოლიში ძლიერი შტორმის შედეგად ნაწილობრივ ჩაიძირა კომპანია AFA SHIPPING LTD-ს კუთვნილი გემი SUNDUS, რომელზეც საქართველოს სამი მოქალაქე - გოჩა მჟავანაძე, რუსლან ხოზრევანიძე და ფრიდონ ტაკიძე იმყოფებოდნენ. სანაოსნო კომპანიის განმარტებით, კავშირის დამყარება მხოლოდ გოჩა მჟავანაძესთან მოხერხდა და იგი ამჟამად ტრიპოლის ერთ-ერთ სასტუმროში იმყოფება. მჟავანაძე საქართველოში ლიბიაში უკრაინის კონსულის დახმარებით დაბრუნდება.

რაც შეეხება დანარჩენ ორ მოქალაქეს, რუსლან ხოზრევანიძესა და ფრიდონ ტაკიძეს, მათთან კავშირის დამყარება ვერ ხერხდება. საქართველოს საკონსულო სტამბოლში დაკარგული მოქალაქეების საპოვნელად აქტიურად მუშაობს. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შემთხვევა 4 დეკემბრის დილით მოხდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### რუსმა ოკუპანტებმა ოთხი ქართველი დააკავეს

რუსმა ოკუპანტებმა ოთხი ქართველი დააკავეს. როგორც აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის სამეგრელო-ზემო სვანეთის წარმომადგენლობის უფროსის მოადგილე თორნიკე კილანავა აცხადებს, გუშინ, გვიან ღამით გალის რაიონის სოფელ საბერიოში რუსმა ოკუპანტებმა თემურ ასვანუა, გერვაზ ასვანუა, გელა კორსანტია და მალხაზ ღვინჯილია დააკავეს.

ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, ოთხივე დაკავებული ამ სოფლის მკვიდრია. რუსმა სამხედროებმა ისინი ოჭაკეს მთაზე ნადირობისას დააკავეს, გუშინ დილით კი საბერიოში განლაგებულ აფხაზურ ბლოკპოსტს გადასცეს. აფხაზეთის მედია-ცენტრის ინფორმაციით, აფხაზმა სეპარატისტებმა ოთხივე დაკავებული გალის მილიციაში გადაიყვანეს. **პირველი**

### გადადებული სასამართლო პროცესი

თბილისის საქალაქო სასამართლოში "სონი ცენტრის" სარჩელის განხილვა გუშინ კიდევ ერთხელ გადაიდო. სამ სასარჩელო განცხადებაზე ჩანიშნული მთავარი სხდომის გადადების მიზეზი ახალი მოსამართლეების დანიშვნა გახდა. "დღეს სრულიად მოულოდნელად ახალი მოსამართლეები გამოგვეცხადნენ, რომლებმაც საქმის დეტალების გასაცნობად პროცესები კიდევ გადადეს. ერთი სხდომა ჩაინიშნა 29 დეკემბერს, ორი სხდომა კი 22 დეკემბერს. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ როგორ ცდილობენ საქმის მაქსიმალურად გაჭიანურებას," - განაცხადა კომპანიების "სონი ცენტრის" ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ საქმე ეხება რუსთაველის N30-ში მდებარე "სონი ცენტრის", "ლაზერი-2-თბილისისა" და "კაფე რუსთაველის" მიერ იჯარით აღებული შენობის სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემასა და ამ ქონებაზე საიჯარო ურთიერთობების შეწყვეტის შედეგად მიყენებულ ზიანს. ამერიკულმა კომპანია "იზი ინტერპრაისიზმა", რომელიც საქართველოში ზემოხსენებული კომპანიების მფლობელია, საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ სარჩელი უკვე საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში შეიტანა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### სპეცოპერაცია ქუთაისში

შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ქუთაისში ნარკოტიკული ნივთიერების მომხმარებლები და გამსაღებლები დააკავეს. მასშტაბური რეიდი სოდ-ის ქუთაისის განყოფილებამ განახორციელა, დაკავებულია 30-მდე პირი, მათ შორის რამდენიმე ქალბატონია. ისინი ქუთაისის სხვადასხვა უბანში დააკავეს.

სამართალდამცველების მტკიცებით, დაკავებულთაგან უმრავლესობა რეალიზატორია. სამართალდამცველების ინფორმაციითვე, მათ ჩხრეკისას დიდი რაოდენობით გასასაღებლად გამზადებული ნარკოტიკული ნივთიერება აღმოაჩნდათ. **ინტერპრესნიუსი**

### გადახდილი ჯარიმა და ნაოსნობის უფლება

ბარდაბოსის დროშით მცურავმა გემმა GORGONA ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ დაკისრებული ჯარიმა 65 000 ლარი გადაიხადა.

ანაზღაურებულია გარემოზე მიყენებული ზარალი 4 217 ლარიც და გემს თავისუფალი ნაოსნობის უფლება მიეცა. სანაპირო დაცვის ოპერაციების სამმართველოს ბათუმის ბაზის მესაზღვრეებმა ტანკერი GORGONA ბათუმის საზღვაო ნავსადგურში გარემოს დაბინძურების ფაქტზე გამოავლინეს. **ინტერპრესნიუსი**

### სომალელმა მეკობრეებმა ჰოლანდიური კონტეინერმზიდის ხელში ჩაგდება სცადეს

სომალელმა მეკობრეებმა ჰოლანდიური კონტეინერმზიდის ხელში ჩაგდება ტანზანიის სანაპიროსთან სცადეს. რვა მეკობრემ, რომლებიც ორი კატერით იყვნენ, ჰონგკონგის დროშით მცურავ ხომალდზე მიიტანეს იერიში. მათ რამდენიმე გასროლაც მოახდინეს. შედეგად, კონტეინერმზიდზე ხანძარი გაჩნდა. გემის ეკიპაჟმა ცეცხლი მალევე ჩააქრო, რის შემდეგაც ხომალდმა სიჩქარეს მკვეთრად უმატა და თავდამსხმელს დაუსხლტა.

საერთაშორისო საზღვაო ბიუროს წარმომადგენლებმა შეშფოთება გამოთქვეს მომხდარის გამო. მათი განცხადებით, სომალელმა მეკობრეებმა მოქმედების არეალი მკვეთრად გაიფართოვეს. **მედიანიუსი**

## მოზარდის მკვლელობაში ეჭვმიტანილი პოლიციელი დაკავებულია

საბერძნეთის პოლიციის თანამშრომელი, რომელსაც 6-7 დეკემბრის ღამეს 16 წლის მოზარდის ჩაცხრილვა ედება ბრალად, დაკავებულია. კიდევ ერთი პოლიციელი კი დროებით ჩამოცილებულია სამსახურებრივ საქმიანობას.

37 წლის ეპამინონდას კორკონეასს მკვლელობაში, ხოლო 31 წლის ვასილის სარალიოტისს თანამონაწილეობაში დაედოთ ბრალი. მოზარდი ანარქისტებსა და პოლიციელებს შორის მომხდარი შეტაკებისას დაიღუპა, ამის შემდეგ, ათენში, სალონიკებსა და საბერძნეთის სხვა ქალაქებში მასშტაბური არეულობა დაიწყო. ანარქისტები ქუჩებში აალებადი სითხით სავსე ბოთლებით გამოვიდნენ და ბანკებს, მაღაზიებსა და პოლიციის განყოფილებებს შეუტიეს. პოლიციამ ცრემლმდენი გაზი გამოიყენა. სამი პოლიციელი სერიოზულად არის დაშავებული. შს მინისტრმა პროკოპის პავლოპულოსმა გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა, თუმცა, ხელისუფლებამ მისი თხოვნა არ დააკმაყოფილა. მინისტრის განცხადებით, ყველა დამნაშავეს უსწრაფესად გამოავლენენ და დასჯიან. **მედიანიუსი**

## ავტოავარია გორთან

თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის გორის მონაკვეთზე მომხდარმა ავტოსაგზაო შემთხვევამ ერთი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

თბილისიდან დასავლეთ საქართველოს მიმართულებით მოძრავი სამარშრუტო მიკროავტობუსი საპირისპიროდ მოძრავ მსუბუქ ავტომანქანას შეეჯახა.

მსუბუქ ავტომანქანაში მყოფი ერთი ადამიანი ადგილზევე დაიღუპა. არიან დაშავებულებიც. საპატრულო პოლიცია ავარიის მიზეზს და დაშავებულთა და დაღუპულის ვინაობას ადგენს. **ინტერპრესნიუსი**

## მუზეუმიდან მოპარული შედევრი იპოვეს

უკრაინაში პოლიციამ კარავაჯოს ნახატი იპოვა, რომელიც "ოდესის დასავლეთისა და აღმოსავლეთის ხელოვნების მუზეუმიდან" იყო მოპარული. დაუდასტურებელი ინფორმაციით, შედევრის გატაცების ორგანიზატორი, რომლის კვალზეც პოლიცია კარგა ხნის წინ გავიდა, რამდენიმე თვის წინ მოკლეს. ტილო "ქრისტეს დაპატიმრება, ანუ იუდას კოცნა" 2008 წლის ივლისში მოიპარეს. ეს იტალიელი მხატვრის ერთადერთი ფერწერული ნამუშევარია, რომელიც უკრაინულ მუზეუმში ინახებოდა, მისი ფასი 100 მილიონ დოლარს შეადგენს. 1698 წელს შექმნილი ტილოს დღევანდელი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება. **მედიანიუსი**

# უპრეცედენტო გამოძიება

მე-5 გვერდიდან

იმას, რომ მოხდა მტკიცებულებების ფალსიფიკაცია, შესწავლილ საქმის მასალებზე დაყრდნობით ადასტურებს სახალხო დამცველიც.

**"ალტერნატიული ექსპერტიზისთვის განსხვავებული გვარეობითი ნიშნების მქონე სხვა ნივთმტკიცებისა და ასევე, ტყვიის გულების ლუქების გარეშე წარდგენა ადასტურებს, რომ ადგილი ჰქონდა მტკიცებულებათა ფალსიფიკაციას. ექსპერტიზის ბიუროს უფროსის სამუშაო კაბინეტში გაკეთდა ფარული ვიდეოჩანაწერი, საიდანაც დასტურდება, რომ მტკიცებულებები გაყალბდა სისხლის სამართლის საქმის მსვლელობისას,"** - აცხადებს სოზარ სუბარი. მისივე ინფორმაციით, წარმოდგენილი ვიდეოჩანაწერის შესწავლისას დადგინდა, რომ იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ბიუროს ექსპერტი გია გოგია, ბიუროს ხელმძღვანელის მამუკა მამალაძის და განყოფილების უფროსის კახა ვარძიელის თანდასწრებით, ადასტურებს სამართალდამცველი ორგანოების დავალებით იარაღის ჩადების ფაქტს. გია გოგია ასევე აღიარებს, რომ გორის პროკურატურა ექსპერტებზე ახდენდა ზეწოლას და ითხოვდა, გამოძიების მოთხოვნით დანიშნული ექსპერტიზის დასკვნის ანალოგიური დასკვნის გაცემას. რადგან, მის მიერ რეალური დასკვნის გაცემა გამოიწვევდა ყველა იმ პირის პასუხისმგებლობას, რომლებმაც ხელოვნურად შექმნეს მანაშვილის საქმეში არსებული მტკიცებულებები. ექსპერტი ადასტურებს, რომ მასრებზე არ აღინიშნება წარმოდგენილ იარაღში გავლის კვალი და რომ მასრები წარმოდგენილი იარაღიდან არ არის გასროლილი.

გთავაზობთ რამდენიმე ფრაგმენტს ფარული ჩანაწერებიდან, რომელიც იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ბიუროშია გაკეთებული:

**ექსპერტი გია გოგია:** მთელმა სამინისტრომ იცის, რომ შავი იარაღის ნაცვლად მოიტანა ნაცრისფერი... ატრეჟატელის კვალი ამ მასრებს არ აქვს, იმას აქვს. გამომძიებელს ეტაპობრივად მოჰქონდა მტკიცებულებები... რა კვალზე მელაპარაკებით, არაფერი დამთხვევები არ არის, ვაზში არ არის დამთხვევები. სუფთა ხართ, რა ხაზებზე და რა დამთხვევებზე მალაპარაკებით, სულ სუფთა ხართ!

**შეკითხვა:** გამომძიებელმა თქვა, პროკურორის დავალებით ჩაიდო იარაღი, მე რა შუაში ვარო? ითქვა?

**გია გოგია:** ითქვა...

**შეკითხვა:** ითხოვდა, დაეკონტაქტეთ შსს ექსპერტებსო?

**გია გოგია:** ითქვა და უარი ვუთხარი, თავი დამანებეთ, თქვენი ექსპერტიანად-მეთქი... სამთელაძე იძახის, პროკურატურამ დამაძალაო, გორის პროკურატურამ. მთხოვეს, ვაზში იგივე დასკვნები გაეციო, მე საციხოდ არ გავიხდი საქმეს. გამომძიებელიც იყო, პროკურატურიდან მამალაძესთან დარეკილი იყო... გამომძიებელი მერე დაძვრებოდა... ვინ რა შეცვალა, ვინ რა იმამაძაღლა, რა ჩემი საქმეა...

**შეკითხვა:** იარაღი ახლა ნაცრისფერია?

**გია გოგია:** ნაცრისფერია, მორუხო ნაცრისფერი.

**შეკითხვა:** შეიძლება იარაღმა ფერი შეიცვალოს?

**გია გოგია:** იარაღმა ფერი რომ იცვალოს, ქამელეონი ხომ არ არის...

სახალხო დამცველმა იუსტიციის მინისტრს რეკომენდაციასთან ერთად, მტკიცებულებების ფალსიფიკაციის დამადასტურებელი სხვა მასალები და ფარული ჩანაწერის დისკებიც წარუდგინა.

## გატაცებული მტკიცებულება

დავით მანაშვილის ადვოკატმა გელა ნიკოლაიშვილმა 4 სექტემბერს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელ რამაზ ნასყიდაშვილის წერილი მიიღო, სადაც ნათქვამია, რომ "საქმეზე ნივთმტკიცების სახით ამოღებული **"ვოლტრა პროფესიონალის" მოდელის პისტოლეტი და სხვა მტკიცებულებები, გაიტაცეს მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში, შსს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს შენობიდან, რუსი ოკუპანტების მიერ განხორციელებული დარბევის დროს."** ადვოკატის წერილობით შეკითხვაზე - პისტოლეტის გარდა სხვა რა მტკიცებულებები გაიტაცეს რუსმა ოკუპანტებმა? - დეტექტივ-გამომძიებელი რატომღაც არ პასუხობს.

გამოძიების არაპროფესიონალიზმსა და არაობიექტურობაზე, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც მეტყველებს. შსს-მ ოფიციალურად გაცემული ცნობით, არასრულწლოვანი - 16 წლის დავით მანაშვილი ნასამართლევად გამოცხადდა, არადა, მას მანამდე არასდროს ჰქონია შეხება სამართალდამცველებთან და, შესაბამისად, არც ნასამართლევი ყოფილა.

დავით მანაშვილის საქმე უკვე ორი თვეა ხაშურის სასამართლოს გადაეცა განსახილველად. ადვოკატმა გელა ნიკოლაიშვილმა პროკურატურას შუამდგომლობით მიმართა და მოითხოვა, საქმე თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილოს. როგორც ადვოკატი აცხადებს, დასაკითხია 50-მდე მოწმე, რომლებიც თბილისში ცხოვრობენ და გლდანის საპყრობილეში იმყოფება ბრალდებულიც. ყველა მათგანის ხაშურში ტრანსპორტირება ხარჯებთან და დროსთანაა დაკავშირებული, რაც პროცესის გაჭიანურებას გამოიწვევს. ადვოკატის ამ შუამდგომლობას ჯერჯერობით პასუხი არ მოჰყოლია.

## კონკურსი საქართველოს უზენაეს სასამართლოში სტაჟიორების მიღებასთან დაკავშირებით

მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების, მათი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების და სრულყოფის მიზნით, საქართველოს უზენაესი სასამართლო აცხადებს კონკურსს სტაჟიორთა მიღებაზე. სტაჟირება გრძელდება 6 თვიდან 1 წლამდე, შრომის ანაზღაურების გარეშე. სტაჟირების პირველადი ვადაა 6 თვე. პირველადი ვადის ამოწურვისას, სტაჟიორი გაივლის გასაუბრებას საკონკურსო კომისიის წინაშე. კომისია, გასაუბრების შედეგების მიხედვით, წყვეტს სტაჟირების ვადის კიდევ 6 თვით გაგრძელების საკითხს. სტაჟირების ჩადის შემდგომი გაგრძელება დაუშვებელია.

კანდიდატი შეიძლება იყოს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს იურისტის კვალიფიკაცია, ასევე, იურიდიული ფაკულტეტის დამამთავრებელი ან დამამთავრებლის წინა კურსის სტუდენტი.

**კონკურსი დაიწყება 2009 წლის 20 იანვარს და კონკურსის შედეგად შეირჩევა არაუმეტეს 35 სტაჟიორი.**

**კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:**

კანდიდატს კომპიუტერთან მუშაობის სამომხმარებლო დონეზე ცოდნასთან ერთად, განაცხადში მითითებული სპეციალიზაციის გათვალისწინებით, მოეთხოვება შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა:

ა) საქართველოს კონსტიტუცია;
ბ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონი;
გ) საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი;
დ) ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონი;
ე) საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი;
ვ) ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენცია;
ზ) საქართველოს სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
თ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;
ი) საქართველოს სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

დაინტერესებულმა პირებმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკონკურსო კომისიის სამდივნოში (მის. ძმ. ზუბალაშვილების ქ. №32, ტელ: 93 12 62) უნდა წარადგინონ:

1. სტაჟირების შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის განაცხადი (გაიცემა ადგილზე);
2. ავტობიოგრაფია;
3. ერთი ფოტოსურათი ზომით 3/4;
4. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
5. დიპლომის ასლი (ან ცნობა უმაღლესი სასწავლებლიდან);

(სტაჟირების კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში კონკურსანტმა აგრეთვე უნდა წარმოადგინოს სამედიცნო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა)

დოკუმენტაციის წარდგენის ვადა განისაზღვრება განცხადების გამოქვეყნებიდან 2 კვირის ვადით, 10.00 საათიდან 18.00 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა.

**უმაღლესი სამედიცინო სკოლა აიეტი აცხადებს კონკურსს 2008-09 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრიდან დოქტორანტურაში სწავლის მსურველთათვის შემდეგი მიმართულებებით:**

1. კარდიოლოგია - 8 სადოქტორო კვლევითი პროგრამა.
პროგრამ-დირექტორები:
ნ. ნარსია, მედ. მეც. დოქტ., პროფ.
ნ. ბრეგვაძე, მედ. დოქტ., პროფ.
თ. თალაკვაძე, მედ. დოქტ., ასოც. პროფ.
ლ. ტვილდიანი, მე, დოქტ., პროფ.
ა. ცინცაძე. მედ. მეც. დოქტ.
2. ბიოქიმია - 4 სადოქტორო კვლევითი პროგრამა.
პროგრამ-დირექტორები:
ს. თაბაგარი, მედ, დოქტ., პროფ.
ქ. ბიგარი, მედ. დოქტ., ასოც. პროფ.
დ. ციბაძე, მედ. დოქტ., ასოც. პროფ.
მ. გორდელაძე, მედ. დოქტ., ასისტ. პროფ.
ნ. ბრეგვაძე, მედ. დოქტ., პროფ.
ზ. ფაღავა, მედ. მეც. დოქტ., პროფ.

3. პათოლოგია - 2 სადოქტორო კვლევითი პროგრამა.
პროგრამ-დირექტორი:
დ. კასრაძე, მედ. მეც. დოქტ., პროფ.
ა. თავართქილაძე, მედ. დოქტ.
ი. თავზარაშვილი, მედ. დოქტ.

4. მეანობა-გინეკოლოგია - 2 სადოქტორო კვლევითი პროგრამა.
პროგრამ-დირექტორები:
ნ. მანჯგალაძე, მედ. დოქტ., ასოც. პროფ.
ბ. ტყეშელაშვილი, მედ. მეც. დოქტ.
5. ოფთალმოლოგია - 1 სადოქტორო კვლევითი პროგრამა.
პროგრამ-დირექტორი:
დ. შენგელია, მედ. მეც. დოქტ., პროფ.

საბუთების მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 11-დან 15 საათამდე შემდეგ მისამართზე:
ქ. თბილისი,
ლუბლიანას ქ. 26,
უმაღლესი სამედიცინო სკოლა აიეტი ,
კანცელარიაში
ტელ.: 51-68-98, ფაქსი: 52-71-96
ელ.ფოსტა: phd@aieti.edu.ge

# ჩრდილოკავკასიური საფრთხე

ეკა ჯანაშია

ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული დაძაბული ვითარების სტაბილიზაციის მიზნით, რუსი პარლამენტარები სპეციალურ კომისიას ქმნიან. რუსეთის ფედერაციის საბჭოს ვიცე-სპიკერი ალექსანდრე ტორშინის განცხადებით, კომისიაში ჩრდილოკავკასიური შვიდი სუბიექტის საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები, სენატორები, დუმის თითო ფრაქციიდან თითო დეპუტატი, ასევე ძალოვანი და ეკონომიკური უწყებების წარმომადგენლები შევლენ.

ტორშინი ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე სერგეი მირონოვს მიმართავს წინადადებით, რომ მან მანდატი არ გაუგრძელოს ჩრდილოეთ კავკასიაში სიტუაციის ანალიზის დროებით კომისიას, რომელიც 2004 წელს შეიქმნა. სენატორის თქმით, კომისიამ ვერ შეძლო რეგიონში არსებულ სიტუაციაზე ყოველდღიური მონიტორინგის უზრუნველყოფა.

" **კომისია შეისწავლის ჩრდილოეთ კავკასიაში არსებულ მდგომარეობას და შეეცდება, სტაბილიზაციისათვის საჭირო გადაწყვეტილებები მიიღოს. ერთ-ერთი მთავარი ამოცანა კი ნაციონალური კადრების მომზადება იქნება,"** - აცხადებს ტორშინი გაზეთ "იზვესტიასთან" საუბრისას.

პოლიტოლოგ სერგეი მარკედონოვის თქმით, ტორშინის მიერ შეთავაზებული კომისიისგან განსხვავებით, **"კავკასიის ბიურო იყო ორგანო, რომელიც სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს ღებულობდა, მაშინ, როცა ფედერაციის საბჭოში იქმნება სტრუქტურა, რომლის მოვალეობაც იქნება მხოლოდ ფსბ-სა და შსს-ს ანგარიშების მოგროვება იმის შესახებ, რომ კავკასიაში ყველაფერი ცუდად არის."** ექსპერტის აზრით, ხელისუფლების მთავარი ამოცანაა, აღიარონ, რომ დაღესტანსა და ინგუშეთში ბრძოლას აწარმოებენ არა ბანდიტები, არამედ პოლიტიკურად მოტივირებული ადამიანები და რომ საჭიროა მათი პოლიტიკური მოტივაციის გაგება.

როგორც ქართველი ექსპერტი მამუკა არეშიძე აღნიშნავს, ჩრდილოეთ კავკასიაში ფრონტალური ომი არ მიმდინარეობს, მაგრამ იქ უმძიმესი მდგომარეობაა. **"ადრე, ტრადიციულად, იატაკქვეშა ორგანიზაციები გაზაფხულზე აქტიურდებოდნენ, ხოლო ზამთარში აქტივობები წყდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ახლა ზამთარია, იატაკქვეშეთი ისეთი აქტიურია, როგორც არასდროს. რამდენიმე დღის წინ ისინი ნაზრანის პოლიციის მთავარ სამმართველოს დაესხნენ თავს. ასევე ძალიან აქტიურია ნაციონალური მოძრაობა ჩეჩნეთში, თუმცა კადიროვი ამას მალავს, რათა მის უძლეველობაში და სიძლიერეში მოსკოვმა ეჭვი არ შეიტანოს. ჩრდილოეთ კავკასიაში თითქმის ჩამკვდარი ნაციონალისტური მოძრაობა აგვისტოში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების შემდეგ ხელახლა აღორძინდა. სცენაზე გამოჩნდნენ ისეთი საველე მეთაურები, როგორიც არის ინგუში მუნაევი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ჩრდილოეთ კავკასიაში აქამდე მოქმედ ისლამისტებთან. ოსურმა ისლამურმა ჯამაათმა სამხრეთ ოსეთი რუსეთთან საომარ ტერიტორიად გამოაცხადა. ქართული საზოგადოებისთვის უცნობია, რომ არსებობს ოსების მცირე ჯგუფი - დიგორელი ოსები, რომლებიც ისლამის მიმდევრები არიან. ეს ძალიან მცირერიცხოვანი, თუმცა საკმაოდ აქტიური და ძლიერი ჯგუფია,"-** აცხადებს არეშიძე. მისი აზრით, რუსეთის პოლიტიკა ჩრდილოეთ კავკასიაში მცდარია, ვინაიდან მხოლოდ ძალაზეა დამყარებული.

**"შეცვლის თუ არა რამეს ეს კომისია, არ ვიცი, თუმცა ცხადია, რომ, რაც ჩრდილოეთ კავკასიაში ხდება, აუცილებლად აისახება საქართველოზე და ამისთვის მზად უნდა ვიყოთ,"** - ამბობს არეშიძე.

სტრატეგიის და საერთაშორისო კვლევების ფონდის წამყვანი ექსპერტი ირაკლი მენაღარიშვილი მიიჩნევს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში კატასტროფული ვითარებაა, რომელიც ძალიან მალე აფეთქდება. **" რუსეთში დაინახეს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში დუღილი კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა, მაგრამ ძნელი სათქმელია, ამ პრობლემების ფონზე რამდენად ადეკვატურია დუმაში შექმნილი კომისია,"** - ამბობს მენაღარიშვილი. მისივე თქმით, ჩრდილოეთ კავკასიაში დაბალი ინტენსივობის საომარი მოქმედებები მიმდინარეობს და რუსეთი შეეცდება, იქ შექმნილი დაძაბულობა სამხრეთ კავკასიაში ანუ საქართველოში გადმოიტანოს, ან შეიძლება ეს ისედაც მოხდეს და რუსეთმა ამას ხელი არ შეუშალოს. **"ჩვენ შეიძლება მივიღოთ ის ყველაფერი, რაც უკვე გავიარეთ ჩეჩნეთთან ომის დროს - შეიარაღებული ჯგუფების გადმოსვლა საქართველოში, საქართველოს ხელისუფლებასთან მათი დაპირისპირების ინსპირირება, რუსეთის პირდაპირი სამხედრო მოქმედებები საქართველოს ტერიტორიაზე ტერორისტთა განადგურების დროშით. ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის პოლიტიკამ და აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ ღია აგრესიამ დაადასტურა, რომ რუსეთი ამის ჩამდენია. დუმაში შექმნილი კომისია, თუ რუსეთი მხოლოდ ამით შემოიფარგლება, იქნება არაადეკვატური, მოხდება საკითხის ტიპური საბჭოთა გადაწყვეტა, როდესაც ადმინისტრაციული ხერხებით ვერ წყვეტდნენ პრობლემას და მისი მიჩუმათების მიზნით ქმნიდნენ კომისიას,"** - აცხადებს მენაღარიშვილი.

## იაპონიაში აეს-ზე ხანძარი გაჩნდა

ატომურ ელექტროსადგურ "კასივაძაკი-კარივაზე", იაპონიის ჩრდილოეთით, ხანძარი გაჩნდა. აალება მილსადენის შედუღებისას მოხდა. ცეცხლის ჩაქრობას თითქმის ერთი საათი დასჭირდა. მომხდარის შედეგად, კომპლექსის ერთი მუშაკი ავარდნილი ალისგან მოიწამლა. ამ ეტაპზე მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ხანძარს რადიაქტიური დაბინძურების საფრთხე არ შეუქმნია. ეს ის ატომური სადგურია, რომელიც შარშანდელმა მიწისძვრამ სერიოზულად დააზიანა. **მედიანიუსი**

## რუსეთის პატრიარქობის კანდიდატები

რუსული გამოცემა "კომერსანტი" რუსეთის პატრიარქობის კანდიდატების შესახებ იუწყება. ესენი არიან: სმოლენსკისა და კალინინგრადის მიტროპოლიტი კირილი და კალუჯისა და ბოროვსკის მიტროპოლიტი კლიმენტი. გამოცემა წერს, რომ სწორედ ისინი მიიჩნევიან პატრიარქობის ფავორიტებად, რადგან აქვთ აუცილებელი ავტორიტეტი რუსულ მართლმადიდებლურ წრეებში, დიდი გამოცდილება შიდასაეკლესიო პრობლემების მოგვარებაში.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი II 5 დეკემბერს გარდაიცვალა. მიზეზად გულის უკმარისობა სახელდება. მას ხვალ დაკრძალავენ.

ამჟამად პატრიარქის მოვალეობებს მიტროპოლიტი კირილი ასრულებს. ახალი პატრიარქი ექვსი თვის ვადაში უნდა აირჩიონ. **მედიანიუსი**

## მულა ომარმა ავღანეთის მოსახლეობას საპრეზიდენტო არჩევნების ბოიკოტისკენ მოუწოდა

ტერორისტული მოძრაობა თალიბანის ლიდერმა მულა ომარმა ავღანეთის მოსახლეობას 2009 წელს დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნების ბოიკოტისკენ მოუწოდა. "თავს ნურავის მოატყუებინებთ, არჩევანს მაინც ვაშინგტონში გააკეთებენ," - აცხადებს 49 წლის ლიდერი ყურბან-ბაირამის გამო ელექტრონული წერილით დაგზავნილ მიმართვაში.

"ვინც არ უნდა გაიმარჯვოს, ის თქვენ მაინც ვერაფერს გიშველით," - დასძენს მულა ომარი.

მულა ომარი თალიბანის სათავეში 1996-2001 წლებში იდგა, როდესაც ავღანეთს თალიბთა რეჟიმი მართავდა. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ კი ავღანეთში აშშ-ს ჯარები შევიდნენ და თალიბთა მმართველობა დაამხეს, "ალ ქაიდას" ლიდერი ოსამა ბინ ლადენი კი ნომერ პირველ ტერორისტად გამოაცხადეს. **მედიანიუსი**


## განცხადება

შპს "ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი", "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ტენდერს 2009 წლისათვის ცენტრის საჭიროებისათვის კვების პროდუქტების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**დამატებითი ინფორმაცია:**

1. დაფინანსების წყარო — სახელმწიფო ბიუჯეტი.
2. ტენდერში გამარჯვებულის მიერ საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ადგილზე მიტანით, ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
3. მიწოდების ადგილი: შპს "ქ.თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი" გლდანი-ნაძალადევის რაიონი, იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩა № 43.
4. შესასყიდი საქონელი უნდა იყოს ახალი, მაღალი ხარისხის და აკმაყოფილებდეს სტანდარტებით განსაზღვრულ მეთოდებს.
5. დაინტერესებულმა პირებმა განცხადება ტენდერში მონაწილეობის შესახებ დალუქვის გარეშე, ხოლო საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე დედანის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, ორ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2008 წლის 29 დეკემბრის 14 საათამდე შემდეგ მისამართზე: იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩა №43 შპს "ქ. თბილისი ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი".
6. დალუქული პაკეტები პრეტენდენტთა თანდასწრებით გაიხსნება 2008 წლის 29 დეკემბერს, 15 საათზე.
7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობასა და ინფორმაციებს:

**7.1. იურიდიული პირისათვის:**
- შესყიდვაში მონაწილე მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- იურიდიული პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ცნობა ტენდერში მონაწილე პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი საჯარო რეესტრიდან).

**7.2. ფიზიკური პირისათვის:**
- ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას არ აქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა.

**7.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილე ობიექტის გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ მიმდინარეობს ტენდერში მონაწილე პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ.

8. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.
9. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდებათ უკან პრეტენდენტებს.
10. სატენდერო წინადადებების მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, ანგარიშზე: სს "საქართველოს ბანკი"-ს ც/ფ, ბანკის კოდი 220101502, ა/ა №121195700, ს/კოდი 209446900.
11. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა, რომლებსაც მიენიჭებათ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ცალკეული ლოტების შესრულების უფლება.
12. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება.
13. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.
14. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნანა ალუხაშვილი, ლალი მოჩხილაძე 890 265-090, 62-15-70. შპს "ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი".

| № | კვების პროდუქტის დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| | **ლოტი 1.** | | |
| 1 | პური ხორბლის | კგ | 23360 |
| | **ლოტი 2.** | | |
| 2 | კარაქი | " | 2336 |
| 3 | რძის ფხვნილი | " | 2630 |
| 4 | ხაჭო | " | 995 |
| 5 | არაჟანი | " | 600 |
| 6 | ყველი | " | 1170 |
| | **ლოტი 3.** | | |
| 7 | სურსათი: | | |
| 8 | კაკაო | " | 60 |
| 9 | ჩაი | " | 60 |
| 10 | ყავა | " | 30 |
| 11 | კისელი | " | 1400 |
| 12 | პეჩენია | " | 2336 |
| 13 | ტკბილეული | " | 50 |
| 14 | პურის ფქვილი | " | 1460 |
| 15 | შაქარი | " | 1752 |
| 16 | კვერცხი | ც | 23360 |
| 17 | მარილი | " | 550 |
| 18 | ტომატი | " | 880 |
| 19 | ძმარი | " | 146 |
| 20 | ზეთი | " | 935 |
| 21 | ბრინჯი | " | 2000 |
| 22 | მანი | " | 1240 |
| 23 | მაკარონი | " | 1300 |
| 24 | წიწიბურა | " | 1300 |
| | **ლოტი 4** | | |
| | ხილ-ბოსტნეული: | | |
| 25 | კომბოსტო | " | 11000 |
| 26 | სტაფილო | " | 3212 |
| 27 | ჭარხალი | " | 2920 |
| 28 | ხახვი | " | 1870 |
| 29 | მწვანილი | " | 1170 |
| 30 | ნიორი | " | 146 |
| 31 | კარტოფილი | " | 23360 |
| 32 | ბადრიჯანი | " | 700 |
| 33 | ბულგარული წიწაკა | " | 100 |
| 34 | პომიდორი | " | 1000 |
| 35 | კიტრი | " | 500 |
| 36 | ლობიო (ხმელი) | " | 700 |
| 37 | ლობიო (მწვანე) | " | 300 |
| 38 | ყვავილოვანი კომბოსტო მჟაუნა | " | 240 |
| 39 | ხილი (ახალი) | " | 240 |
| 40 | ხილი (ხმელი) | " | 5740 |
| 41 | | " | 100 |
| | **ლოტი 5.** | | |
| 42 | ხორცი (საქონ.) | " | 7000 |
| 43 | ხორცი (ფრინ.) | " | 300 |
| 44 | თევზი | " | 5840 |
| 45 | საფუარი | " | 15 |

# ოპერაცია "ატალანტა"

## ევროკავშირი სომალელი მეკობრეების წინააღმდეგ ბრძოლას იწყებს

ხათუნა ბაბიევი



ოპერაცია "ატალანტა" 8 დეკემბერს დაიწყო.

AFP ' 2008

ევროკავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტმა და სამხედრო-საჰაერო ძალებმა, ოპერაცია "ატალანტას" ფარგლებში, სომალის ტერიტორიული წყლების სიახლოვეს 8 დეკემბერს პატრულირება დაიწყეს. საერთაშორისო ძალების ოპერაციის ძირითადი ამოცანა მეკობრული აქტივობის შეკავებაა.

ადენის ყურეში მყოფ სავაჭრო გემებს დახმარებას, დასაწყისისთვის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და გერმანიის ექვსი ხომალდი და სამი თვითმფრინავი გაუწევენ. "ბი-ბი-სი-ს" თანახმად, მისიის ხელმძღვანელია ბრიტანელი კონტრადმირალი ფილიპ ჯონსი. აღსანიშნავია, რომ ეს ევროკავშირის ისტორიაში პირველი საზღვაო ოპერაციაა და იგი, სულ მცირე, ერთ წელიწადს მაინც გაგრძელდება.

სომალელი მეკობრეების წინააღმდეგ ოპერაციის ჩატარება ევროპული თანამეგობრობის 27 წევრი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე 10 ნოემბერს გადაწყვიტეს. ოფიციალურად გავრცელებული ინფორმაციით, ევროკავშირის ძალები ჯიბუტიში მდებარე საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბაზებიდან იმოქმედებენ. ევროკავშირის ძალების წარმომადგენლები უფლებამოსილნი არიან, ოპერაციის ფარგლებში ძალა გამოიყენონ და ეჭვმიტანილები დააკავონ.

გაურკვეველი მხოლოდ ის რჩება, რა ბედი ეწევათ დაკავებულ მეკობრეებს, - აღნიშნავს "ბი-ბი-სი". გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერის თქმით, ევროკავშირი მზადაა, გადახედოს შეთანხმებას, რათა შესაძლებელი გახდეს დაკავებული მეკობრეების მესამე ქვეყნებში გასამართლება.

აფრიკული კონცხის სიახლოვეს, ნატო-ს ძალების გარდა, უკვე შეკრებილია, სულ მცირე, ათი ქვეყნის - ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ნიდერლანდების, ესპანეთის, იტალიის, დანიის, ინდოეთის, მალაიზიისა და სამხრეთ კორეის სამხედრო ხომალდები. მათთან შორიახლოსაა ასევე რუსეთის სამხედრო გემებიც.

ასეთი მასშტაბური სამხედრო კონტიგენტის მიუხედავად, 24 ოქტომბერს ნატო-ს ოპერაციის დაწყების დღიდან მეკობრეები 32 ხომალდს დაესხნენ თავს, რომელთაგან 12-ის ხელში ჩაგდებაც მოახერხეს.

ყოფილ იტალიურ-ბრიტანულ კოლონიას დღემდე არ ძალუძს ელემენტარული სახელმწიფო მმართველობის ატრიბუტების მოწესრიგება, რომ არაფერი ითქვას ეკონომიკაზე. სომალის ტერიტორიაზე ურიცხვი რაოდენობითაა წარმოდგენილი პროტოსახელმწიფოებრივი (შეიძლება ითქვას - ტომობრივი) წარმონაქნები, რომლებიც დაკავებულნი არიან იარაღით ვაჭრობითა და ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთვის ერთმანეთთან ომით.

აღსანიშნავია, რომ მეკობრეების ზღვაში განადგურება დაუშვებელია: მათ, ადრე თუ გვიან, ნაპირზე გადმოსვლა და ნამდვილ სამხედრო ოპერაციაში ჩაბმა მოუხდებათ. სახმელეთო ოპერაციის შედეგების პროგნოზირება კი შეუძლებელია: შეიარაღებული დაჯგუფებები ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მიმოიფანტებიან და მომხდურებთან პარტიზანულ ბრძოლას დაიწყებენ.

სომალის გარშემო შექმნილი მდგომარეობის სირთულეს, ცხადია, არც ექსპერტები უარყოფენ. "სტრატეგიული კულტურის ფონდის" ავტორის თქმით, ერთ კონკრეტულ ადგილზე მეკობრეობას ასეთი მასობრივი ხასიათი არასდროს ჰქონია, ისევე როგორც დღემდე არ მიუპყრია მასმედიის ასეთი ყურადღება. ექსპერტის აზრით, ეს სახიფათო სიგნალია, რაც იმას ნიშნავს, რომ "საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრს" რაღაცისთვის ამზადებენ.

გაერო-ს რეზოლუცია რიგ სახელმწიფოებს უფლებამოსილს ხდის, შევიდნენ სომალის ტერიტორიულ წყლებში და "გამოიყენონ ყველა აუცილებელი ზომა მეკობრეების საქმიანობის აღსაკვეთად". ასეთი უფლება მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფოს აქვს. აღნიშნული სახელმწიფოების სახელები რეზოლუციის ტექსტში პირდაპირ არ არის გაწერილი და მხოლოდ ირიბადაა ნახსენები - "სახელმწიფოები, რომლებიც გარდამავალ ფედერალურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობენ." კონკრეტული სიის ხილვა კი შესაძლებელია გაერო-ს გენერალური მდივნის ანგარიშში, რომელიც 2008 წლის 17 ნოემბრით თარიღდება. ესენია: შეერთებული შტატები, საფრანგეთი, კანადა, ესპანეთი, დანია, ინდოეთი და რუსეთი.

"სტრატეგიული კულტურის ფონდის" ავტორის თქმით, "სომალელი მეკობრეების" პრობლემა ცოტა სხვაგვარად უნდა წარმოჩინდეს, ვიდრე იმ კუთხით, როგორც მას მასმედია აჩვენებს. მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიერ წარმოდგენილ მასალებში მეკობრეები სომალიში სამხედრო შეჭრისთვის კარგად მოფიქრებულ მიზეზად ჩანან.

"საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრი" უკვე კარგადაა დამუშავებული და მომწიფებული სისხლისმსმელი მეკობრების ხელში ჩასაგდებად. თუმცა, მეკობრეობის პრობლემასთან ერთად, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა გადაიჭრება, კერძოდ - სომალის "მთელ სახმელეთო ტერიტორიასა" და ტერიტორიულ წყლებზე კონტროლის დამყარება. სომალის ტერიტორიული წყლები, რომელიც მოუხელთებელი "სომალელი მეკობრეების" განკარგულებაშია, ინდოეთის ოკეანიდან წითელ ზღვაში გასასვლელ, სტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს წერტილს წარმოადგენს მსოფლიოში.

ადენის ყურე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საზღვაო მარშრუტია. ამ წერტილში ყოველწლიურად მეკობრეების მხრიდან, დაახლოებით, 100 თავდასხმა ხდება.

რაც შეეხება ბოლო დროს სომალელ მეკობრეთა ალაფს, აღსანიშნავია ხომალდი "ფაინა", რომელიც დატვირთული იყო ტ-72 ტიპის 33 ტანკით, ტყვიამფრქვევებითა და დიდი ოდენობით საბრძოლო მასალით. ეკიპაჟის შემადგენლობაში ირიცხება უკრაინის 17 მოქალაქე, რუსეთის ორი და ერთიც ლატვიის მოქალაქე.

გარდა ამისა, ჯერ კიდევ მეკობრეების ხელში რჩება მიმდინარე წლის ნოემბრის შუა რიცხვებში დატყვევებული საუდის არაბეთის სუპერტანკერი "სირიუს სტარი", რომელიც 100 მლნ აშშ დოლარზე მეტი ღირებულების ნავთობით არის დატვირთული.

# მუმბაის ტერაქტის სავარაუდო ორგანიზატორი დააკავეს



პაკისტანის სპეცსამსახურებმა მუზაფარაბადში "ლაშქარ-ე-ტაიბის" ბანაკზე რეიდი განახორციელეს.

AFP ' 2008

მუმბაის ტერაქტის ერთ-ერთი სავარაუდო ორგანიზატორი კვირას პაკისტანის სპეცსამსახურების მიერ ჩატარებული ოპერაციის შედეგად დააკავეს. ამის შესახებ ინფორმაცია დაადასტურა გასამხედროებულ დაჯგუფება "ლაშქარ-ე-ტაიბთან" დაახლოებულმა წყარომ, რომლის ვინაობაც არ სახელდება.

პაკისტანელმა ძალოვანებმა რეიდი მოაწყვეს "ლაშქარ-ე-ტაიბის" სამხედრო ბანაკზე, რომელიც ქაშმირის პაკისტანურ ნაწილში, ქალაქ მუზაფარაბადში მდებარეობს. რეიდის დროს დააკავეს ზაკი რეჰმან ლაკჰვი, რომელიც, ოფიციალური დელის აზრით, მუმბაიზე განხორციელებული ტერორისტული თავდასხმის ერთ-ერთი ორგანიზატორი უნდა იყოს. ამგვარი ინფორმაცია ინდურმა პოლიციამ ერთადერთი ცოცხლად დარჩენილი ტერორისტის დაკითხვის შედეგად მოიპოვა.

ინდოეთის ოფიციალური პირების თქმით, ზაკი რეჰმან ლაკჰვი და დაჯგუფება "ლაშქარ-ე-ტაიბის" ანტიინდური მიმართულების ხელმძღვანელი იუსუფ მუზამილი ტერორისტული თავდასხმის დროს ბრძანებებს ტელეფონის მეშვეობით გასცემდნენ. ინდური პოლიციის ინფორმაციით, ქვეყნის ფინანსურ დედაქალაქზე თავდასხმამდე ორი დღით ადრე ათი ტერორისტისგან შემდგარი ჯგუფი იუსუფ მუზამილთან და "ლაშქარ-ე-ტაიბის" კიდევ ოთხ ლიდერთან კავშირზე თანამგზავრული ტელეფონებით გადიოდა.

მუმბაიში განხორციელებულმა ტერაქტმა, რომელმაც თითქმის 200 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ინდოეთსა და პაკისტანს შორის ურთიერთობები მკვეთრად დაძაბა. ინდური პოლიციის ცნობით, ათივე ტერორისტი მომზადებას გადიოდა "ლაშქარ-ე-ტაიბის" ბანაკში, რომელიც ქაშმირის პროვინციის პაკისტანის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარეობს.

მოგვიანებით, როგორც ინდოეთის ტელევიზია იუწყებოდა, მიღებული იქნა მტკიცებულებები, რომ ტერაქტების ორგანიზებასთან პაკისტანის უწყებათაშორის დაზვერვასაც ჰქონდა კავშირი. ინდოეთის ხელისუფლებისთვის ცნობილი გახდა ინსტრუქტორების სახელები და ასევე იმ ბანაკების ადგილმდებარეობა, სადაც ტერორისტები გადიოდნენ მომზადებას.

ოფიციალური ისლამაბადი უარყოფს, რომ მუმბაიზე თავდასხმის მონაწილეები პაკისტანის მოქალაქეები არიან და ინდური მხარის მიერ წარმოადგენილ მტკიცებულებებს არასაკმარისს უწოდებს. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ პაკისტანის ხელისუფლება ოფიციალურად არ ადასტურებს ქაშმირში განხორციელებულ რეიდს, რომლის დროსაც "ლაშქარ-ე-ტაიბისა" და მისი საბრძოლო ფრთის "ჯამაათ-უდ-დავას" 20 წევრი დააკავეს.

დაჯგუფებასთან დაახლოებული წყარო იუწყებოდა, რომ, დაახლოებით, ოთხი ან ხუთი პიროვნება იქნა დაკავებული. პაკისტანის დაზვერვის ოფიცერთა თქმით კი, დაპატიმრებულია ექვსი ადამიანი, რომელთა ვინაობა არ სახელდება.

პაკისტანის ტერიტორიაზე დაბანაკებული სამხედრო დაჯგუფებების მიმართ უფრო მკვეთრი პოზიციის დაკავება ისლამაბადს არა მარტო ინდოეთმა, არამედ შეერთებულმა შტატებმაც მოსთხოვეს. აშშ-ს სახელმწიფო მდივან კონდოლიზა რაისის თქმით, ეჭვგარეშეა, რომ მუმბაიზე ტერორისტული თავდასხმის მოსამზადებლად "პაკისტანის ტერიტორია, სავარაუდოდ, არასახელმწიფო ელემენტების მიერ იქნა გამოყენებული."

ჩნდება კითხვა - თუ ზაკი რაჰმან ლაკჰვის დაკავება ოფიციალურად დადასტურდება, რას მოიმოქმედებს პაკისტანის ხელისუფლება და დააკმაყოფილებს თუ არა ინდოეთს მისი გადაწყვეტილება. პაკისტანის პრეზიდენტი ასიფ ალი ზარდარი ადრე აცხადებდა, რომ ისლამაბადი ძებნაში გამოცხადებულ ტერორისტებს ინდოეთს იმ შემთხვევაშიც კი არ გადასცემს, თუ მათი ბრალეულობა დადასტურდება.

# რევიუ

## კვირის წიგნები

### ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ცენტრის გამოცემები

სოფო კილასონია










საქართველოში ხელოვნების კვლევა ფოკუსირებას შუა საუკუნეებზე ახდენს და ეს არავისთვის სიახლეს არ წარმოადგენს. ქართული შუა საუკუნეები ქართველ მეცნიერთა ყველაზე დიდ ყურადღებას იპყრობდა ყოველთვის. მათი მუშაობა არაერთი უცხოელი მკვლევარის ინტერესსაც იწვევდა. ქართული მონუმენტური მხატვრობა და ხუროთმოძღვრება ძალიან მდიდარი მასალაა, როგორც ზოგადად შუა საუკუნეების მკვლევართათვის, ისე კონკრეტულად ქრისტიანული ხელოვნების, ბიზანტიური კულტურის მცოდნეთა და მკვლევართათვის.

ქართული შუა საუკუნეების ხელოვნების კვლევის პროცესი გარკვეულ ფენებად შეიძლება წარმოვიდგინოთ. თავდაპირველად შეიქმნა ძალიან ზოგადი მასალა, მსგავსი მონაცემთა ბაზისა, რის არსებობასაც გიორგი ჩუბინაშვილმა დაუდო სათავე, ეს ბაზა იქცა ფუნდამენტად, რომლზეც ფაქტობრივად დაშენდა ქართული სახელოვნებათმცოდნეო სკოლა და საქართველოში ხელოვნების პროფესიული კვლევის მეთოდები. ამ ყველაფრის სათავე გიორგი ჩუბინაშვილთან უნდა ვეძებოთ. მაგრამ სათავეების გარდა მის მიერ აღზრდილმა თაობებმა თუ ინსტიტუციებმა საკმაო გზა გამოიარეს, რათა ქართული სახელოვნებათმცოდნეო მეცნიერება სიბრტყიდან სიღრმეებს ჩასწვდომოდა და ამ გზაზე ბევრი წარმატებული ნაშრომი, წიგნი, თუ კვლევა შემოგვთავაზეს. ინსტიტუციებიდან, რომლებიც გიორგი ჩუბინაშვილის სახელსა და ღვაწლს უკავშირდება უმთავრესი გახლდათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის კვლევითი ინსტიტუტი. მაგრამ ბოლო წლებში გატარებული რეფორმების გამო, ჩუბინაშვილის სახელობის ინსტიტუტმა შეიცვალა მისამართი, შეიცვალა დასახელება და სავარაუდოდ განიცადა სტრუქტურული ცვლილებებიც. მაგრამ დღეს უკვე საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ფრთებქვეშ არსებული გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი ჩვენთვის მისი სტრუქტურული ცვლილებების თვალსაზრისით არ გამხდარა საინტერესო.

კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით ცენტრი ბოლო სამი წელია აქტიურად გამოსცემს წიგნებსა და ალბომებს, ტექსტებით, რომლებიც საინტერესოა, როგორც რიგითი მკითხველისთვის, ისე პროფესიონალისთვის, რომელიც აშკარად მონატრებულია მაღალპოლიგრაფიულ ხარისხსა და მრავლისმომცველ ტექსტებს ქართულ ენაზე. ჩუბინაშვილის სახელობის ცენტრმა ამ ბოლო წლებში წარმოგვიდგინა რამდენიმე ისეთი მონოგრაფია, რომელთა გამოცემაც მართალია ძალიან დაგვიანდა, მაგრამ ამავდროულად ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა გახლათ თუნდაც ამ ეტაპზე. გასულ წელს გამოცემული წიგნებიდან მაგონდება "გელათი" - ლეილა ხუსკივაძის მონოგრაფია, მშვენიერი ილუსტრაციებით. მკითხველს ალბათ გაუკვირდება, მაგრამ ისეთ ძეგლებსა და კოლექციებზე, რომელზეც თითქოს და ყველამ ყველაფერი იცის, და რომელთა უნიკალურობაც ცნობილია, მათ შესახებ რიგიანი და ამომწურავი ლიტერატურა, თუნდაც ხარისხიანი ალბომები არც თუ ისე ბევრია. სწორედ ასეთ სიცარიელეთა ამოვსება დაუსახავთ მიზნად ხელოვნების ისტორიის კვლევის ცენტრში.

2008 წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ და გ.ჩუბინაშვილის სახელობის ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნულმა ცენტრმა სამი მეტად მნიშვნელოვანი გამოცემა შემოგვთავაზა. სწორედ მათ შესახებ მოგახსენებთ დღეს.

თავდაპირველად შევეხებით წიგნს, რომელიც დავით გარეჯის მონასტრებს, ლავრასა და უდაბნოს აცნობს მკითხველს. წიგნი გამოსაცემად მოამზადეს მარინე ბულიამ და დიმიტრი თუმანიშვილმა. ტექსტების ავტორებიც თავად არიან, თუმცა ზემოთ ხსენებულთა გარდა ტექსტის ავტორია ასევე ანელი ვოლსკაია, დავით გარეჯის მოხატულობათა ცნობილი მკვლევარი, რომელსაც აქამდეც არაერთი სამეცნიერო ნაშრომი წარმოუდგენია დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის შესახებ.

სანამ ტექსტზე ვისაუბრებდეთ ორიოდე სიტყვით, მანამდე უნდა ითქვას, რომ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის შესახებ მართლაც არაერთი საინტერესო მცირე ნაშრომი დაწერილა. გარეჯის ცალკეული ტაძრის მოხატულობასა და ცალკეული ეპოქის ნიშნებზე წაგვიკითხავს გურამ აბრამიშვილის, ანელი ვოლსკაიას, ზაზა სხირტლაძის და სხვათა სტატიები, რომლებიც სხვადასხვა გამოცემებში და სიმპოზიუმთა კრებულებში წაგვიკითხავს. მაგრამ აქამდე ერთ წიგნად - დავით გარეჯი - არ შეგვხვედრია. შესაძლოა, ჩვენ გამოგვრჩა რაიმე... ყოველ შემთხვევაში წიგნი რომელზეც მოგახსენებთ მართლაც ამომწურავ და საინტერესო ფოტომასალას გვთავაზობს. მასში თითქმის სრულად არის წარმოდგენილი ლავრისა და უდაბნოს მონასტრის ყოველი ფრესკა და მნიშვნელოვანი დეტალი. ვინც იცის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი რაობა, მისთვის ეს გამოცემა ფასდაუდებელ მიღწევას წარმოადგენს.

ტექსტი - როცა საქმე მსგავს საკითხებს შეეხება, ყოველთვის არსებობს საზღვარი, რომელიც გადის პროფესიულ ტექსტსა და სამოყვარულო ტექსტს შორის. ალბათ დამეთანხმებით, როცა სახელმწიფო გამოსცემს წიგნს და წინასწარვე ვიცით, რომ მსგავს ტენდენციებს კულტურის სამინისტრო ხშირად არ ან ვერ მიმართავს, სასურველია ეს "ერთადერთი" გამოცემა იყოს მაქსიმალურად მისაღები. ანუ გასაგები უბრალოდ რიგითი დაინტერესებული ადამიანისთვის და მისაღები პროფესიონალისთვის, ან მომავალი პროფესიონალისთვის, რომელიც საქართველოში აშკარად განიცდის ქართულ ენაზე სპეციალიზირებული ლიტერატურის ნაკლებობას, განსაკუთრებით ხელოვნების ისტორიის სფეროში. ტექსტების ავტორები აღნიშნულ გამოცემაში წარმატებით ართმევენ თავს ამ დილემას. მარტივი ენით დაწერილი შესავალი ეტაპობრივად გვაწვდის ინფორმაციას და ისეთ დეტალებს, რომლებიც მეცნიერთა მრავალწლიანი კვლევების შედეგებს ეფუძნება. მაგრამ ამ დროს მკითხველი არ იღლება წვრილმანებით, პროფესიონალი კი - უსაგნო ამბებით.

სხვა წიგნები რომელთა შესახებაც მსურს მოგახსენოთ, არის "მცხეთის წმ.ჯვრის ტაძარი" და "ზარათი - წმინდათა კვირიკესა და ივლიტას ეკლესია". პირველი გამოსაცემად მოამზადა დავით ხოშტარიამ. შესავალი ტექსტი კი დიმიტრი თუმანიშვილსა და თამარ ხუნდაძეს ეკუთვნით. ამ წიგნში მცხეთის ჯვრის ტაძარის ერთგვარი პრეზენტაცია მეტად ფუნდამენტურია. მკითხველი ეცნობა ე.წ. ჯვრის არქიტექტურული ტიპის განვითარების გზას, რომელიც მცხეთის ჯვრით გვირგვინდება და მასაც აღიქვამს პარალელებით. აღიქვამს და შეისწავლის ისტორიულ პლანში და ზუსტად ხვდება რაში მდგომარეობს მისი გამორჩეულობა, მისი უნიკალურობა.

ზარათის ეკლესიას, ნაკლებად ცნობილს ფართო საზოგადოებისთვის, მკითხველი იუზა ხუსკივაძის ტექსტით ეცნობა, თუმცა მის მეტად საინტერესო კედლის მხატვრობას (XIII საუკუნე) მირიან კილაძის ფოტოების მეშვეობით აკვირდება. ზარათის წმინდა კვირიკესა და ივლიტას ტაძარში 2006-07 წლებში ქართველმა რესტავრატორებმა დიდი შრომა გასწიეს. ალბომში კარგად ჩანს რა მდგომარეობაში იყო მოხატულობა მანამდე და როგორი ცვლილება განიცადა მან. იუზა ხუსკივაძის ტექსტი ბევრ ახალგაზრდა მკველვარს გაახარებს, რადგანაც ავტორი წვრილად გვიხსნის ზარათის ეკლესიის მხატვრული კომპოზიციების ორიგინალობას. საერთო ჯამში კი ამ ტაძრის მნიშვნელობასთან მივყავართ.

როდესაც კულტურის სამინისტროს დაფინანსებით გამოცემული წიგნები მიჭირავს ან ვკითხულობ, გარშემომყოფნი მუდამ მეკითხებიან - სად შევიძინოთ? ვერაფერს ვპასუხობ. ეს წიგნები მაღაზიებში არ იყიდება. უფრო სწორად ჩემი პასუხი რაღაც ძალიან მიუღებელია ხოლმე მათთვის და შეიძლება უკვე ჩემთვისაც - "მოიკითხეთ ბიბლიოთეკებში. ეს გამოცემები არ იყიდება". ბიბლიოთეკაში კი დაინტერესებული ადამიანიც კი დღეს არ მოიკითხავს არაფერს, თუ ძალიან დიდი აუცილებლობა არ არის, ანუ თუ ვინმეს სახელმწიფო გამოცდები არ მოადგა კარს. არ მოიკითხავენ უმთავრესად იმიტომ რომ ბიბლიოთეკებში არ არის პირობები და კიდევ იმიტომ რომ: დასაქმებული ადამიანი ბიბლიოთეკაში ვერ დაჯდება, უმუშევარს კი ინტერნეტში იმხელა ბიბლიოთეკა ელის (ელექტრონული ბიბლიოთეკის სახით), წასაკითხს აუცილებლად მოძებნის. ასე რომ, არც ამ სტატიის ბოლოს არ ვიცი რა უნდა ვუთხრა ჩემს მკითხველს. სად უნდა ნახონ ეს წიგნები? - ბიბლიოთეკაში! არადა ხელოვნებას საქართველოში პოპულარიზაცია სჭირდება. მით უფრო ამ ხელოვნებას. ფსევდოფასეულობებით დახუნძლულ კულტურულ ღონისძიებებს, რომლებსაც სახელწიფოს ფულით უახლოეს წარსულში მართავდნენ, ნეგატიურის გარდა არაფერი მოუტანია. ასეა, ნამდვილად ნეგატიური შედეგის მომტანია ჩვენი გემოვნებისთვის ტელევიზიით გადმოცემული "პატრინოტის" რეპერტუარი ყოველ საათში ერთხელ. გადმოცემული მხოლოდ იმიტომ, რომ მასში სახელმწიფომ ფული დახარჯა...

წიგნი უნდა წავიკითხოთ და ალბათ მოსაფიქრებელია ფორმა, თუ როგორ უნდა მივიდეს ეს წიგნი მკითხველამდე, თანამედროვე მკითხველამდე. მით უფრო, როცა საქმე ეხება ჩუბინაშვილის სახელობის ეროვნული ცენტრის გამოცემებს, რომლებიც თავს გვაწონებენ როგორც შინაარსით, ისე ვიზუალური თვალსაზრისით.

დაბოლოს, სწორედ გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა კვლევის ცენტრი გვარწმუნებს იმაში, რომ კვლევისა და განვითარების ცენტრების არსებობა საჭიროა სხვადასხვა სფეროებისთვისაც. იმის მიუხედავად, რომ საქართველო შუა საუკუნეების კულტურული მიღწევებით ამაყობს და საზრდოობს დღემდე, ვფიქრობთ, შემდგომი პერიოდის კვლევაც საჭიროებს წახალისებას.



## აფიშა

**9 დეკემბერი**

### თეატრი

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი**
"პიგმალიონი"
რეჟისორი ლევან წულაძე
დასაწყისი: 19.00

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
"მკაცრი ქალიშვილები"
რეჟისორი გოგი ქავთარაძე
დასაწყისი: 19.00

**პანტომიმის თეატრი**
"სარკე"
დასაწყისი: 19.00

### კინო

**"ამირანი"**
"მედიატორი"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 18.00; 20.00; 22.00
"ჯეიმს ბონდი - შეწყალების კვანტუმი"
დასაწყისი: 12.15; 14.15;
"წაიკითხე და გაანადგურე"
დასაწყისი: 18.15; 20.15;

**"რუსთაველი"**
"ჯეიმს ბონდი - შეწყალების კვანტუმი"
დასაწყისი: 14.00; 16.00; 18.00; 20.00; 22.00
"იდიოტოკრატია"
დასაწყისი: 12.30; 14.45; 17.15; 19.30; 21.30
"მედიატორი"
დასაწყისი: 13.30; 15.30; 17.30; 19.30; 21.30
"ქართული იდეა"
დასაწყისი: 12.00; 13.00;
"სასიკვდილო რბოლა"
დასაწყისი: 19.00; 21.00;
"მაქს ჰეინი"
დასაწყისი: 12.15; 14.15; 16.15; 18.15; 20.15; 22.15

**კინოს სახლი**
როკ-კონცერტების ჩვენება აჩიკო ბენაშვილთან ერთად
Janis Joplin "Janis"
დასაწყისი: 20.00

### გალერეა

**ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა**
გამოფენა - "ევროკავშირთან ერთად გენდერული თანასწორობა"

**თიბისის გალერეა**
გივი თოიძის პერსონალური გამოფენა

**"ქარვასლა"**
ჰორსტ იანსენი - გრაფიკა
მაიკლ კენას ფოტოგრაფია - "ფრანგული პეიზაჟი"

# პირველი არხი - თქვენი განწყობისთვის

## საქართველოს მთავარი ტელევიზიის ახალი გადაცემები და ძველი ტრადიციები

ია ვეკუა

ზუსტად ისე, როგორც თითქმის 50 წლის წინ პირველმა ქართულმა ტელევიზიამ - "პირველმა არხმა" ახალი სიცოცხლე დაიწყო. 4 დეკემბრიდან არხს არა მხოლოდ ახალი ლოგო, სლოგანი ან გადაცემის ხარისხი აქვს, არამედ მისი შინაარსი და სტრუქტურა თვისობრივადაა შეცვლილი. ამრიგად ადრე მაყურებლისთვის "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სახელით ცნობილმა არხმა არსებობის მართლაც ახალი ეტაპი დაიწყო, რომელმაც მრავალწლიანი გამოცდილებისა და ტრადიციების მქონე "პირველ არხს" კვლავ უნდა დაუბრუნოს მაყურებელი.

როგორც ცნობილია, განხორციელდა ტელევიზიის სრული რებრენდინგი, რაზეც ცნობილი გერმანული კომპანია "იუნაითერდ სენსის" მუშაობდა. სწორედ ამ კომპანიის სპეციალისტების მიერაა შემუშავებული "პირველი არხის" ვიზუალური მხარე: არხის ძველი ფერი - მწვანე- მეწამულით შეიცვალა, ხოლო მრავალი წლის განმავლობაში ყბადაღებული კლაკნილი ლოგო (რომელშიც საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის აბრევიატურა იკითხებოდა) ელეგანტური და თანამედროვე დიზაინის ერთიანით შეიცვალა. არხს ახალი სლოგანიც აქვს, რომელიც მარტივად და ამავდროულად მრავლისმომცველად ჟღერს: "განწყობისთვის", ხოლო ტელემაყურებელს საუკეთესო განწყობას გადაცემის მაღალი ხარისხიც შეუქმნის.

თუმცა მხოლოდ ვიზუალური ცვლილება ცხადია მეორეხარისხოვანია. ტელევიზია პირველ რიგში იმ გადაცემების ნაკრებს წარმოადგენს, რომელმაც ნებისმიერი ასაკისა თუ გემოვნების მაყურებლის მოთხოვნილებები უნდა დააკმაყოფილოს და, რაც მთავარია, განწყობა შეუქმნას. სწორედ ამ მიზნით "პირველმა არხმა" პრაქტიკულად მთლიანად შეიცვალა ფორმატი და პროგრამის ბადე ახალი გადაცემებით შეავსო.

ახალი დღე "პირველ არხზე" ტრადიციულად "ალიონით" იწყება. არხის სლოგანის გამართლების მთავარი მისია სწორედ ამ გადაცემას ეკისრება, რადგან მაყურებელს მთელი დღის "პირველ არხთან" გატარების სურვილი უნდა აღუძრას. "ალიონი" დილის რვის ნახევარზე იწყება და ოთხი ძირითადი წამყვანის გარდა თანაწამყვანებიც ჰყავს, რომლებიც კონკრეტულ სფეროებში (სპორტი, ლიტერატურა, კულინარია და სხვა) არსებული სიახლეები უნდა გაგვაცნონ. "ალიონი" ინტერაქტიული გადაცემაა და სხვადასხვა გამოკითხვებისა თუ კონკურსების მეშვეობით მაყურებელს ეკრანზე მიმდინარე პროცესის მონაწილედ აქცევს.




ათწეულების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ტრადიციებს კვლავ აგრძელებს "მოამბე", რომელიც დღის განმავლობაში რამდენჯერმე გადის ეთერში და საქართველოს მრავალეროვან მოსახლეობას ქართულის გარდა ინფორმაციას აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზეც აწვდის.

არხის მთავარი ინტრიგა ინგა გრიგოლიას ეთერში დაბრუნება იქნება. მრავალთვიანი შესვენების შემდეგ მაყურებელი კვლავ გახდება ამ ჟურნალისტის მიერ წაყვანილი პოლიტიკური დებატების მოწმე, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ეთერში მხოლოდ ინგა გრიგოლია და მისი სტუმარი იქნებიან - ტოკშოუს გარეშე. გრიგოლიას გადაცემა BBჩ-ს ცნობილი ჰარდ თოლკ-ის ანალოგიური ფორმატის იქნება და კვლავაც გვპირდება ცხარე დიალოგებს. ინგა გრიგოლია ეთერში 11 იანვრიდან გამოჩნდება, მანამდე კი მის სავარაუდო სტუმრებს მოსამზადებლად დრო აქვთ...

მაყურებელმა უკვე ნახა "პირველი არხის" ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტის "საქართველოს დიდი ათეულის" პირველი გადაცემა, რომელიც ეკა ხოფერიას და დაჩი გრძელიშვილს მიჰყავთ. შეიძლება ითქვას, რომ ეს წლის ტელეპროექტი იქნება, რისი ვარაუდიც უკვე შეიძლება მისი მასშტაბებითა და საზოგადოებაში შექმნილი ინტერესის ხარისხით. "საქართველოს დიდი ათეული" იმავე bbc-ს პროექტია, რომელიც უკვე განხორციელდა არა ერთ ქვეყანაში. პროექტი კი ამა თუ იმ ქვეყნის საუკეთესო პიროვნებების ათეულის გამოვლენას ითვალისწინებს, რომლებიც თავიანთი ცხოვრებითა და მოღვაწეობით ისედაც მიიჩნევიან ერის უდიდეს შვილებად. უკვე არსებობს პროექტის პირველადი მონაცემები, რომლის მიხედვითაც დავით აღმაშენებელი ლიდერობს, ათეულის დანარჩენ ადგილებზე კი ამ დროისთვის არიან ილია ჭავჭავაძე, ზვიად გამსახურდია, ჰამლეტ გონაშვილი, სულხან-საბა ორბელიანი, ექვთიმე თაყაიშვილი, ვაჟა ფშაველა, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, შოთა რუსთაველი და თამარ მეფე. პროექტი მომავალი წლის აპრილში დასრულდება და სწორედ მაშინ შევიტყობთ ჩვენი ქვეყნის დიდი ათეულის ვინაობას. ნებისმიერ თქვენთაგანს შეუძლია ხმა მისცეს თავის კანდიდატურას მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან ისარგებლეთ ვებ-გვერდით bestgeorgians.ge.

"ცხოვრება მშვენიერია" იტყვის ნინო ქაჯაია და ეთერში მისი თოქ-შოუ იწყება. ჟურნალისტის სტუმრები კი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი და უცნობი ადამიანები არიან, ვისაც ჩვენთვის ბევრი აქვთ მოსაყოლი. გადაცემის სასაუბრო თემა შეუზღუდავია და ისეთივე მრავალფეროვანი, როგორიც ჩვენი ცხოვრებაა. საინტერესოა ისიც, რომ მაყურებელს თავად შეუძლია გადაცემის ავტორს სასაუბრო თემა შესთავაზოს, რაც მისი მრავალფეროვნებისა და აქტუალურობისთვისაა აუცილებელი, თუმცა თემატიკა ცხადია ისეთი უნდა იყოს, როგორიც გადაცემის სათაურია - "ცხოვრება მშვენიერია".

მხიარული განწყობის შექმნის იმედს "პირველი არხის" კიდევ ერთი გადაცემა "სამოთხის ვაშლები" გვპირდება. გადაცემას ოთხი სხვადასხვა თაობის წამყვანი ქალბატონი ჰყავს: ნანა ფაჩუაშვილი, ნინო ზაუტაშვილი, სალომე დადუნაშვილი და რუსუდან მანჯგალაძე. "სამოთხის ვაშლები" გასართობ-შემეცნებითი ხასიათისაა და ჩვენი ყოველდღიურობის მიმოხილვასა და საზოგადოებისთვის ყველაზე აქტუალურ საკითხებზე საუბრებს გვპირდება. გადაცემის ოთხ დიასახლისს ერთი სტუმარი ეყოლება, რომლის წასვლის შემდეგაც დაიწყებენ მისი საუბრის განხილვას ანუ მარტივად რომ ვთქვათ, ჭორაობას.

ერთბაშად ძნელია "პირველი არხის" ყველა გადაცემის მიმოხილვა, რადგან არხის პროგამათა ბადე ძალიან დატვირთულია: გასართობი, შემეცნებითი, ახალგაზრდული, საბავშვო, სპორტული თუ პოლიტიკური ხასიათის გადაცემების გარდა მთელი კვირის განმავლობაში შეგიძლიათ თვალი ადევნოთ მსოფლიოს წამყვანი ტელეკომპანიების პროდუქციასაც - ტელესერიალებს, დოკუმენტურ ფილმებს და სხვა. ასე რომ, მიუსხედით ტელეეკრანებს და შეიქმენით საუკეთესო განწყობა.

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს ვაკანსიას
*აღრიცხვის კვანძების ინსპექტორის*
თანამდებობაზე

**მოთხოვნები:**
- უმაღლესი განათლება
- კვალიფიკაცია: **ინჟინერ-ელექტრიკოსი**
- ენერგოსისტემაში მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 1 წლისა.
- ელექტროდანადგარების და მოწყობილობების კონსტრუქციული შესრულების, მოქმედების პრინციპების ცოდნა
- კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება: **Microsoft Office**
- საქართველოს სხვადასხვა რაიონებში ხანგრძლივი მივლინების საშუალება

**ფუნქციები:**
- აღრიცხვის კვანძების შემოწმება (მრიცხველი, მისი მკვებავი კაბელი, დენისა და ძაბვის ტრანსფორმატორები) მრიცხველიდან ინფორმაციის მოხსნა და ანალიზი, ვექტორული დიაგრამების გადაღება, მიერთების სქემის შემოწმება, საჭიროების შემთხვევაში მრიცხველის ცდომილების დადგენა
- აღრიცხვის კვანძების შემოწმებისა და ექსპლოატაციაში მიღების შესახებ სათანადო ფორმით დადგენილი აქტის შედგენა, შემოწმების შედეგების საფუძველზე სათანადო დასკვნის მომზადება
- აღრიცხვის კვანძებში დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში აღურიცხავი ელ.ენერგიის განსაზღვრისა და გადასაანგარიშებლად საჭირო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება.

**მისამართი:** ბარათაშვილის გამზირი N 2.

დაინტერესებულმა პირებმა **CV** უნდა გამოგზავნონ 2008 წლის 15 დეკემბრამდე შემდეგ მისამართზე: hr.gse@gse.com.ge

**გთხოვთ მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება**

**ნეტარ არიან მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ**




სამთავროს დედათა მონასტერში, ბერი გაბრიელის საფლავზე ღვთის სასწაულით ფეხადგმული ჯაბა მურცხავლაძე ელის თქვენგან თანადგომას.

ჯაბასთვის თითო ლარი შეგიძლიათ გაიღოთ მაგთისა (200-344), ჯეოსელის (700-344), გაერთიანებული ტელეკომის (919-344) და საქართველოს ტელეკომის (822 009-344) სატელეფონო ნომრებზე დარეკვით

დამატებითი ინფორმაციისათვის: ქობულეთი, ციხისძირი
893 906-275

საქველმოქმედო სპეც-ანგარიში: "თი-ბი-სი" ბანკის ცენტრალური ფილიალი კოდი: 220101830; პ/ა 11701022

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს ვაკანსიას ***ტრანსფორმატორების რემონტის ინჟინრის*** თანამდებობაზე

**მოთხოვნები:**
- უმაღლესი განათლება
- სპეციალობა: **ელექტრული ქსელები და სისტემები** ან **ელექტროსადგურები**
- კვალიფიკაცია: ინჟინერ-ელექტრიკოსი
- ტრანსფორმატორების რემონტის ტექნოლოგიური პროცესების, მისთვის საჭირო მოწყობილობა-დანადგარების მუშაობის პრინციპების და მათი გამოყენების ცოდნა
- მაღალი ძაბვის ქვესადგურების ექსპლუატაციისა და ტრანსფორმატორების რემონტის გამოცდილება
- სარემონტო საწარმოებში პროფილით მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 5 წლისა
- საქართველოს სხვადასხვა რაიონებში ხანგრძლივი მივლინების საშუალება
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა: ინტერნეტი, Microsoft Office
- რუსული ენის ცოდნა
- ასაკი: არაუმეტეს 55 წლისა
- სქესი: მამრობითი

**მისამართი:** ბარათაშვილის გამზირი N 2.

დაინტერესებულმა პირებმა **CV** უნდა გამოგზავნონ 2008 წლის 15 დეკემბრამდე შემდეგ მისამართზე: hr.gse@gse.com.ge

**გთხოვთ მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება**

---

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს ვაკანსიას ***ახალი ტექნოლოგიების, ტექნიკური უზრუნველყოფის და ქსელების ადმინისტრირების მთავარი სპეციალისტის*** თანამდებობაზე

**მოთხოვნები:**
- უმაღლესი განათლება
- საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგში მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 1 წლისა

**დამატებითი ინფორმაცია სამუშაოს შესახებ:**

Windows ოპერატიული სისტემის ახალ კომპიუტერზე გამართვა, დაზიანებული სისტემის და ფაილების აღდგენა, ოპერატიული სისტემის რეგისტრებთან მუშაობა, ტექნიკური პრობლემის დიაგნოსტირება და მისი აღმოფხვრა, საოფისე პროგრამებთან მუშაობა და ინსტრუქტაჟის გაწევა, ლოკალურ ქსელთან მუშაობა, მომხმარებელთა საჭირო ინფორმაციის დამარქაფება, არასტანდარტული პროგრამების დანერგვის და ათვისების უნარი.

**მისამართი:** ბარათაშვილის გამზირი N 2.
**ტელეფონი:** 201700 (1124)
8 77 232304
**საკონტაქტო პიროვნება:** გიორგი აფაქიძე

დაინტერესებულმა პირებმა **CV** უნდა გამოგზავნონ 2008 წლის 15 დეკემბრამდე შემდეგ მისამართზე: sysadmin@gse.com.ge

**გთხოვთ მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება**

---

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს ვაკანსიას ***უსაფრთხოების ინჟინრის*** თანამდებობაზე

**მოთხოვნები:**
- უმაღლესი განათლება
- სპეციალობა: **ელექტრული ქსელები და სისტემები** ან **ელექტროსადგურები**
- კვალიფიკაცია: ინჟინერ-ელექტრიკოსი

**აუცილებელია:**

- ტექნიკური უსაფრთხოების და ტექნიკური ექსპლუატაციის წესების ცოდნა
- სახანძრო უსაფრთხოების წესების მოქმედი ნორმების ცოდნა
- პირველადი დახმარების წესების და შრომითი კანონმდებლობის საფუძვლების ცოდნა
- ელექტრულ ქსელებში ან ელექტროსადგურებში მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 10 წლისა.
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა: ინტერნეტი, Microsoft Office
- სქესი: მამრობითი

**მისამართი:** ბარათაშვილის გამზირი N 2.

დაინტერესებულმა პირებმა **CV** უნდა გამოგზავნონ 2008 წლის 15 დეკემბრამდე შემდეგ მისამართზე: hr.gse@gse.com.ge

**გთხოვთ მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება**

---

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს ვაკანსიას ***კომპლექტაციის ინჟინრის*** თანამდებობაზე

**მოთხოვნები:**
- უმაღლესი განათლება
- სპეციალობა: **ელექტრული ქსელები და სისტემები** ან **ელექტროსადგურები**
- კვალიფიკაცია: ინჟინერ-ელექტრიკოსი

**აუცილებელია:**

- ელექტროდანადგარებისა და მოწყობილობების კონსტრუქციული შესრულების, მოქმედების პრინციპების ცოდნა
- კონსტრუქციული და საექსპლუატაციო მახასიათებლების ცოდნა
- ელექტროდანადგარებისა და მოწყობილობების შერჩევის მეთოდების ცოდნა
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა: ინტერნეტი, Microsoft Office
- ინგლისური ენის ცოდნა
- ელექტრულ ქსელებში ან ელექტროსადგურებში მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 7 წლისა.

**მისამართი:** ბარათაშვილის გამზირი N 2.

დაინტერესებულმა პირებმა **CV** უნდა გამოგზავნონ 2008 წლის 15 დეკემბრამდე შემდეგ მისამართზე: hr.gse@gse.com.ge

**გთხოვთ მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება**

---

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს ვაკანსიას ***გაზომვების ინჟინრის*** თანამდებობაზე

**მოთხოვნები:**
- უმაღლესი განათლება
- სპეციალობა: **ელექტრული ქსელები და სისტემები** ან **ელექტროსადგურები**
- კვალიფიკაცია: ინჟინერ-ელექტრიკოსი

**აუცილებელია:**

- ელექტროდანადგარების კონსტრუქციული შესრულებისა და მუშაობის პრინციპების ცოდნა
- ელექტროდანადგარების გამოცდის ნორმების და მოცულობების ცოდნა
- ელექტროდანადგარების გამოცდის მეთოდების და გამზომი ხელსაწყოების მოქმედების პრინციპების და გამოყენების ცოდნა
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა: ინტერნეტი, Microsoft Office
- ელექტრულ ქსელებში ან ელექტროსადგურებში მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 5 წლისა.
- საქართველოს სხვადასხვა რაიონებში მივლინების საშუალება
- სქესი: მამრობითი

**მისამართი:** ბარათაშვილის გამზირი N 2.

დაინტერესებულმა პირებმა **CV** უნდა გამოგზავნონ 2008 წლის 15 დეკემბრამდე შემდეგ მისამართზე: hr.gse@gse.com.ge

**გთხოვთ მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება**

---

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს ვაკანსიას ***დაგეგმარების ინჟინრის*** თანამდებობაზე

**მოთხოვნები:**
- უმაღლესი განათლება
- სპეციალობა: **ელექტრული ქსელები და სისტემები** ან **ელექტროსადგურები**
- კვალიფიკაცია: ინჟინერ-ელექტრიკოსი

**აუცილებელია:**
- 220/110/35/10 კვ-ის ელექტრო მოწყობილობებისა და დანადგარების კონსტრუქციული მახასიათებლების ექსპლუატაციის წესების ცოდნა
- ფინანსური აღრიცხვის, ფინანსური მართვისა და მენეჯერული აღრიცხვის პრინციპების ცოდნა
- კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა: ინტერნეტი, Microsoft Office
- სერვის ცენტრების მიერ წარმოდგენილი ყოველთვიური გეგმის გაანალიზება ტექნიკური და ფინანსური კუთხით.
- ელექტრულ ქსელებში ან ელექტროსადგურებში მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 5 წლისა.

**მისამართი:** ბარათაშვილის გამზირი N 2.

დაინტერესებულმა პირებმა **CV** უნდა გამოგზავნონ 2008 წლის 15 დეკემბრამდე შემდეგ მისამართზე: hr.gse@gse.com.ge

**გთხოვთ მიუთითოთ ვაკანსიის დასახელება**

# ს ი ა ხ ლ ე ე ბ ი  გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა ს ა  დ ა  მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა შ ი

*ნოემბერი, 2008*



## მთავარი სიახლეები

- უპრეცენდენტო მასშტაბის "სასკოლო გამოფენა" წელს პირველად გაიმართა;
- სასკოლო კონფერენციაზე სამინისტრომ სკოლების წარმომადგენლებთან ერთად რეფორმის მიღწევები შეაჯამა;
- 500 მასწავლებელი პრეზიდენტის სტიპენდიას მიიღებს;
- სამინისტროსა და კორპორაცია "MICROSOFT"-ს (აშშ) შორის მემორანდუმი გაფორმდა;
- საქართველომ ბოლონიის პროცესის შემაჯამებელ სემინარს უმასპინძლა.

*ზოგადი განათლების სიახლეები*

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი
National Curriculum & Assesment Centre

სასკოლო გამოფენა 2008

### ამიერიდან სკოლები თავიანთ ინოვაციებს ყოველწლიურ "სასკოლო გამოფენაზე" წარმოადგენენ

გამოფენა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ორგანიზებით წელს პირველად ჩატარდა. ღონისძიება მიზნად ისახავდა სკოლების მიერ შემოთავაზებული საინტერესო ინიციატივების გაცნობასა და ამ სიახლეების დანერგვას. გამოფენაზე ექსპოზიციები წარმოადგინეს როგორც საჯარო სკოლებმა, ასევე სამინისტროს სტრუქტურულმა ერთეულებმა.

ღონისძიების ფარგლებში, მინისტრმა გიორგი ნოდიამ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების 11 წარმატებულ პედაგოგს პრეზიდენტის სტიპენდიები გადასცა. საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ქ-ნი რუსუდან კერვალიშვილმა კი მასწავლებელთა საზაფხულო კონფერენციაში გამარჯვებული თერთმეტი პედაგოგი პორტატული კომპიუტერებით დაასაჩუქრა. ასევე კომპიუტერებით დაჯილდოვდა ფიზიკის, მათემატიკისა და ინფორმატიკის მოსწავლეთა საერთაშორისო ოლიმპიადებში გამარჯვებული ცხრა მოსწავლე.

### სასკოლო კონფერენციაზე სამინისტრომ სკოლების წარმომადგენლებთან ერთად რეფორმის მიღწევები შეაჯამა

კონფერენციაში 250 საჯარო სკოლა და ყველა საგანმანათლებლო რესურსცენტრი მონაწილეობდა. ღონისძიების ფარგლებში სამინისტრომ სკოლებს წარუდგინა ანგარიში ჩატარებული სამუშაოებისა და სამომავლო გეგმების, წარმატებებისა და პრობლემების შესახებ; სკოლებმა კი სამინისტროს წარმომადგენლებს თავიანთი ინიციატივები და ახალი პროგრამები გააცნეს. კონფერენცია მიზნად ისახავდა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საჯარო სკოლების წარმომადგენელთა ჩართულობის კიდევ უფრო გაზრდასა და სამინისტროსა და სკოლებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებას.

### მასწავლებელთა ეთიკის კოდექსი შემუშავდა

სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა განათლების პროფესიონალთა ტრენინგების პროგრამა „პესტალოცის“ ფარგლებში ევროპული სემინარი გამართა. მასწავლებლის ეთიკის კოდექსის სამუშაო ვერსია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა ქართველ და უცხოელ ექსპერტებთან და საქართველოს მასწავლებლებთან კონსულტაციის საფუძველზე შეიმუშავა. უახლოეს მომავალში მასწავლებლის ეთიკის კოდექსი ნორმატიულ დოკუმენტად იქნება მიღებული და სასკოლო ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი გახდება.

### სახელმწიფო პედაგოგების ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამას მომავალ წელსაც სრულად დააფინანსებს

საჯარო სკოლების სასწავლო და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის, ასევე პროფესიული სწავლების ცენტრების და სხვა დაწესებულებების პედაგოგებს დაზღვევის ექვსწლიანი სახელმწიფო პროგრამისათვის 2009 წლის ბიუჯეტში 19 მილიონი ლარია გათვალისწინებული. სადაზღვევო კომპანიას ყველა ბენეფიციარი შემოთავაზებული პირობების მიხედვით თვის ბოლომდე თავად აირჩევს.

### მთავრობის 18-თვიანი პროგრამის ფარგლებში იძულებით გადაადგილებული მოსწავლეები სწავლას კომფორტულ გარემოში განაგრძობენ

საქართველოს მასშტაბით რუსული ოკუპაციის შედეგად დაზარალებული მოსწავლეები და მასწავლებლები მცხეთის, გორის, ქარელის, დუშეთის, კასპის, ხაშურის, გარდაბნის, თეთრიწყაროს, მარნეულის, ბოლნისის, ლაგოდეხისა და საგარეჯოს 32 საჯარო სკოლაში გადანაწილდნენ. ახალი დასახლებების 3500-მდე მოსწავლე საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილნი იქნებიან დამატებითი სასკოლო ინვენტარითა და ტრანსპორტით.

სოფელ კოდას საჯარო სკოლამ დიდი და პატარა ლიახვიდან, ქურთადან, ერედვიდან და კოდორიდან დევნილი მოსწავლეები მიიღო. მთავრობის 18-თვიანი პროგრამის ფარგლებში, სკოლაში ყველა პირობა შეიქმნა იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ახალ გარემოში თავი კომფორტულად იგრძნონ. კოდას საჯარო სკოლა 20-მდე დევნილ პედაგოგსაც დაასაქმებს. განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა კოდას საჯარო სკოლას, პროგრამა "ირმის ნახტომის" ფარგლებში, პორტატული კომპიუტერიც გადასცა.

### ამიერიდან მასწავლებლები პრეზიდენტის სტიპენდიას მიიღებენ

მიმდინარე სასწავლო წელს პრეზიდენტის 200-ლარიან სტიპენდიას 500 პედაგოგი 8 თვის განმავლობაში მიიღებს. სტიპენდიის დაწესების მიზანი მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციაა. კანდიდატები წარადგინეს როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლებმა.

### საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ახალი სკოლები გახსნა

იაკობ გოგებაშვილი
მეგაპროგრამა 2006-2010

საქართველოს მასშტაბით საჯარო სკოლების მშენებლება-რეაბილიტაციის პროცესი გრძელდება. ხვანჭკარის, მისაქციელისა და მუხრანის განახლებული საჯარო სკოლების პრეზენტაციებს პრემიერ-მინისტრი და განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დაესწრნენ.

სენაკსა და ამბროლაურში ორი ახალი სკოლა გაიხსნა: აფხაზეთის №7 საჯარო სკოლას პრეზიდენტის ნაციონალური მეგაპროგრამის "იაკობ გოგებაშვილი - საჯარო სკოლების რეაბილიტაცია" ფარგლებში სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა, რაზეც 678 000 ლარი დაიხარჯა. ამბროლაურის რაიონის სოფელ ხვანჭკარის საჯარო სკოლის რეაბილიტაციას კი 220 000 ლარი მოხმარდა. სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ასევე ქ. ფოთის №1 საჯარო სკოლას, რაზეც 900 000 ლარი დაიხარჯა. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად გარემონტდა მცხეთის რაიონის სოფლების მისაქციელისა და მუხრანის საჯარო სკოლებიც. მისაქციელის საჯარო სკოლის რეაბილიტაციაზე 582 000 ლარი, ხოლო მუხრანის სკოლის რეაბილიტაციაზე - 820 530 ლარი დაიხარჯა.

მეგაპროგრომა "იაკობ გოგებაშვილის" ფარგლებში 2006-2007 წლებში საქართველოს მასშტაბით 478 სკოლა გარემონტდა, აშენდა - 32. 2008 წელს 219 საჯარო სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაცია განხორციელდა. 2011 წლისათვის საქართველოს ყველა საჯარო სკოლა იქნება განახლებული.

*პრეზენტაციები/ხელშეკრულებები*

### სამინისტროსა და კორპორაცია "MICROSOFT"-ს (აშშ) შორის მემორანდუმი გაფორმდა

მემორანდუმი სამინისტროსა და კორპორაცია "MICROSOFT"-ს შორის, "MICROSOFT"-ის გლობალური პროექტის "პარტნიორობა სწავლებისათვის" ფარგლებში გაფორმდა. ამ მემორანდუმის შედეგად საჯარო სკოლებში გაუმჯობესდება თანამედროვე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა და გამოყენება სასწავლო პროცესში. პროგრამის „პარტნიორობა სწავლებისათვის" ფარგლებში კომპანია "MICROSOFT" სასწავლო პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების განვითარებაზე ორიენტირებულ სასწავლო პროექტებს დააფინანსებს.

ეს პროგრამა 100 ქვეყანაში ხორციელდება და მასში 90 მილიონამდე მასწავლებელი და მოსწავლეა ჩართული.

### განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ბატონი გიორგი ნოდია კონფერენციას "აქტიური თემი" დაესწრო

ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამა "აქტიური თემი" ბრიტანულ ორგანიზაციასთან Childrens High Level Group თანამშრომლობით ხორციელდება. პროგრამა მოსწავლეების ინფორმირებულ, საზრიან და აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს. პროგრამის შედეგად გაუმჯობესდება თანამშრომლობა საჯარო სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებს შორის. "აქტიური თემი" ეხმარება როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, ასევე სოციალურად დაუცველ ბავშვებს. საქართველოს მასშტაბით პროგრამაში 86 ბავშვთა პანსიონი, 43 სააღმზრდელო დაწესებულება და 43 საჯარო სკოლაა ჩართული.

*ინკლუზიური განათლება*

### განათლების მიღების შესაძლებლობა უფრო მეტ განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეს ექნება

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ფედერაცია "გადავარჩინოთ ბავშვების" მხარდაჭერით შექმნა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა განათლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2009-2011 წლებისთვის. 2009-2011 წლებში შემუშავდება და დაინერგება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა განათლების ეროვნული მოდელი, გაუმჯობესდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა განათლების ხარისხი სკოლამდელი, დაწყებითი, საბაზო, საშუალო და სახელობო განათლების დონეზე.

სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრისა და ნორვეგიის განათლების მეცნიერებისა და კვლევის სამინისტროს ერთობლივი პროექტის ფარგლებში, ინკლუზიური განათლება უკვე დაინერგა თბილისის 15 საჯარო სამოდელო სკოლაში. დღეისათვის ამ საპილოტე სკოლებში სწავლობს 300-მდე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. უკვე გადამზადდა 300-ზე მეტი მასწავლებელი. მომდევნო წლებში ინკლუზიური განათლების ქსელში საქართველოს რეგიონების სკოლებიც ჩაერთვება.

*უმაღლესი განათლება*

### საქართველომ ბოლონიის პროცესის შემაჯამებელ სემინარს უმასპინძლა

bologna process

ბოლონიის პროცესის 2007-2009 წლების სამუშაო პროგრამის შემაჯამებელი კონფერენცია წელს პირველად საქართველოში გაიმართა. კონფერენცია უმაღლესი განათლების სისტემაში ეროვნული და ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოების ურთიერთთავსებადობას მიეძღვნა და მასში 150-მდე ქართველი და ევროპელი ექსპერტი მონაწილეობდა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო
თბილისი 0102, უზნაძის ქ. 52, ტელ/ფაქსი: 438 819 ელ.ფოსტა: pr@mes.gov.ge

# სპორტი

## ექტორ რაულ კუპერის რჩეულნი

მიხეილ აბაიშვილი



საქართველოს ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერი დღეს საგურამოში, სფფ-ის ტექნიკურ ცენტრში, ნაკრების კანდიდატებთან მორიგ ვარჯიშს ჩაატარებს.

არგენტინელმა სპეციალისტმა გუშინ ის ფეხბურთელები დაასახელა, რომლებიც ხვალინდელ ვარჯიშში მიიღებენ მონაწილეობას:

**მეკარეები:** გიორგი ლომაია ("ლოკომოტივი"), როინ კვასხვაძე ("ზესტაფონი"), ზურაბ მამალაძე ("მგლები")

**მცველები:** უჩა ლობჟანიძე ("ზესტაფონი"), გურამ კაშია ("დინამო"), დავით გიგაური ("გაგრა"), ალექსანდრე კვახაძე ("ვიტ ჯორჯია")

**ნახევარმცველები:** მურთაზ დაუშვილი ("ზესტაფონი"), ზაზა ჭელიძე ("სიონი"), ლევან ხმალაძე ("დინამო"), ლუკა რაზმაძე ("ვიტ ჯორჯია"), დავით ოდიკაძე ("დინამო"), გიორგი სეთურიძე ("ოლიმპი"), ირაკლი კლიმიაშვილი ("ვიტ ჯორჯია")

**თავდამსხმელები:** მათე ვაწაძე ("დინამო"), დავით სირაძე (ნალჩიკის "სპარტაკი", რუსეთი), გიორგი გაბედავა ("გაგრა")

დღევანდელი ვარჯიშს, რომელიც 15 საათზე დაიწყება, დინამოელი გიორგი მერებაშვილი და ზესტაფონელი ბექა გოცირიძე გამოტოვებენ - ეს ფეხბურთელები ტრავმირებულნი არიან. კუპერის ვარჯიშებზე რამდენიმე ახალწვეულია გამოძახებული. ზუგდიდის "მგლების" მეკარე ზურაბ მამალაძე პირველად მოხვდა არგენტინელი სპეციალისტის თვალთახედვის არეში. ეს არჩევანი ცოტა მოულოდნელია. "მგლებს" და კონკრეტულად ზურაბ მამალაძეს მიმდინარე ჩემპიონატის 13 თამაშში 16 გოლი აქვს გაშვებული, მეორე წრის სამ მატჩში - 4. ამ მაჩვენებლით "მგლები" ეროვნულ ჩემპიონატში მეშვიდე ადგილზეა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ კლუბის მიერ გაშვებული გოლების უმეტესობა უფრო დაცვის სინდისზეა, ვიდრე მეკარის, რითაც აიხსნება კიდეც მამალაძის გამოძახება. ის არაერთხელ უხმიათ ეროვნულ გუნდში და რამდენიმე მატჩი ნაკრების ძირითად შემადგენლობაშიც აქვს ჩატარებული.

კუპერმა პირველად იხმო "სიონის" შემტევი ნახევარმცველი ზაზა ჭელიძე, რომელიც მიმდინარე სეზონში ბოლნისური გუნდის ერთ-ერთი ლიდერია. "სიონი" განსაკუთრებით კარგად ათამაშდა პირველი წრის ბოლოს და ტემპს მეორე წრეშიც ინარჩუნებს. ამ წარმატებების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ჭელიძე, რამაც ბოლნისელთა ნახევარცველს კუპერის ვარჯიშზე გამოძახების პატივი მოუტანა.

არაოფიციალური სანაკრებო დებიუტი ექნება თბილისის "დინამოს" 19 წლის ფორვარდს მათე ვაწაძეს, რომელიც ახალწვეულთა შორის ალბათ ყველაზე მეტად იმსახურებს არა მხოლოდ ვარჯიშზე, არამედ ოფიციალურ შეკრებაზე გამოძახებასაც. მიმდინარე ჩემპიონატში მათე ვაწაძემ უკვე რვა გოლი გაიტანა და ამ მაჩვენებლით ეროვნული ჩერმპიონატის ბომბარდირთა დავაში ლიდერობს. ის თანდათან ყალიბდება უნივერსალურ ფორვარდად და თუ ამ ტემპით გააგრძელა პროგრესი, საქართველოში დიდხანს აღარ გააჩერებენ.

კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელიც პირველად მოირგებს ნაკრების სავარჯიშო ამუნიციას, "გაგრის" თავდამსხმელი გიორგი გაბედავაა.

კუპერი ტრადიციად აყალიბებს ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელებისთვის შეკრების მოწყობას, რაც, ცხადია, ჩვენ ნაკრებს წაადგება.



დავით კოპზირიძის სვეტი

## არაკლასიკური კლასიკოს მოლოდინში

14 დეკემბერს სუპერკლასიკოა - მადრიდის "რეალი" "კამპ ნოუზე" ჩადის "ბარსელონასთან" საომრად. იქნება კი ომი? თუ წმინდა წყლის ანექსიასთან გვექნება საქმე? როგორც შაბათს იყო ამ მფეთქავ სტადიონზე, როდესაც ბროწეულისფერმა უცხოპლანეტელებმა "ვალენსია" გააუპატიურეს.

წლის თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე გუნდებში რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობაა: კატალონია გაბადრულია, ბედნიერია, ამაყია. დიდი ეჭვების მიუხედავად, ხოსეპ გვარდიოლამ მოკლე დროში მოახერხა დეგრადირებული "ბარსელონას" აწყობა და იმ გუნდს დაამსგავსა, 2006 წელს ყველაფერი რომ მოიგო დაღრეჯილი ბრაზილიელის ჯადოსნური ამბების აკომპანემენტით.

რადიკალური პესიმისტები აქამდე ამბობდნენ, რომ გვარდიოლას ლიგაზე სუსტი ჯგუფი შეხვდა, რომ პრიმერადივიზიონში ჯერ არ უთამაშია მაგრებთან, რომ რამდენიმე ფეხბურთელის ბრწყინვალე ფორმის ხარჯზე გადის ფონს. თუმცა დრომ ეს ვარაუდები თავდაყირა დააყენა, დრომ გვაჩვენა, რომ არავითარი "რომ", უბრალოდ, გენიალური გუნდი გაკეთდა.

ესპანეთის ჩემპიონატის კალენდარი მართლაც უცნაურადაა დალაგებული - ყველა, ვინც ამ ქვეყანაში რაღაცას წარმოადგენს, სწორედ ახლა, ზამთარში, წრის ბოლოს ხვდება ერთმანეთს. ბარსელონელებმა ორ მთავარ კონკურენტს უკვე მიაყენეს მძიმე დარტყმა - ჯერ "სევილიას" მოუგეს გასვლა და მერე "ვალენსიაც" ზედ მიაყოლეს, როგორც მურაბიანი ჩაი ლიმონით. თან იმასაც ნუ ვიტყვით, რომ კატალონიელები რჩეული შემადგენლობით იყვნენ: საუკეთესო ნახევარმცველი (ალბათ მსოფლიოსი) ინიესტა და ეტო`ო აკლდათ. ანუ ის, რომ "ბარსა" ფანტასტიკურია, არა იმდენად ინდივიდების, არამედ სისტემის დამსახურებაა. ეს სისტემა სულ მუშაობს - როცა მოედანზე ინიესტაა, უფრო ლამაზად, როცა კეიტა - ნაკლებად.

ამ დროს კი "რეალმა", მთელ მსოფლიოში კრიზისიაო და თვითონაც ჩაყვინთა ამ ამბავში. ვერსიები ამ ჩავარდნასთან დაკავშირებითაც ბლომადაა, ამათგან მთავარი კი ისაა, რომ ფეხბურთელები შუსტერს "უჩალიჩებენ". მიუხედავად იმისა, რომ გერმანელი უცნაური, ჯიუტი კაცია და ყველა ვერ უგებს, ამ ვერსიის ჭეშმარიტება მაინც საეჭვოა. საქმე უფრო უბრალოდ უნდა იყოს - ან შუსტერის სტრატეგია ჩანასახშივე უვარგისია და პერმანენტული ეფექტი არა აქვს ისეთ დიდ კლუბში, როგორშიც მუშაობს, ან სტრატეგია მშვენიერია, მაგრამ მისი პრაქტიკაში შესრულებისთვის ფეხბურთელთა რესურსია არასაკმარისი. ორივე შემთხვევაში მაინც მწვრთნელია დამნაშავე და თუ კვირას სასწაული არ მოხდა და "რეალმა" არ მოიგო, მაშინ დამნაშავე აუცილებლად დაისჯება.

არის შანსი, რომ სასწაული მოხდეს? იმდენად პატარა, რომ უფრო - არა. ცოტა უცნაური მოსასმენია, რომ ყველაზე დიდ მატჩში ერთ-ერთ მხარეს არავითარი შანსი არა აქვს, მაგრამ ყველა წვრილმანის გათვალისწინებით ეს ზუსტად ასეა.

■ ■ ■

კრიშტიანუ რონალდუ "ფრანს ფუტბოლის" ყოველწლიური გამოკითხვის შედეგად (რეფერენდუმი 1956 წლიდან იმართება. წლევანდლამდე მასში ევროპელი ჟურნალისტები მონაწილეობდნენ, ამჯერად კი მთელი მსოფლიოს სპორტული მედია, 96 ქვეყნის წარმომადგენელი ჩაერთო) კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა და ტრადიციული "ოქროს ბურთიც" მიიღო. პორტუგალიელს ბევრით ჩამორჩა ლეო მესი, მესამე კი ფერნანდო ტორესია. ადრე ეს საპატიო წოდება მის მხოლოდ ორ თანამემამულეს (ეუსებიო, ლუიშ ფიგუ) და სამ მანჩესტერელს (დენის ლოუ, ბობი ჩარლტონი, ჯორჯ ბესტი) მიუღიათ.

მე არ მიყვარს ეს ფეხბურთელი და მარტო არ ვარ - მსოფლიოს თითქმის ყველა სტადიონზე, როცა ბურთი მას აქვს, ადგილობრივი გულშემატკივრები სხვადასხვა გზით გამოხატავენ პროტესტს. პიჟონია და იმიტომ. პორტუგალიაში მასზე გადაღებული ფილმი რომ ვნახე, მის გემოვნებაშიც ეჭვი შემეპარა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, რონალდუ პიჟონია თუ ქაჯი, მთავარი ის არის, რომ მაგარია და დიდი სეზონი ჰქონდა.

ამიტომაც იყო, "რეალის" აგენტები ზედ ევროპის ჩემპიონატზე რომ დაძვრებოდნენ პორტუგალიელთა ბანაკში. ერთ მომენტში თითქოს შეასრულეს კიდეც მისია, მაგრამ რაინდმა - ეს ბიჭი ჩემთვის მინდაო და ოპერაციას წერტილი დაესვა. კაცმა არ იცის, რა იქნებოდა "სამეფო კლუბი" ოქროს ბიჭთან ერთად, თუმცა უმაგისოდ რომ "ალმერიას" დაემსგავსა, ყველა კარგად ვხედავთ. ასე რომ, ამოცანა ამოვხსენით - მადრიდელების კრიზისი ამ მადეირელი ახალგაზრდის ბრალი ყოფილა.

*მომავალ სამშაბათამდე*

## მჭედლიძე "პალერმოს" დაუბრუნდა



*კალაძე თანაგუნდელებთან ერთად აღნიშნავს გოლს*

იმის გამო, რომ ახალი წელი ახლოვდება, ქართულ საფხბურთო ლეგიონზე შედარებით მოკლედ მოგვიწევს საუბარი. ყოფილი საბჭოეთის ქვეყნებში საფეხბურთო შესვენება დაიწყო და რუსეთ-უკრაინაში მოასპარეზე ქართველ ფეხბურთელებსაც დასვენების დრო დაუდგათ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ლეგიონერთა უმეტესობა სწორედ ამ ქვეყნებში თამაშობს, სათქმელიც ნაკლებია.

ჯერჯერობით მხოლოდ დიდი ხუთეულის ქვეყნებში მოასპარეზე ქართველი ფეხბურთელებით უნდა შემოვიფარგლოთ, რომლებსაც გასულ უქმეებზე დიდად არ გამოუჩნენიათ თავი. აღსანიშნავია ლევან მჭედლიძის დაბრუნება, რომელმაც გამოჯანმრთელების შემდეგ პირველად ითამაშა "პალერმოს" შემადგენლობაში.

დავიწყოთ იტალიით. სერია ა-ს მორიგ ტურში კახა კალაძის "მილანი" "სან სიროზე" "კატანიას" მასპინძლობდა და კაკას გოლის წყალობით 1:0 სძლია მეტოქეს.

კახამ მოედანზე 90 წუთი დაჰყო. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა დაცვის ცენტრში მალდინისთან ერთად ითამაშა და მატჩის მიწურულს კინაღამ მსაჯს პენალტიც გამოსტყუა. ისე როგორც წინა შეხვედრაში, კახას ახლაც ხელზე მოხვდა ბურთი, მაგრამ არბიტრმა მილანელები დაინდო.

მჭედლიძის "პალერმომ" კი "კალიარისთან" გასვლით შეხვედრაში 0:1 წააგო. ქართველი ფორვარდი მატჩის 83 წუთზე შეუშვეს მინდორზე და მას თამაში არ გაუმწვავებია.

წარმატებული გამოდგა გასული ტური გერმანულ ბუნდესლიგაში მოასპარეზე იმ გუნდებისთვის, რომლებშიც ქართველი ფეხბურთელები ირიცხებიან, თუმცა ჩვენებურების წილი ამ გამარჯვებებში არ ყოფილა.

იაშვილის "კარლსრუემ" მოულოდნელი გამარჯვება მოიპოვა სტუმრად ბრემენის "ვერდერთან". ამ ტურამდე "იაშკას" გუნდს ზედიზედ ცხრა მატჩში არ ჰქონდა გამარჯვება. იაშვილი მინდორზე არ გამოჩენილა, ერთადერთი გოლი კი თამაშის დასრულებამდე 7 წუთით ადრე ბუკმა გაიტანა.

კობიაშვილისა და ყენიას "შალკემ" ჯერალდ ასამოას გოლის წყალობით "ჰერტა" დაამარცხა. კობიაშვილმა ერთადერთი გოლის გამტანი მატჩის 90-ე წუთზე შეცვალა, ყენია კი გელზენკირხენული გუნდის განაცხადშიც არ ყოფილა.

მეორე ბუნდესლიგაში დავით თარგამაძის "ფრაიბურგმა" "ობერჰაუზენი" 2:1 დაამარცხა. ქართველი ფეხბურთელი სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალს თამაშს. ხიზანეიშვილის "აუგსბურგმა" ჩვენებურის დახმარების გარეშე შეძლო "ვეენის" დამარცხება.

ღვინიანიძის "მიუნხენ 1960" ააჰენის "ალემანიასთან" 0:2 დამარცხდა. ქართველმა ტრადიციულად 90 წუთი ითამაშა.

ინგლისური პრემიერლიგის გათამაშებას კვლავ შორიდან ადევნებს თვალყურს ზურაბ ხიზანიშვილი. ამჯერად ის ტრავმის გამო ვერ მოხვდა "ბლექბერნის" განაცხადში, მისი გუნდი კი "ლივერპულთან" დამარცხდა.

## ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ საქა-რთველოს ერთად თამაშის უფლება მისცა

ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ საქართველოს პლაჟის ფრენბურთელთა ნაკრების წევრებს - ქრისტინა სანტანასა და ანდრესა ჩაგასს 9-11 იანვარს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ერთდროულად თამაშის ნება დართო. დებულების თანახმად, აქამდე სხვა ქვეყნის გუნდში თამაშის მხოლოდ ერთ ნატურალიზებულ მოთამაშეს შეეძლო.

"საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის არგუმენტირებული მოთხოვნისა და სათანადო დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. პლაჟბურთში საქართველოს ნაკრების წევრებს - ქრისტინა სანტანასა და ანდრესა ჩაგასს ფრენბურთში საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ერთდროულად თამაში შეეძლებათ. დებულების თანახმად, ამის უფლება მხოლოდ ერთ მოთაშეს ჰქონდა, თუმცა საერთაშორისო ფერდერაციამ საქართველოს ორივე ლეგიონერის გამოყვანის ნება მისცა.

ყველაფერ ამის შემდეგ პირველი შესარჩევი ეტაპის დასაძლევად საქართველოს შანსი კიდევ უფრო გაიზარდა. 9-11 იანვარს ჩვენ ესტონეთს, დანიასა და მოლდოვას ვეთამაშებით და, იმედია, წარმატებას მივაღწევთ," - განაცხადა საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან ახვლედიანმა.

## ცხადაძე "სტანდარდში" რჩება

გავრცელებული ხმები, რომ აზერბაიჯანის საფეხბურთო პრემიერლიგის პირველი წრის შემდეგ კახა ცხადაძე ბაქოს "სტანდარდის" მთავარი მწვრთნელის პოსტს დატოვებდა, არ გამართლდა - ის სეზონის ბოლომდე დარჩება კლუბში. ცხადაძის მსგავსად, გუნდში მუშაობას გააგრძელებს მეორე მწვრთნელი ბადრი კვარაცხელიაც.

ზამთრის შესვენების პერიოდში "სტანდარდი" ქართველ მცველს ლევან სილაგაძეს დაემშვიდობება.

პირველ წრეში, მის გარდა, ბაქოელთა შემადგენლობაში მეკარე მიხეილ ალავიძე, მცველი დავით ჭიჭვეიშვილი და თავდამსხმელი ბაჩანა ცხადაძე გამოდიოდნენ.

## წყალბურთელებს თითო მოგება-წაგება აქვთ

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა უკრაინის ღია პირველობაზე 1 მატჩი მოიგო და 1 მარცხი განიცადა. ქართველებმა ჯერ ლვოვის "დინამოსთან" წააგეს 12:13, შემდეგ კი "დნეპრი" 20:3 გაანადგურეს. 6 დეკემბერს ქართველები მოლდოვას ეთამაშებიან, 7 დეკემბერს კი - უკრაინას. უკვე წლებია ქართველები სისტემატურად თამაშობენ უკრაინის ღია ჩემპიონატზე და დიდი წარმატებითაც. თუმცა, თუ ადრე ფინანსების უქონლობის გამო ნაკრები სრული შემადგენლობით ვერ ახერხებდა უკრაინაში წასვლას, ახლა ეს პრობლემა მოგვარებულია - ჩვენები საბრძოლო შემადგენლობით წავიდნენ სათამაშოდ.

ნაკრებს ასევე გაჰყვნენ ექიმი ზურაბ კახაბრიშვილი, მსაჯი ირაკლი კიკალიშვილი, მწვრთნელები ვლადიმერ ისელიძე და ჯუმბერ წიკლაური. დელეგაციას საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი ალექსანდრე ბითაძე უხელმძღვანელებს. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ნაკრები უკრაინაში ყოველთვის კარგად თამაშობდა, დიდი შანსია, რომ ამჯერადაც თავი გამოიჩინოს, მით უმეტეს, ნაკრებს ყველა პირობა ჰქონდა იმისთვის, რომ კარგად მომზადებულიყო. საქართველოს ნაკრები: ნიკა ასათიანი, შალვა ნამორაძე, ბექა ქენქაძე, ზურაბ რურუა (კაპ.), გიორგი ხვედელიანი, გალაკტიონ ლაითაძე, სანდრო რუსიშვილი, გურამ კოტარია, ნოდარ რაფავა, ტატო ნიკოლაიშვილი, გიორგი ბუტიკაშვილი, მიხეილ ბალათურია, პავლე ჯაფარიძე.

## 19 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრები ევროპის 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში იასპარეზებს

საქართველოს 19 წლამდე (1991 წელს და შემდეგ დაბადებულ) ფეხბურთელთა ნაკრები გაისად, 9-14 ოქტომბერს, ევროპის 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში იასპარეზებს. ჭაბუკი "ჯვაროსნების" მეტოქეები მეთორმეტე შესარჩევ ჯგუფში უკრაინის, შვედეთისა და მონტენეგროს ნაკრებები იქნებიან. XII ჯგუფის შესარჩევ ტურნირს შვედეთი უმასპინძლებს. საქართველოს ნაკრები 9 ოქტომბერს უკრაინას გაეჯიბრება, 11 ოქტომბერს - შვედეთს, ხოლო 25 ოქტომბერს ციკლს მონტენეგროს გუნდით დაასრულებს.

## ანრი: "ჯერ არაფერი მოგვიგია"

"ბარსელონამ" მორიგი დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად კატალონიურმა გრანდმა "ვალენსია" გაასწორა მიწასთან. გავარდიოლას გუნდმა მეტოქე "ნოუ კამპზე" 4:0 დაამარცხა. "ბარსელონას" შედეგიანი თამაში უკვე აღარავის აკვირვებს. ამჯერად მხოლოდ ის არის აღსანიშნავი, რომ დისკვალიფიკაციის გამო კატალონიელთა მთავარი მეგოლე სამუელ ეტო`ო არ თამაშობდა. მის არყოფნაში გაილაღა ტიერი ანრიმ, რომელმაც "ღამურების" კარში სამი გოლი გაიტანა. ეს ტიტი ანრის პირველი ესპანური ჰეთთრიკია.

"ჯერ არფერი მოგვიგია. იმისთვის, რომ სეზონში ერთი ტიტული მაინც მოვიგოთ, ისე უნდა გავაგრძელოთ თამაში, როგორც ახლა ვთამაშობთ. "ვალენსიასთან" სათამაშოდ მინდორზე რომ გავდიოდით, უკვე ვიცოდით, რომ "ვილიარეალმა" ქულები დაკარგა და ამან სტიმული შეგვმატა. დიახ, დღეს მე სამი გოლი გავიტანე, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. მიხარია, რომ ამ გოლებით გუნდმა მოიგო. დღეს მე გავიტანე, ხვალ მესი გაიტანს, ზეგ - ეტო`ო თამაშში მთავარია სამი ქულის აღება და არა ის, თუ ვის გააქვს გოლი. ბოლოს მომავალ ტურზე გეტყვით. ცხადია, ძალიან გვინდა სუპერკლასიკოს მოგება, მაგრამ ასეთ თამაშებში ტრადიციულად ის გუნდი თამაშობს უკეთ, რომელიც კრიზისშია", - აცხადებს ანრი.

# "ცქიტამ" ლიდერთან 9 ქულა მოაგროვა

ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატის მე-12 ტურში ნიკოლოზ ციქიტიშვილის "ფუენლაბრადა" ჩემპიონატის ლიდერსა და ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს საკალათბურთო კლუბ "ტაუ კერამიკას" დაუპირისპირდა.

მატჩი ფავორტის გამარჯვებით (86:74) დასრულდა, თუმცა ნიკასთვის თამაში მაინც წარმატებული გამოდგა. "ფუენლაბრადას" ქართველმა ფორვარდმა თამაში ძირითად ხუთეულში დაიწყო და მოედანზე 34 წუთი დაჰყო. დროის ამ მონაკვეთში თავის გუნდს 9 ქულა შესძინა და 6-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი. 9 ნატყორცნი ორქულიანიდან 4 ზუსტად შეასრულა, ერთხელ საჯარიმო ტყორცთნითაც ჩააგდო ბურთი მეტოქის კალათში, ხოლო 3 სამქულიანი გაუცუდდა. ახლა ნიკას გუნდი ხუთი მოგებითა და ექვსი მარცხით სატურნირო ცხრილში მეათე ადგილს იკავებს.



"ცქიტამ" ლიდერთან თამაში იყოჩაღა

არანაკლებ სერიოზული მეტოქე ჰყავდა ტაირონ ელისის "კახასოლსაც". მან "ბარსელონას" უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა - 68:74.

ტაირონი ორივე გუნდის შემადგენლობაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. როგორც ჩანს, საქართველოს ნაკრების კალათბურთელებს კატალონიურ გრანდთან თამაში გამოსდით. შეგახსენებთ, რომ "ცქიტამ" თავის სადებიუტო მატჩში სწორედ "ბარსელონას" ჩაუგდო 24 ქულა. ელისის შედეგი ოდნავ მოკრძალებული აღმოჩნდა. საქართველოს ნაკრების შავკანიანმა გამთამაშებელმა 29 წუთში 15 ქულა ჩაიწერა საკუთარ ანგარიშზე.

მორიგი მარცხის შემდეგ "კახასოლი" ესპანეთის ჩემპიონატში ბოლო ადგილზეა.

მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა ვლადიმერ ბოისას "ვივემენორკამ", რომელმაც სტუმრად "ბრუესას" სძლია - 74:73. ურიგოდ არც ვოვა ბოისას უთამაშია. მან მოედანზე 17 წუთი დაჰყო და თავისი გუნდის მარაქაში 7 ქულა, 3 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემა შეიტანა. ბოისამ ზუსტად ტყორცნა ორი სამქულიანი და ერთი ქულაც საჯარიმო სროლით დააგროვა.

თორმეტი ტურის შემდეგ ბოისას გუნდი 4 გამარჯვებითა და 7 მარცხით სატურნირო ცხრილში მე-12 ადგილზეა.

გუშინ, გამთენიისას, მორიგი მატჩი გამართა NBA-ს რეგულარულ სეზონში ზაზა ფაჩულიას "ატლანტამ". "ქორებმა" საკუთარ მოედანზე "ნიუ იორკ ნიქსს" უმასპინძლეს და გაიმარჯვეს - 98:95.

ზაზა ძირითადში არ ყოფილა და თამაშში მხოლოდ მესამე მეოთხედში ჩაერთო. ქართველმა ცენტრმა მოედანზე 12 წუთი დაჰყო. დროის ამ მცირე მონაკვეთში ფაჩულიამ ორი ქულა დააგროვა, ორჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან და ორჯერ დაკარგა ბურთი.

ამ გამარჯვების წყალობით ჯორჯიელები სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში მეორე ადგილს ინარჩუნებენ, მთლიანად აღმოსავლეთ კონფერენციაში კი მეოთხე ადგილზე არიან და, წესით, ასეთი თამაშით პლეი-ოფში გასვლა არ უნდა გაუჭირდეთ.

# სამბისტებმა სტუდენტურ მსოფლიოს 4 ოქრო აართვეს

საქართველოს სამბისტთა ნაკრებმა კაუნასის სტუდენტურ (23 წლამდე) მსოფლიო ჩემპიონატზე ოთხი ოქროს, ორი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და გუნდური მეორე ადგილი დაიკავა. ჩემპიონები გახდნენ კახა მამულაშვილი (74 კგ.), გიორგი იაძე (82), მინდია ბოდაველი (100) და ვახტანგ ზოიძე (მძიმე). ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ გელა ბარათაშვილი (62) და ბექა იმერლიშვილი (68). ბრინჯაოს მედლები უშანგი კუზანაშვილსა (57) და ავთანდილ ცინცაძეს (57) ერგოთ.

ლიტვაში 16 ქვეყნის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. მათ შორის იყვნენ ისეთი ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებიც ამინდს ქმნიან სამბოში - საუბარია რუსეთზე, ბელარუსზე, საფრანგეთზე, აშშ-ის ნაკრებზე, იტალიაზე.

გუნდური პირველი ადგილი რუსეთის ნაკრებმა დაისაკუთრა. საქართველოს ნაკრები რვა სპორტსმენით წარდგა ჩემპიონატზე. სავიზო პრობლემების გამო ლიტვაში ვერ გაემგზავრა ლევან წიკლაური, რამაც გარკვეული დაღი დაასვა საქართველოს ნაკრებს - მწვრთნელთა შტაბი მისგანაც მედალს ელოდა.



ქართველი სამბისტები გუშინ გამთენიისას დაბრუნდნენ შინ. გუნდს საქართველოში არ ჩამოჰყოლია ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოლეგ იაძე, რომელიც ლიტვიდან ათენში სამბოს მსოფლიო ფედერაციის კონგრესზე გაემგზავრა.

# ქართველ ლეგიონერებს ხელი წაუვიდათ

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებმა პოლონური ტურნე დაასრულა და ლეგიონერები საკუთარ კლუბებს დაუბრუნდნენ. რუმინეთში მოთამაშე შოთა თევზაძის "ბაკაუმ" და ვლადიმერ რუსიას "დინამომ" მორიგი გამარჯვებები ჩაიწერეს. რუსიას გუნდმა სტუმრად დაძაბულ მატჩში დაამარცხა "ზაიმერესი" - 30:27 და სატურნირო ცხრილში პოზიცია განიმტკიცა. თევზაძის "ბაკაუ" კი "პიტეშს" ესტუმრა და 34:25 მოუგო.

რუმინეთიდან სლოვენიაში გადავინაცვლოთ და ჩვენი ნაკრების ლიდერის სერგო დათუკაშვილის ამბები ვთქვათ. აგერ უკვე რამდენი ტურია მისი "გორენიე" გადარბენით იგებს მატჩებს და ახლოსაც არავის იკარებს. მისი რისხვა ამჯერად "სლოვანს" დაატყდა თავს - 31:24. სერგოს გუნდი ჩემპიონობისთვის ბრძოლაში მთავარ კონკურენტს "კოპერს" ერთი ქულით უსწრებს. ეს გუნდები 10 დეკემბერს ეთამაშებიან ერთმანეთს და, წესით, უშელავათო ბრძოლა უნდა გაჩაღდეს.

# განცხადება

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს საგარეჯოს რაიონული სასამართლოს აპარატის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

**მანდატურის სამსახური**

- სასამართლოს მანდატური - 3 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო - 420 ლარი).

**კონკურსის პირობები:**

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა (დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად), ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას და აქვთ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისათვის შესაბამისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. სასამართლოს მანდატურად არ შეიძლება დაინიშნოს ნასამართლევი პირი.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია 22-დან 50 წლამდე.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

- „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ და „საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონების, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის ცოდნა;

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე და 2081 მუხლების ცოდნა.

კონკურსს ატარებს საგარეჯოს რაიონული სასამართლოს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

**1. ავტობიოგრაფია;**
**2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობის (დიპლომი) ასლი;**
**3. უკვე გაცემული შრომის წიგნაკის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);**
**4. ორი ფოტოსურათი;**
**5. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.**

საბუთები მიიღება საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში განცხადების გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის ვადაში 10.00 საათიდან 17.00 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა.

კონკურსი ჩატარდება განცხადების გამოქვეყნების დღიდან არაუადრეს სამი კვირისა. კონკურსი მოეწყობა გასაუბრების ფორმით.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოს შემდეგ მისამართზე: საგარეჯო, ჯაფარიძის ქ. N4, საგარეჯოს რაიონული სასამართლო.

**დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: ტ: 27 31 14**

**საჯარო სამსახურის ბიურო**

# ცვლილება სატენდერო განცხადებაში საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს ტენდერს იაპონიის მთავრობის არასაპროექტო გრანტის ფარგლებში შესყიდული საქონლის ტრანსპორტირების მომსახურების შესყიდვაზე (ტენდერის ნომერი: **MDF/S/NCB-01-2008).**

2. დაინტერესებულ პირებმა ტენდერში მონაწილოების მისაღებად უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით შემდეგ საბანკო რეკვიზიტებზე:

ბანკი „რესპუბლიკა“, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქუჩა N2, თბილისი, საქართველო

ბანკის კოდი: 220 101 757

სალარე ანგარიშის N: 340 800 01

ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და წერილობითი განაცხადის წარმოდგენის შემდეგ, მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში ქვემოთ მითითებულ მისამართზე, დაინტერესებულ პირებს გადაეცემათ სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე.

3. შესყიდვის საგანი:

ქ. ბათუმისა და ქ. ფოთის პორტებიდან თბილისისა და რუსთAვის მუნიციპალიტეტებისათვის საყოფაცხოვრებო ნარჩენების ურნების განბაჟება და ტრანსპორტირება. ურნები განთავსებულია 40-ფუტიან მაღალი ტიპის 131 კონტეინერში. აქედან, 122 კონტეინერი მიწოდებული უნდა იყოს ქ. თბილისში, ხოლო 9 კონტეინერი ქ. რუსთავში. თითო კონტეინერში განთავსებულია 33 ცალი ურნა. ტვირთების მიწოდების ვადა არის 1 კვირა. კონტეინერები ჩამოვა ეტაპობრივად.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას (სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, სუბკონტრაქტორმა იგივე ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად):

იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის:

- სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები)

5 დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია და იხილონ საკონკურსო დოკუმენტები მუნიციპალური განვითარების ფონდში ქვემოთ მოცემულ მისამართზე 2008 წლის 25 ნოემბრიდან, სამუშაო დღეებში 10:00 საათიდან 17:00 საათამდე.

6. სატენდერო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია ტენდერის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში.

7. დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, დალუქულ კონვერტში **2008 წლის 15 დეკემბრის 14:00 საათამდე**, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

8. სატენდერო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე, სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, **2008 წლის 15 დეკემბრის 14:00 საათზე**, დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული სატენდერო წინადადებები არ მიიღება.

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
**ბ-ნი ლაშა გოცირიძე, აღმასრულებელი დირექტორი**
**ქ. თბილისი, 0105, იეთიმ გურჯის ქუჩა N7ბ**
**ტელ: (995 32) 94 32 40; 94 29 47; 92 34 70**
**ფაქსი: (995 32) 94 04 39**
**ელ-ფოსტა: procurement@mdf.org.ge , ინტერნეტ-გვერდი: www.mdf.org.ge**

# საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი მეცნიერების პოპულარიზაციის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში აცხადებს 2009 წლის კონკურსს „სამეცნიერო-პოპულარული ლექციები საჯარო სკოლებისათვის“

**1. მიზანი**

1. კონკურსის მიზანია საჯარო სკოლის მოსწავლეებში მეცნიერების პოპულარიზაციის ხელშეწყობა, მეცნიერების მიღწევებისა და სიახლეების გაცნობა, თანამედროვე სამეცნიერო ცოდნის მიწოდება და მათი დაინტერესება მეცნიერებით.

2. პროგრამა განხორციელდება საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის სამეცნიერო-პოპულარული ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობების სახით.

3. პროგრამა ინიცირებულია ს.ს.ი.პ. - საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ.

4. პროგრამა ფინანსდება 2009 წლის საქართველოს სახელწიფო ბიუჯეტიდან და მის ადმინისტრირებას ახორციელებს ფონდი.

5. 2009 წლის კონკურსი - „სამეცნიერო-პოპულარული ლექციები საჯარო სკოლებისათვის“ მიზანია თანდართული დებულებით განსაზღვრულ სფეროების მიხედვით შეირჩეს მეცნიერთა ჯგუფი, რომლებიც უზრუნველყოფენ სამეცნიერო-პოპულარული სალექციო კურსისა და პრაქტიკული გაკვეთილების ჩატარებას საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის.

6. კონკურსის ფარგლებში თითოეულ სფეროზე შეირჩევა არაუმეტეს ორი პროექტი. სულ პროექტის ფარგლებში დასაფინანსებლად შერჩეული იქნება 14 პროექტი.

7. გამარჯვებული პროექტის მონაწილე(ებ)ზე ჰონორარი გაიცემა ყოველთვიურად.

**2. პროგრამის ფორმატი და კონკურსში მონაწილეობის პირობები**

1. კონკუსრში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეებს (დოქტორანტი, დოქტორი და მათთან გათანაბრებულ პირებს), რომლებიც სწავლობენ და/ან ეწევიან სამეცნიერო საქმიანობას სამეცნიერო-კვლევით და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

2. კონკურსში მონაწილეობა ინდივიდუალურია, ამასთანავე პრეტენდენტს შეუძლია პროექტის ფარგლებში განაცხადში წარმოადგინოს მოთხოვნა ერთ დამხმარე/ტექნიკურ პერსონალზე, რომლის შრომის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ მისი ჰონორარის ფარგლებში.

3. პროგრამის ფორმატი უნდა მოიცავდეს საჯარო სკოლის X, XI და XII კლასების მოსწავლეთათვის სამეცნიერო-პოპულარული სალექციო კურსისა და პრაქტიკული გაკვეთილების ჩატარებას. პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილია სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების ვიზუალიზაცია (ფოტო, აუდიო, ვიდეო მასალები, პრეზენტაციები, ბუკლეტები, ფლაერები, საცდელ-სადემონსტრაციო მასალები და/ან სხვა ტიპის მასალები).

4. კონკურსში გამარჯვებულმა მეცნიერმა უნდა მოამზადოს 3 სალექციო კურსი შესაბამის პრაქტიკული მეცადინეობებით. მეცნიერის მიერ ყოველთვიურად უნდა ჩატარდეს ერთი ლექცია თითოეულ ქალაქში.

5. ლექციებისა ჩატარების განრიგი და ადგილი განისაზღვრება ფონდის მიერ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი განაცხადის (საკონკურსო დოკუმენტაციის) განხილვის საფუძველზე.

6. პროგრამის ფარგლებში ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობები განხორციელდება საქართველოს შემდეგ ქალაქებში: თბილისი, ქუთაისი, გორი, ბათუმი, ზუგდიდი, ფოთი, ოზურგეთი, თელავი, რუსთავი.

7. კონკურსში გამარჯვებულ მეცნიერთან ფონდი აფორმებს ხელშეკრულებას.

8. ერთი პროექტის ხანგრძლივობა უნდა მოიცავდეს 6 თვეს.

**3. მიმართულებები**

1. პროგრამის ფარგლებში 2008 წლის კონკურსი მოიცავს მეცნიერების შემდეგ სფეროებს:

ა) ქიმია;
ბ) ფიზიკა;
გ) ბიოლოგია და მედიცინა;
დ) კოსმოლოგია და ასტრონომია;
ე) გეოგრაფია, გეოლოგია, ეკოლოგია;
ვ) საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები;
ზ) მათემატიკა.

**4. გამარჯვებული მეცნიერის ჰონორარი**

1. გამარჯვებულ მეცნიერს ხელშეკრულების საფუძველზე მიეცემა ჰონორარი თვეში 1800 ლარი.

დეტალური ინფორმაცია განთავსებულია ფონდის ვებ-გვერძე **www.gnsf.ge**

**განაცხადების ფონდში წარდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 9 იანვარი 18:00 საათი.**

**პროექტის განხორციელება დაიწყება 2009 წლის თებერვლიდან**

**საკონტაქტო პირი:**

მაია ჭანტურია - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მეცნიერების პოპულარიზაციის პროგრამის კოორდინატორი.

**საკონტაქტო ინფორმაცია:**
**მისამართი: დ. უზნაძის ქ. N 68, IV სართული**
**ტელეფონი: 95 17 52;**
**ფაქსი: 95 62 05;**
**ელ-ფოსტა: pr@gnsf.ge**

CMYK - 16



BTA BANK ▪ ბითიეი ბანკი

www.bta.ge

ბითიეი ბანკის ფილიალები და სერვის ცენტრები:

წერეთლის 73ა; ჭავჭავაძის გამზ. 40; ვაჟა-ფშაველას გამზ. 25;

რუსთაველის გამზ. 31; თამარ მეფის გამზ. 5; ც.დადიანის ქუჩა 15/90;

ბათუმი: ჭავჭავაძის გამზ. 78/88; ფოთი: აღმაშენებლის ქუჩა 10;

CMYK - 16

CMYK - 1

# ბიზნესი

24 საათი B

თქვენი რეკლამა
"ბიზნესში"

☎ (995 32) 20-24-24
899 26-20-19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK · BORJOMI ბორჯომი · ჯი პი აი · GRDC

თქვენს კითხვებს პასუხობენ ბანკირები

თიბისი ბანკი TBC BANK

გამოაგზავნეთ შეკითხვები ელ-ფოსტით, მისამართზე ngotsadze@tbcbank.com.ge, ან დარეკეთ ტელეფონის ნომერზე 27 27 27 და ყოველ სამშაბათს, რუბრიკაში "თქვენს კითხვებს პასუხობენ ბანკირები", მიიღეთ პასუხები "თიბისი ბანკის" ექსპერტებისგან.

B2

## ÊÏ ÌÐÀÍÉÀ "ÈÁÉËÉÓÉÓ ßÚÀËÉ" ÀÒ ÉÚÉÃÄÄÀ!



B6

### ÖÝáÏÖÒÉ ÅÀËÖÔÉÓ Ï×ÉÝÉÀËÖÒÉ ÊÖÒÓÉ ËÀÒÈÀÍ ÌÉÌÀÒÈÄÁÀÛÉ

| | | |
|---|---|---|
| 1 | USD | 1,6500 |
| 1 | AUD | 1,1339 |
| 1 | AZN | 2,0431 |
| 1 | AED | 0,4492 |
| 1000 | BYR | 0,7757 |
| 1 | BGL | 1,0761 |
| 1 | DKK | 0,2845 |
| 1 | EGP | 0,2995 |
| 1 | EUR | 2,1178 |
| 10 | EEK | 1,3540 |
| 1000 | TMM | 0,1161 |
| 1 | TRY | 1,0855 |
| 10 | JPY | 0,1666 |
| 1 | GBP | 2,5950 |
| 1 | INR | 0,0348 |
| 1000 | IRR | 0,1646 |
| 10 | ISK | 0,1274 |
| 1 | ILS | 0,4354 |
| 1 | CAD | 1,4077 |
| 1 | LVL | 2,9891 |
| 10 | LTL | 6,1064 |
| 10 | MDL | 1,5920 |
| 1 | NOK | 0,2430 |
| 1 | PLZ | 0,5828 |
| 1 | RON | 0,5654 |
| 1 | RUB | 0,0612 |
| 1 | SGD | 1,1079 |
| 100 | AMD | 0,5420 |
| 1 | TJR | 0,4851 |
| 1000 | UZS | 1,2220 |
| 10 | UAG | 2,8456 |
| 100 | HUF | 0,7933 |
| 1 | KWD | 6,1145 |
| 10 | KZT | 0,1376 |
| 10 | KGS | 0,4235 |
| 1 | SEK | 0,2116 |




# ÔÚÄÄÁÉ

## ÓÀÁÉÈÖÌ Ï ×ÀÓÄÁÛÉ

### დიდი აუქციონის წინაპირობები

*რეზო გეთიაშვილი*

*საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ხე-ტყის დამზადების სპეციალურ ლიცენზიებზე მორიგი აუქციონი გამოაცხადა. თუ გასულ აუქციონებზე გამოტანილი ლოტების რაოდენობა ერთნიშნა რიცხვს არ გასცდენია, 11 დეკემბერს ერთდროულად 64 ლოტს გამოიტანენ და ასი-ათასობით ჰექტარი ტყე პატრონს ჩაბარდება".*



11 დეკემბრის აუქციონი კახეთის, გურიის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის, იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის, მოკლედ, მთელი საქართველოს ტყეებს მოიცავს. რაოდენობრივად ასეთი მასშტაბის აუქციონი საქართველოში უპრეცედენტოა.

გაგრძელება B3 გვერდზე

# ÀàÀÒÀÛÉ ÌÉÌÃÉÍÀÒÄ ÓÀÉÍÅÄÓÔÉÝÉÏ ÐÒÏÄØÔÄÁÉ

ᲗᲘᲜᲐ ᲨᲐᲕᲐᲫᲔ

აჭარის რეგიონში მიმდინარე საინვესტიციო პროექტებიდან დღემდე არც ერთი არ შეჩერებულა. აგვისტოში განვითარებული მოვლენების მიუხედავად, სასტუმრო შერატონის" მშენებლობა ფართო მასშტაბით მიმდინარეობს. ეს არის ქალაქ ბათუმში მშენებარე ობიექტებიდან ყველაზე მასშტაბური ობიექტი და ის ქალაქის ყველა კუთხიდან მოჩანს. სასტუმროს მშენებლობის გაგრძელება იმის ნიშანია, რომ ინვესტორების ინტერესი რეგიონის მიმართ კვლავ არსებობს და ბათუმში ტურიზმის განვითარებას პერსპექტივა აქვს.

გაზეთ 24 საათს" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში განუცხადეს, რომ საქართველოში აგვისტოში განვითარებული მოვლენებისა და მსოფლიო საფინანსო კრიზისის გამო ინვესტორებმა რეგიონის მიმართ ინტერესი დაკარგეს, მაგრამ ეს დროებითი შეფერხებაა და შესაძლებელია მომავალი წლიდან დაიძლიოს, მაშინ, როცა საქართველო ბიზნესის კეთების უსაფრთხო იმიჯს კვლავ დაიბრუნებს.

გაგრძელება B4 გვერდზე






# თქვენს კითხვებს პასუხობენ ბანკირები

თიბისი ბანკი
TBC BANK

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

გაინტერესებთ საბანკო სფეროში მიმდინარე სიახლეები და ცვლილებები?
გსურთ საქართველოს წამყვანი ბანკის ექსპერტებისგან პირადად მიიღოთ პასუხები ყველა კითხვაზე?
თიბისი ბანკი თქვენ გვერდითაა და მოგაწვდით სრულ ინფორმაციას თქვენთვის საინტერესო საბანკო თემებზე.
გამოაგზავნეთ შეკითხვები ელ-ფოსტით, მისამართზე **ngotsadze@tbcbank.com.ge**, ან დარეკეთ ტელეფონის ნომერზე 27 27 27 და **ყოველ სამშაბათს**, რუბრიკაში "**თქვენს კითხვებს პასუხობენ ბანკირები**", მიიღეთ პასუხები თიბისი ბანკის ექსპერტებისგან.



***თიბისი ბანკში მაქვს გახსნილი ანაბარი და ჩართული ვარ გათამაშებაში. ახლა გავიგე, რომ საახალწლოდ საზღვარგარეთ მომიწევს წასვლა, ამიტომ მაინტერესებს ახალი წლის ღამეს, მილიონის გათამაშებისას პრობლემა ხომ არ შემექმნება და მივიღებ თუ არა გათამაშებაში მონაწილეობას?***

ნინო ყაჭეიშვილი –
თიბისი ბანკის საცალო გაყიდვების განყოფილების უფროსი:

გათამაშების ფინალური ეტაპი - მილიონის გათამაშება, გაიმართება 31 დეკემბერს, რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში, საინფორმაციო გადაცემის "კურიერი" შემდეგ.

თიბისი ბანკის ყველა იმ მენაბრეს, ვინც ჩართულია გათამაშებაში, ვურჩევთ არ გამოტოვოს ეს გადაცემა და აუცილებლად ადევნოს თვალყური ეთერს, რადგან შესაძლოა სწორედ ის აღმოჩნდეს ყველაზე იღბლიანი ადამიანი, რომელსაც გადაცემის წამყვანი, მსახიობი კახი კავსაძე პირდაპირ ეთერში ახარებს: "თქვენ მოიგეთ მილიონი!"

მაგრამ თუ თქვენ უკვე დაგეგმილი გაქვთ მოგზაურობა და 31 დეკემბერს საქართველოში არ იქნებით, მაშინ სასურველია გააქტიურებული გქონდეთ ის მობილური ტელეფონის ნომერი, რომელიც ბანკთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაქვთ მითითებული.

ეს იმიტომ, რომ გათამაშების წესების თანახმად, მეანაბრემ, რომლის ბილეთიც ლოტოტრონიდან ამოვა და მისი ტელეფონის ნომერიც პირდაპირ ეთერში დაფიქსირდება, პირადად უნდა უპასუხოს ზარს.

შესაბამისად, თუ 31 დეკემბრის ღამეს თქვენ გააქტიურებული გექნებათ მობილური ტელეფონი პირადი ნომრით და თავად შეძლებთ უპასუხოთ ბატონ კახის, მაშინ მოგზაურობა ხელს არ შეგიშლით მილიონის მოგებაში.

ასე რომ, წარმატებებს გისურვებთ!

***დავფარე განვადების თანხა და როგორც კარგ გადამხდელს მითხრეს, რომ ჩემი ოჯახის წევრებს, ყოველგვარი დამატებითი საბუთების და თავდების გარეშე, შეუძლიათ ისარგებლონ ბანკის მომსახურე-ბით - სესხით და განვადებით. ვინ იგულისხმება ოჯახის წევრებში და ეხება თუ არა ეს ჩემს მამას?***



ლელა ჭინჭარაული –
თიბისი ბანკის საცალო დაკრედიტების განყოფილების უფროსი:

საქმე ისაა, რომ თუ მსესხებელმა კარგად დაფარა სესხი, ეს მის დადებით საკრედიტო ისტორიაზე მეტყველებს, რაც თავისთავად განსაზღვრავს გარკვეულ შეღავათებს ახალი სესხის აღებისას, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მას ან მისი ოჯახის წევრებს ახალი საკრედიტო პროდუქტის აღების შემთხვევაში არ მოეთხოვებათ სესხის მისაღებად განკუთვნილი დოკუმენტაციის წარდგენა.

ის ფაქტი, რომ თქვენ კარგი გადამხდელი ბრძანდებით აუცილებლად იმოქმედებს თქვენთვის ახალი სესხის გაცემის გადაწყვეტილებაზე, ხოლო რაც შეეხება თქვენი ოჯახის წევრებს უნდა გითხრათ, რომ თქვენთვის განსაზღვრული შეღავათები მათზე არ გავრცელდება.

***შევიცვალე სამსახური და მაქვს უკეთესი პირობები და ბევრად მაღალი ხელფასი. ახალი სამსახური მაძლევს საშუალებას უფრო მეტი სესხი ავიღო და დავფარო. შემიძლია თუ არა ძველი სესხის დაფარვის ვადის გასვლამდე ავიღო ახალი სესხი ან დავამატო ძველ კრედიტს ნასესხები თანხა?***

ახალი სესხის ასაღებად არ არის აუცილებელი დაიფაროს ჯერ მიმდინარე დავალიანება. ამიტომ თუ თქვენ ახალი სესხის აღება გჭირდებათ და თვლით, რომ გაქვთ მისი დაფარვის საშუალება თქვენ შეგიძლიათ თავისუფლად აიღოთ უფრო მეტი სესხი და არ დაელოდოთ მიმდინარე სესხის დაფარვის ვადის გასვლას.



***მინდოდა თიბისი ქარდის აღება, მაგრამ გავიგე, რომ ეს ბარათი მხოლოდ თიბისი ბანკის კლიენტებისთვის არის განკუთვნილი. გთხოვთ მიპასუხოთ, როგორ შეიძლება ამ ბარათის აღება, ან ხომ არ გაქვთ რაიმე სხვა მსგავსი ბარათი მათთვის, ვინც არ არის თიბისი ბანკის კლიენტი?***

ვაჟა ბერიაშვილი -
თიბისი ბანკის პროდუქტების განვითარების განყოფილების უფროსი:

თიბისი ქარდი არის უნიკალური საკრედიტო ბარათი, რომელსაც აქვს ყველაზე ხანგრძლივი - 55 დღიანი საშეღავათო პერიოდი. მიუხედავად იმისა, რომ თიბისი ბანკი მომხმარებელს სხვა სტანდარტულ საკრედიტო ბარათებსაც სთავაზობს, თიბისი ქარდი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს.

თუ თქვენ არ ხართ თიბისი ბანკის კლიენტი და თიბისი ქარდის მიღება გსურთ, მინდა დაგამშვიდოთ და გითხრათ, რომ ეს შესაძლებელია, რადგან ამ ბარათის მისაღებად აუცილებელი არ არის იყოთ თიბისი ბანკის კლიენტი, მაგრამ აუცილებელია გქონდეთ სტაბილური შემოსავალი და ხელფასი გერიცხებოდეთ საქართველოში მოქმედ ნებისმიერ ბანკში.

თიბისი ბანკის კლიენტებისთვის ბარათის მიღების პროცედურა გაცილებით გამარტივებულია, მათ კი ვინც არ არის თიბისი ბანკის კლიენტი, უნდა წარმოადგინონ სახელფასო ამონაწერი იმ ბანკიდან, სადაც ხელფასი ერიცხებათ.

ამის შემდეგ თქვენ დაგიმტკიცდებათ საკრედიტო ლიმიტი და დაგიმზადდებათ თიბისი ქარდი.

***მინდა მანქანის შეძენა ავტოგანვადებით, მაგრამ მითხრეს, რომ აგვისტოს მოვლენების შემდეგ ბანკები ასეთი ტიპის სესხებს აღარ გასცემენ. მაინტერესებს, როდიდან დაიწყებთ ავტოგანვადებების გაცემას და რა პირობებით?***



აკაკი სანიკიძე -
საცალო გაყიდვების განყოფილების მენეჯერი

ბანკებში ავტოგანვადებების გაცემა დროებით შეჩერდა აგვისტოს განმავლობაში, თუმცა 1 სექტემბრიდან თიბისი ბანკში ეს პროცესი განახლდა.

თუ თქვენ მანქანის შეძენა გსურთ, შეგიძლიათ ისარგებლოთ თიბისი ბანკის ავტოგანვადებით, თუმცა, აგვისტოს მოვლენებმა და, ზოგადად, მსოფლიო კრიზისმა გარკვეული ზეგავლენა იქონია სესხების გაცემის პირობებზე.

კერძოდ, შედარებით გამკაცრდა გაცემის პროცედურა და პირობები - თუ მანამდე თიბისი ბანკი ავტოგანვადებებს გასცემდა მხოლოდ პირადობის მოწმობის საფუძველზე, ახლა საჭიროა კლიენტმა წარმოადგინოს შემოსავლების დამადასტურებელი ცნობაც.

ცვლილებები შეეხო ასევე საპროცენტო განაკვეთებსაც. მაგალითად, მინიმალური საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა და გახდა ახალი ავტომობილის შეძენის შემთხვევაში 20%, ხოლო ნახმარი ავტომობილების შეძენისას - 24%. შეიცვალა სესხის ვადებიც და გახდა 60 თვე ახალი ავტომობილისთვის, ხოლო 36 თვე _ მეორადებისთვის.

ამჟამად თიბისი ბანკი მომხმარებელს სთავაზობს ავტო განვადების რამდენიმე ვარიანტს:

სწრაფი ავტოგანვადება, რომელიც მოქმედებს რამდენიმე სადილერო კომპანიაში (ჰიუნდაი, მათე მოტორსი, ოპელი, კია). ასეთი სესხის დამუშავება ხდება უმოკლეს ვადაში - 30 წუთში, მინიმალური დოკუმენტაციის მოთხოვნით. ამ შემთხვევაში მსესხებლის პირადი თანამონაწილეობა შეადგენს მანქანის ღირებულების 30-40%-ს.

თქვენ ასევე შეგიძლიათ ისარგებლოთ სტანდარტული ავტოგანვადებით, სადაც თანამონაწილეობა არ მოითხოვება.

თუ თქვენ სურვილი გაქვთ შეიძინოთ ჰიუნდაი ტუსონი, ან ვერაკრუზი, მაშინ შეგიძლიათ 1 იანვრამდე ისარგებლოთ სპეციალური აქციით, რომელსაც თიბისი ბანკი და ჰიუნდაი ავტო საქართველო გთავაზობთ, და მიიღოთ ავტოგანვადება წლიური 10-დან 16%-მდე.

# ÔÚÄÄÁÉ ÓÀÁÉÈÖÌÏ ×ÀÓÄÁÛÉ

პირველი გვერდიდან



თუ გავითვალისწინებთ, რომ უკანასკნელ აუქციონზე გამოტანილი ყველა ლოტი ერთი კომპანიის საკუთრება გახდა, ინვესტორების სიმრავლე, მრავალფეროვნება და საკონკურსო გარემო არც ამჯერად უნდა ვივარაუდოთ (ასეთ შემთხვევაში, აუქციონზე ადგილის, დროისა და ადამიანური რესურსების სერიოზული პრობლემა შეიქმნებოდა). შესაბამისად, ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ ლოტების დიდი ნაწილი საწყის ფასში გაიყიდება.

მსგავსი აუქციონების მოწყობის გარდა, უკვე არსებობს გარკვეული გამოცდილება, რაც საქართველოს სატყეო სექტორში განხორციელებული ე. წ. მძლავრი რეფორმის" ანალიზის საშუალებას უნდა იძლეოდეს. მაშინ, როცა სპეციალური ლიცენზიების პირველი აუქციონის შემდეგ უკვე მეორე წელი იწურება და გაცემული ტყეების ექსპლოატაციაც დაწყებულია, ხელისუფლებას უკვე უნდა ჰქონდეს პასუხები რეფორმის სოციალ-ეკონომიკური და ეკოლოგიური შედეგების შესახებ - დასაქმების, საბიუჯეტო შემოსავლების, ტყის მოვლის, დაცვისა და აღდგენის პარამეტრების გათვალისწინებით.

საზოგადოებისთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რამდენად შეასრულეს სალიცენზიო პირობები ინვესტორებმა და რამდენად ეფექტური აღმოჩნდა კონტროლის ახალი მექანიზმები, რამაც ტყეების შეუქცევადი დეგრადაციიის შეჩერება უნდა უზრუნველყოს.

როგორც ირკვევა, აღნიშნული მექანიზმი საერთოდ ვერ ამოქმედდა. საქართველოს გარემოს დაცვის ინსპექცია რეფორმით განსაზღვრული ფუნქციის განხორცილებას მანამდე ვერ მოახერხებს, ვიდრე ლიცენზიანტები მართვის გეგმებს არ წარმოადგენენ. შესაბამისად, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ისიც კი არ იციან, საერთოდ დაიწყეს თუ არა ტყეების ექსპლოატაცია სპეციალური ლიცენზიის მფლობელებმა. სალიცენზიო პირობების შესრულება-შეუსრულებლობაზე არაფერი რომ არ ვთქვათ.

თუმცა, პირობები რომ არ სრულდება, ესეც ფაქტია.

## როცა იტყუებიან

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსთან გასული წლის გაზაფხულზე გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, მართვის გეგმების წარმოსადგენად, რომელშიც ტყეთმოწყობის მასალებიც უნდა შესულიყო, ინვესტორებს ათთვიანი ვადა მიეცათ.

წარმოდგენილი მართვის გეგმების შესახებ ინფორმაციისთვის, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელმა (CENN) გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე რადენიმე დღით ადრე მიმართა. 17 მარტით დათარიღებულ პასუხზე, რომელსაც ხელს სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე აწერდა, მართვის გეგმა ლიცენზიების მფლობელ არც ერთ კომპანიას არ ჰქონდა წარმოდგენილი. ციტატა წერილიდან: კომპანიებმა მართვის გეგმა განსახილველად და დასამტკიცებლად სამინისტროს უნდა წარმოუდგინონ 2008 წლის 1 აპრილამდე".

მომდევნო წერილი, იგივე ინფორმაციის მოთხოვნით, იგივე სამინისტროში დადგენილი ვადის ამოწურვის შემდეგ შევიდა. როგორც ოფიციალური პასუხიდან გაირკვა, საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრის დადგენილებით, ვადის ათვლა არა ლიცენზიის გაცემიდან, არამედ 2008 წლის 1 იანვრიდან დაიწყო.

ის ფაქტი, რომ 24 სექტემბრის დადგენილების შესახებ სამინისტროში 5 თვის განმავლობაში არაფერი იცოდნენ, შეიძლებოდა დაუდევრობადაც მიგვეღო, მაგრამ ზუსტად იგივე განმეორდა ხელახალი ვადის ამოწურვის დროსაც.

სექტემბერში შესაბამისობის სამეურვეო საბჭოს (CSC) ინიციატივით გამართულ საჯარო შეხვედრაზე მისულ მედიასაშუალებებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე კობა გურგენიძემ არა მარტო სალიცენზიო პირობების შესრულების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, არამედ მთლიანად რეფორმის სოციალ-ეკონომიკური და ეკოლოგიური შედეგების ანალიზის შესახებ პრეზენტაციის გაკეთებაც აღუთქვა. კობა გურგენიძის განცხადებით, ლიცენზიანტები 1 ნოემბრამდე წარმოადგენენ შესრულებული სამუშაოს ანგარიშს და მართვის გეგმებს, რის მიხედვითაც ხელისუფლებას რეფორმის ანალიზის გაკეთების საშუალება ექნება. მანამდე ამ საკითხებზე არანაირი პასუხი არ არსებობს".

რიგ შეკითხვებზე პასუხის გაცემამდე საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ოქტომბრის აუქციონების გადადებაც კი ითხოვეს. ამ მიზნით კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელმა (CENN), შესაბამისობის სამეურვეო საბჭომ (Compliance Stewardship Council), საქართველოს მწვანეთა მოძრაობამ, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, თბილისის ბოტანიკურმა ბაღმა, ბოტანიკის ინსტიტუტმა, ფონდმა ღია საზოგადოება საქართველო და სხვა ორგანიზაციებმა შესაბამის უწყებებს მიმართეს.

საქართველოს ხელისუფლებამ მიმართვა უპასუხოდ დატოვა. მოგვიანებით კი მთავრობის კიდევ ერთი დადგენილება გაჩნდა, რომლის მიხედვითაც მართვის გეგმების წარდგენის ვადამ 2009 წლამდე გადაიწია. რაც მთავარია, ეს დადგენილება 2008 წლის 26 ივნისითაა დათარიღებული, ანუ სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის განცხადებებზე გაცილებით ადრე არის გამოსული. არადა, აღნიშნულ ინფორმაციაზეც ხელს სწორედ კობა გურგენიძე აწერს.

დასკვნის გასაკეთებლად საექსპერტო დასკვნები ნამდვილად აღარაა საჭირო - ხელისუფლება იტყუება. უარეს შემთხვევაში, რეფორმის მიმდინარეობისას პასუხისმგებელი სტრუქტურები რეალობას მთლიანად არიან მოწყვეტილები და მათ ნაცვლად გადაწყვეტილებებს ვიღაც სხვა იღებს. კიდევ უფრო უარეს შემთხვევაში, სამთავრობო დადგენილებები უკანონობის დასაფარად იქმნება.

## ფორმალური ხელშეკრულებების შედეგები

ასეა თუ ისე, კომპანიებმა, რომლებიც 11 დეკემბრის აუქციონში მონაწილეობით არიან დაინტერესებული, უკვე წინასწარ იციან, რომ სალიცენზიო პირობებით დადგენილ ვადებს მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა აქვს და თუკი პირობები არ შესრულდა, ყოველთვის მოიპოვება საქართველოს მთავრობის რამდენიმე თვით ადრე დათარიღებული დადგენილება ვადების გადაწევის შესახებ.

ეს გარემოება მნიშვნელოვნად ამცირებს ლიცენზიების ეფექტურად გაყიდვის შესაძლებლობას, რის გამოც საქართველოს ბიუჯეტი მნიშვნელოვან შემოსავლებს კარგავს. ამასთან, შეუძლებელი ხდება ისეთი ინვესტორების დაინტერესება, ვინც საქართველოს სატყეო სექტორში მუშაობის თანამედროვე სტანდარტებს და ახალ ტექნოლოგიებს დანერგავს. შესაბამისად, ქვეყნის სიმდიდრე" მორისა და ფიცრის ღირებულებას კიდევ დიდხანს ვერ გასცდება და ამ სიმდიდრიდან" ქვეყანა ძალიან მცირე შემოსავლებს და დიდ ეკოლოგიურ რისკებს მიიღებს.

საგულისხმოა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლების მიერ გავრცელებული ინფორმაცია გასულ წელს გაცემული ოთხი ლიცენზიიდან სამის მოსალოდნელი გაუქმების შესახებ. ეს კი ბოლო 20 წლის განმავლობაში სატყეო სექტორში დამკვიდრებულ ტრადიციებთან გვაბრუნებს, როცა ინვესტორი ლიცენზიის ვადის გასვლამდე მაქსიმალური რესურსის ამოღებაზე და მაქსიმალური მოგების მიღებაზე იყო ორიენტირებული, კონტროლის მექანიზმების არარსებობა კი კონტრაბანდის, კორუფციისა და სრული განუკითხაობის პირობებს ქმნიდა.

ლიცენზიანტების მიერ ხეტყის ექსპლუატაცია ნამდვილად რომ დაიწყო, ამას ადგილობრივი მოსახლეობაც ადასტურებს. ტრაილერები დღისითაც დადიან და ღამითაც. იტალიელიო რომ თქვეს, ერთი გვაჩვენონ ეგ იტალიელი. კაცი დაგვიმეზობლდა, მთელი სოფლის სამყოფი ტყე იყიდა და პირადად ხომ უნდა ვიცნობდეთ? ერთხელ არ მოსულა, არ დაგველაპარაკებია, ჩვენთვის არაფერი უკითხავს, სოფლისთვისაც კენჭი არ გადაუბრუნებია," - აცხადებენ შილდელები, რომლებიც ყვარლის რაიონში სპეციალური ლიცენზიით გაცემულ ტყეებს ესაზღვრებიან.

მურად თამაზაშვილი, სოფელი შილდა: არანაირი იტალიელი არ არსებობს, მთავრობის ხალხია და როგორც აქამდე ჭრიდნენ, ახლაც ისევე ჭრიან. გდი-ც ისე გააკონტროლებს, როგორც აქამდე აკონტროლებდა. ეს ერთი მიყრუებული მხარის ერთი მიყრუებული სოფელია, რამე საბუთი გქონდეს და სადაც გინდა და რამდენიც გინდა, შენი განმკითხავი არავინაა. რატომ ამ ტრაილერებით არავინ ინტერესდება, რა უდევთ, რამდენი უდევთ. მაგათ ტყეშიც მწვანე შუქი აქვთ და ტრასაზეც".

ასეთ პირობებში ტყეების ხანგრძლივვადიანი ლიცენზიების გაცემის შედეგი შესაძლოა ერთწლიანი ლიცენზიების იდენტური აღმოჩნდეს - ტყეების არარაციონალური ექსპლოატაცია, შეუქცევადი დეგრადაცია და საშიში ბუნებრივი პროცესების გააქტიურება. მით უფრო, იმ პირობებში, როცა მაკონტროლებელ სტრუქტურებს წარმოდგენა არა აქვთ, საერთოდ მიმდინარეობდა თუ არა ხე-ტყის მოპოვება გრძელვადიანი ლიცენზიებით გაცემულ ტყეებში.

## სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" სამეწარმეო კონფერენცია გაიმართა

სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" სამეწარმეო კონფერენცია გაიმართა.

სამეწარმეო კონფერენციის ფარგლებში ამერიკელი და ქართველი ექსპერტები 12 საუკეთესო ბიზნესზე ორიენტირებულ სამეცნიერო პროექტს შეაფასებენ და საგრანტო დაფინანსების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებენ.

კონფერენციას განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნოდარ სურგულაძე, საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორი ნათია ჯოხაძე, საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის დირექტორი გიორგი ხოხობაშვილი და აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სამეწარმეო კონფერენციას აშშ სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდი საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდი ბიზნესპარტნიორობის პროგრამის ფარგლებში ატარებს.

კონფერენციის ორგანიზატორთა განცხადებით, კონფერენციის მიზანია ბიზნესკომპანიებისა და სამეცნიერო ჯგუფების თანამშრომლობის განვითარება, სამეცნიერო შედეგების კომერციალიზაცია, ახალი შესაძლებლობების გამოვლენა და ორმხრივი ეკონომიკური სარგებლობის მიღება.

კონკურსზე წარმოდგენილი 42 საინოვაციო პროექტიდან საქართველოსა და ამერიკის დამოუკიდებელმა ექსპერტებმა 12 საუკეთესო, ბიზნესზე ორიენტირებული პროექტი შეარჩიეს, რომელთა ავტორებმაც კონფერენციაზე პრეზენტაციები წარმოადგინეს.

საგრანტო პროექტების დაფინანსების ბიუჯეტი 240 000 ლარია, რომელსაც საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (200 ათასი ლარი) და აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდი (40 ათასი ლარი) 2009 წლის მანძილზე წილობრივად იხდიან.

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის ერთობლივი კონკურსი უკვე მეორე წელია ტარდება. 2007 წელს 8 პროექტი დაფინანსდა, რომლებიც სამეცნიერო კვლევებზე დაფუძნებულ კერძო სექტორის განვითარებას ითვალისწინებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## მომავალ წელს კომპანიების რეკორდული რაოდენობა გაკოტრდება

მომავალ წელს კომპანიების რეკორდული რაოდენობა გაკოტრდება. ევროპაში 200 ათასი კომპანიის გაკოტრებაა მოსალოდნელი, თუმცა უიღბლო კომპანიების ნამდვილი ვარდნა ამერიკაში მოხდება, - წერს Financial Times-ი.

მომავალ წელს 62 ათასი ამერიკული კომპანია გაკოტრდება, წელს ეს რიცხვი 42 ათასი იყო, ხოლო შარშან 28 ათასი, აღნიშნულია გერმანული Allianz-ის ინფორმაციაში. თუმცა ეს მონაცემები იმასთან შედარებით, რაც ევროპას ელოდება, არაფერია, სადაც გაკოტრება მცირე კომპანიების დიდ რაოდენობას ემუქრება.

"ფინანსურმა კრიზისმა გაკოტრების რისკი მნიშვნელოვნად გაზარდა, განსაკუთრებით 2009 წელს. აშშ-შიც მოხდება ჩავარდნა, მაგრამ ძირთადი დარტყმა ევროპაში და, განსაკუთრებით ბრიტანეთში მოხდება," - განაცხადა Euler Hermes-ის მთავარმა ეკონომისტმა რომეო გრილიმ.

კრიზისის ძირითადი მსხვერპლი ავტომწარმოებლები, რიტეილერები და საფეიქრო წარმოება გახდება. გაკოტრების ყველაზე მაღალ მაჩვენებელს მომავალ წელს ვარაუდობენ, განსაკუთრებით ესპანეთში, ირლანდიასა და ბრიტანეთში.

მომავალ წელს, 2007 წელთან შედარებით, 4-ჯერ მეტი ესპანური კომპანიის გაკოტრებას ელოდებიან. ირლანდიასა და ბრიტანეთში მათი რაოდენობა თითქმის ორჯერ გაიზრდება. იაპონიაში გაკოტრების მაჩვენებელი 14 ათასიდან 17 ათასამდე გაიზრდება.

ყველა ქვეყანა იაპონიის გარდა, უფრო მეტ გაკოტრებას გადაიტანს, ვიდრე 2001-2002 წლების ეკონომიკური ვარდნისას. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ÀàÀÒÀÛÉ

## საქართველოში საწვავის ახალ სტანდარტებს ჯერ არ მიიღებენ

საქართველოში ბენზინსა და დიზელზე ახალი სტანდარტების მიღება ისევ გადაიდო. ამის შესახებ ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარემ ვანო მთვრალაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, ბენზინისა და დიზელის საწვავზე ახალი სტანდარტის მიღების გადატანის დადგენილება საქართველოს მთავრობამ მიიღო.

როგორც ცნობილია, 2009 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ახალი სტანდარტი უნდა ამოქმედებულიყო, რის შედეგად აზერბაიჯანიდან და თურქმენეთიდან საწვავის შემოტანა შეუძლებელი იქნებოდა, რადგან იქ წარმოებული საწვავი ახალი სტანდარტების პირობებს არ შეესაბამება. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება, ახალი სტანდარტების შემოღების ვადის გადატანის შესახებ, ქართულ ბაზარზე აზერბაიჯანული და თურქმენული საწვავის შემოღებას ხელს უწყობს. შესაბამისად, მომხმარებელს იაფი საწვავის შეძენის საშუალება ექნება.

საქართველოს ნავთობპროდუქტების ბაზარზე ყველაზე იაფი აზერბაიჯანიდან შემოტანილი საწვავია. დღეს ერთი ლიტრი აზერბაიჯანული საწვავის ფასი 1,05-1,20 ლარამდე მერყეობს, რაც ბოლო სამი წლის განმავლობაში ყველაზე დაბალია. აღნიშნული გადაწყვეტილება ხელს ენერგოუსაფრთხოებასაც შეუწყობს. აგვისტოს მოვლენების დროს, როცა რუსეთმა ფოთის პორტის ოკუპაცია მოახდინა, ევროპიდან საწვავის ექსპორტი შეჩერდა და საქართველო მთლიანად აზერბაიჯანული საწვავის მოწოდებაზე იყო დამოკიდებული.

ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ახალი სტანდარტების ვადების მიღების გადატანამდე საქართველოში ამ ქვეყნებიდან საწვავის შემოტანა შეიძლება. ნავთობპროდუქტების მწარმოებლების კავშირის ინფორმაციით, აზერბაიჯანული მხარე თავისი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების განახლების პროცესს აგრძელებს, რაც მას შესაძლებლობას მისცემს, ევროპული სტანდარტის საწვავი აწარმოოს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ეროვნული ბანკი ეკონომიკის ზრდის პირობად მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმს მიიჩნევს

საქართველოს ეროვნული ბანკი ეკონომიკის ზრდის აუცილებელ პირობად მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმის არსებობას ასახელებს. ამის შესახებ ბანკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა დავით ამაღლობელმა განაცხადა. ეს განცხადება მან პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე გააკეთა, როდესაც მომავალი წლის ბიუჯეტის განხილვის ფარგლებში ძირითად ფულად-საკრედიტო მიმართულებებსა და სავალუტო პოლიტიკის შესახებ საუბრობდა. მისი თქმით, საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო პოლიტიკა მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმში განხორციელდება.

ამაღლობელმა ქვეყანაში სავალუტო ბაზარზე გაცვლითი კურსის მერყეობის შერბილებას მნიშვნელოვანი უწოდა, განსაკუთრებით საქართველოს პირობებში, როცა მოსახლეობისთვის ე.წ. ნომინალური ღუზა სწორედ ლარის გაცვლითი კურსია და მოკლევადიანი გადაწყვეტილებების მიღება მისი დინამიკიდან გამომდინარე ხორციელდება.

"შესაბამისად, ლარის გაცვლითი კურსის მნიშვნელოვანი კონიუნქტურული რყევის თავიდან ასაცილებლად და სავალუტო ბაზარზე სტაბილურობის უზრუნველსაყოფად საქართველოს ეროვნული ბანკი ორმხრივ სავალუტო ინტერვენციას ახორციელებს," - განაცხადა ამაღლობელმა და დასძინა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი ბაზარზე ინტერვენციას თანდათანობით შეამცირებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## გერმანიაში საყოფაცხოვრებო საქონლის გამოფენაში მონაწილეობას ათი ქართული კომპანია მიიღებს

2009 წლის 16-25 იანვარს გერმანიაში საყოფაცხოვრებო საქონლის გამოფენაში მონაწილეობას 10 ქართული კომპანია მიიღებს. მათ შორის, ძირითადად, ღვინისა და ბოსტნეული კონსერვების მწარმოებლები იქნებიან.

გამოფენაში მონაწილეობის მიღების სურვილი 24-მა კომპანიამ გამოთქვა. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კონკურსის წესით 10 მონაწილე გამოავლინა. **ჯი-ეიჩ-ენი**

პირველი გვერდიდან

ისე, როგორც ეს მოხდა ბოლო 4 წლის განმავლობაში - რეგიონში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საინვესტიციო გარემო და აჭარა უფრო მიმზიდველი გახდა უცხოელი ინვესტორებისათვის. ამის ნათელი მაგალითია ყაზახური, უკრაინული, თურქული, რუსული, ავსტრიული და სხვა მსხვილმასშტაბიანი ინვესტიციები აჭარაში. აჭარა, საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, ხელსაყრელი გეოეკონომიკური მდებარეობით, განვითარებული ინფრასტრუქტურით, ძლიერი საფინანსო სექტორით, საერთაშორისო იმიჯის ზრდით, ბიუროკრატიული ბარიერების შემცირებით და ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული რისკების შემცირებით გამოირჩევა.

გასულ წელს რეგიონში განხორციელებულმა საერთო ინვესტიციებმა 200 მლნ. დოლარი შეადგინა. აქედან 133 მლნ. დოლარი წარმოადგენდა უცხოურ ინვესტიციებს, ხოლო 67 მლნ. დოლარი - ადგილობრივ ინვესტიციებს. 2006 წელთან შედარებით, ინვესტიციების 43%-იანი ზრდა დაფიქსირდა. მიმდინარე 2008 წლისთვის მოსალოდნელი იყო ინვესტიციების ზრდა 255 მლნ. დოლარამდე. აქედან 170 მლნ. აშშ დოლარი უცხოური ინვესტიციებია, ხოლო 85 მლნ. დოლარი - ადგილობრივი ინვესტიციები. შემოსული კაპიტალი განთავსდა ტურიზმში, მშენებლობაში, მრეწველობაში, ინფრასტრუქტურასა და მომსახურების სხვადასხვა სფეროში. ინვესტიციათა რაოდენობის მიხედვით, პირველ ადგილზეა ტურიზმის სექტორი, რაც მიღწეულია წარმატებული საპრივატიზაციო პროცესით და უცხოელი ინვესტორების დაინტერესებით, მაქსიმალურად გააუმჯობესონ და გამოიყენონ აჭარის ტურისტული შესაძლებლობები.

### მშენებარე ტურისტული ობიექტები

ამ ეტაპზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად, შემდეგი პროექტები ხორციელდება: 2005 წელს კონკურსის ფორმით გაიყიდა კინოთეატრი "თბილისი". ობიექტში ჩაიდო 956 164 ლარის ინვესტიცია. მაყურებელთა დარბაზი გათვალისწინებულია 400 კაცზე. დასაქმებულია 28 ადამიანი. ამავე პერიოდში კონკურსის ფორმით გაიყიდა და ექსპლუატაციაში შევიდა ცირკის შენობა. პროექტის ფარგლებში 1 796 978 ლარი დაიხარჯა;

ყოფილი "მედეა"-ს ტერიტორიაზე მიმდინარეობს სასტუმრო რედისონის" მშენებლობა. 2006 წელს კომპანია "აჭარა რიზორთს ჰოლდინგ ბი.ვი"-ს მიერ პრივატიზებულია სს "აჭარის კურორტები" (21 ტურისტული ობიექტი) და სს "მესხეთის" აქციათა პაკეტი, სადაც თანამედროვე ტიპის სასტუმრო კომპლექსები აშენდება. მათ შორის სასტუმრო მედეას" ადგილზე შენდება 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო, რომელსაც ოპერირებას ს.ს რედისონი" უწევს, ხოლო სასტუმრო მესხეთის ადგილზე შენდება 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო, რომელსაც ოპერირებას რამადა" უწევს.

შპს "დელფის" მიერ მოხდა შპს "ცენტრალური ბაზრის" შესყიდვა, სადაც მყიდველი აშენებს FINA-ს სტანდარტების დონის საცურაო აუზს - კომპლექსს. კომპლექსი, საცურაო აუზის გარდა, მოიცავს საცხოვრებელ და ბიზნესზონებს, გართობის, კვების და სხვა მომსახურების ობიექტებს. პროექტი 1 500 000 დოლარის ღირებულებისაა და ის დასრულების სტადიაშია.

შპს "GIMG" შპს "ბათუმის ცენტრალური სტადიონის" ადგილას უზრუნველყოფს თანამედროვე დონის სასტუმრო კომპლექსის, ბიზნესცენტრის დაპროექტებას, აშენებას, ექსპლუატაციაში შეყვანას. კომპანია განახორციელებს 35 000 000 დოლარის ინვესტირებას და დასაქმდება არანაკლებ 500 ადამიანისა. მიმდინარე ობიექტის მშენებლობა 2010 წელს დასრულდება;

მრავალდარგობრივი პროფესიული ტექნიკური სასწავლებლის ყოფილი შენობა-ნაგებობის ადგილას კომპანია "Nurol insaaT ve ticaret Anonim sirket"-ი აშენებს 5-ვარსკვლავიან, მინიმუმ 150-ოთახიან სასტუმრო და გასართობ რეკრეაციული კომპლექსს. პროექტი 20 000 000 დოლარის ღირებულებისაა. გარდა ამისა, კომპანია "Nurol insaaT ve ticaret Anonim sirket"-ი სალიბაურის ყოფილი სამთავრობო აგარაკის ტერიტორიაზე აშენებს საცხოვრებელ და გასართობ-რეკრეაციულ კომპლექსს, რომლის ღირებულებაც 4 000 000 დოლარია. აღნიშნული პროექტები მომავალი წლის ზაფხულში დასრულდება.

ჯერ არ დაწყებულა ყოფილი მინისტრთა საბჭოს შენობა-ნაგებობის ადგილას შპს "ცირკონ ისთეითს ჯი-თი ბი"-ის მიერ 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობა, არანაკლებ 80 ნომრით. მშენებლობას ოპერირებას გაუწევს სასტუმრო ქსელთა ერთ-ერთი შემდეგი საერთაშორისო ოპერატორი: ჰილტონი (Hilto) მერიოტი (Marriott) M ინტერკონტინენტალი (intercontinental).

ყოფილი მეზღვაურთა კლუბის შენობის ადგილას შპს SANTA MARIN -ი აშენებს ბუტიკების ტიპის სავაჭრო ქსელს და სასტუმროს.

### კვების გადამამუშავებელი საწარმოები

2005 წელს პრივატიზებული შპს "ქარხანა ნარინჯის" ბაზაზე შეიქმნა შპს "ხილის კომპანია ნარინჯი". ინვესტორის მიერ განხორციელდა 7 მლნ. დოლარის ღირებულების სარეკონსტრუქციო და ტექნოლოგიური გადაიარაღების სამუშაოები. საწარმოში დამონტაჟდა იტალიური წარმოების ციტრუსის დახარისხება-გასანთვლა-დაფასოების ტექნოლოგიური ხაზი და იტალიური წარმოების ფირმა "ITAL-TECNOLOGY"-ის ციტრუსის საკონსერვო გადამუშავების (კონცენტრატის, პიურეს, ეთეროვანი ზეთის წარმოების) ტექნოლოგიური დანადგარ-მოწყობილობები. საწარმოო სიმძლავრე არის 12 ტონა ხილი საათში. დასაქმებულია 300 კაცი. წარმოებული პროდუქცია საღდება ადგილობრივ, უკრაინის და შუა აზიის ბაზრებზე. საწარმო 2 წელია მუშაობს.

2006 წელს, შპს-მ "ქართული პროდუქტი" ქობულეთში ააშენა ციტრუსის გადამამუშავებელი კომბინატი, სადაც დამონტაჟებულია იტალიური წარმოების ფირმა "ფენკოს" ციტრუსის დახარისხება-გასანთვლა-დაფასოებისა და საკონსერვო გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიური ხაზები. ქარხანაში განხორციელდა 15 მლნ. დოლარის ინვესტიცია. საწარმოში ხდება ციტრუსის დაფასოება ევროსტანდარტის ყუთებში, ციტრუსის კონცენტრირებული წვენის, პიურეს, ეთეროვანი ზეთის, ჯემის წარმოება. საწარმოო სიმძლავრეა 35 ტონა ხილი საათში. დასაქმებულია 400 კაცი. ხდება წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე უკრაინაში, რუსეთში და ევროპა-აზიის სხვა ქვეყნებში.

შპს "ქართული მანდარინი" შეიქმნა 2006 წელს პრივატიზებული ბუკნარის ნაყინების ქარხნის საამქროს ბაზაზე, პროექტ "ADVENTAGE"-ის ფინანსური მხარდაჭერით შპს "ქართული პროდუქტის" მიერ განხორციელდა სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები ხილის შენახვა-დახარისხება-დაფასოების წარმოების მოსაწყობად. ამ ეტაპზე საწარმო გამართულად მუშაობს.

აჭარაში ფუნქციონირებს 6 წისქვილკომბინატი: შპს "იმპერიალ 2000", შპს "ორცვა", შპს "ბარაქა-2005", შპს "ბასა", შპს "ნ.ა.შ.-3", შპს "ურეხი". ფქვილის წარმოებაში განხორციელებულმა ინვესტიციებმა დაახლოებით 6 მლნ. ლარი შეადგინა. ინვესტიციების დიდი ნაწილი მოდის შპს "იმპერიალ 2000"-ზე და შპს "ორცვაზე". დარგში დასაქმებულია 274 კაცი. აღნიშნული საწარმოებიდან უმეტესობა ფინანსური კრიზისის გამო გაჩერებულია.

უცხოური ინვესტიციების განხორციელების (875,0 ათასი ლარი) შედეგად მუშაობა განაახლა შპს "ჩაქვის ჩაის ფაბრიკამ". საწარმოში დასაქმებულია 25 კაცი. ჩაის წარმოებაში ფუნქციონირებს ასევე შპს "შამბალა ჩაქვი", სადაც დასაქმებულია 90 ადამიანი. განხორციელდა 175 ათასი ლარის ინვესტიცია.

შპს "ხუცუბნის შემფუთავი



# ÉÌÃÉÍÀÒÄ

ქარხნის" პრივატიზაციის შედეგად ფუნქციონირებას დაიწყებს თხილის გადამამუშავებელი საწარმო. პროექტი 1 000 000 დოლარის ღირებულებისაა. ამ ეტაპზე მუშაობს თხილის გადამუშავებელი საწარმო, მიმდინარე წლის დასულებამდე ამოქმედდება მანდარინის საკონსერვო ხაზი.

გასულ წლის დეკემბერში შპს "ბათოილ"-მა შეისყიდა ბათუმში, ნონეშვილის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობების ნანგრევები და მათზე მიმაგრებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი და შეიქმნა და ექსპლუატაციაში შევიდა ზეთის გადამამუშავებელი საწარმო. ამ ეტაპზე ადგილობრივი კაპიტალით ამოქმედებული საწარმო ბაზარზე მხოლოდ საკვებ ზეთს მზიური" ყიდის.

## ახლად აშენებული სამრეწველო ობიექტები

შპს "ბათუმიტექსმა" ფუნქციონირება დაიწყო ყოფილი სამკერვალო საწარმოო გაერთიანების შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციისა და თანამედროვე მანქანა-დანადგარებით აღჭურვის შემდეგ. საწარმოში ინვესტირებულია 3 000 000 დოლარი. დღეისათვის ფაბრიკაში დასაქმებულია 1200 მუშახელი, სადაც მიმდინარეობს ark & Spencer-ის ფირმის ტანსაცმლის წარმოება, რომლის რეალიზაციაც ხდება აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ათეულობით ქვეყანაში.

ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ახალსოფელში უცხოელი ინვესტორების მიერ განხორციელდა იჯარით აღებული ფართის რეკონსტრუქცია, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა და სამკერვალო საწარმო შპს "ქართუტექსის" ექსპლუატაციაში შეყვანა. საწარმოში განხორციელდა 600 000 დოლარის ინვესტიცია და დასაქმდა 220 მუშახელი. შემდეგში მოხდა საწარმოს პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება, რის შედეგადაც საწარმოში დამატებით განხორციელდება 100 000 დოლარის ინვესტიცია, ხოლო დასაქმებულთა საერთო რაოდენობამ 350 მუშახელს მიაღწია.

ხულოს სამკერვალო ფაბრიკაში, რომელშიც ინვესტირება განახორციელა კომპანია შპს "jorjiana bai fer"-მა, ინვესტირებული იქნა 200 000 აშშ დოლარზე მეტი. ამჟამად საწარმოში დასაქმებულია 350 მუშახელი, შემდგომში წარმოების გაზრდასთან ერთად მათი რიცხვი 600-მდე გაიზრდება. კომპანიას სავაჭრო გამოცდილება გააჩნია 10 ქვეყანასთან, რომელიც თავის პროდუქციას აწვდის შემდეგ სავაჭრო ცენტრებს: Tesco Stores, Primark, Penneys, Peacocks, TK Maxx და სხვა.

თურქული კომპანია შპს jorjiana qar -ის მიერ დაბა მახინჯაურში ყოფილი შემფუთავი ქარხნის შენობა-ნაგებობებში განხორციელდა 1 500 000 დოლარის ინვესტირება, საწარმოში დასაქმებულია 230 მუშახელი. თურქული კომპანია LTD BTM Textile Textile-ს მიერ დაბა ხელვაჩაურში შესყიდულია ყოფილი ჩაის ფაბრიკა, საწარმოში განხორციელდა 5 000 000 ლარის ინვესტიცია, საწარმოში დასაქმებულია 400-მდე მუშახელი.

ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა ამოქმედდა შპს "ბათფარმას" მიერ, სადაც განხორციელდა 5 მილიონი ლარის ინვესტიცია. ამ ეტაპზე ქარხანა ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე აწარმოებს 20-მდე დასახელების სამკურნალო პრეპარატს. დღეისათვის დასაქმებულია 350 კაცი, მომავალ წელს საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობა 500 კაცს მიაღწევს.

ბათუმში ყოფილი უნივერმაღის ადგილზე აშენდა "ელიტ ელექტრონიქსის" სავაჭრო ცენტრი. განხორციელდა დაახლოებით 10 მლნ. დოლარის ინვესტიცია და დასაქმდა 300-მდე კაცი. 2007 წელს კონკურსის ფორმით გაიყიდა შპს "თამარის დასახლების პოლიკლინიკის" საწესდებო კაპიტალიდან გამოტანილი შენობა-ნაგებობა, სადაც 500 000 დოლარის ინვესტიცია უნდა განხორციელდეს, დასაქმდეს 15 ადამიანი. მიმდინარე წელს ბათუმში დიალიზის ცენტრი გაიხსნა.

გასულ კვირას აჭარაში ახალი ტურისტულ-საინფორმაციო ბანერების მონტაჟი დასრულდა. ბანერებზე გამოსახულია რეგიონის რუკა, რომელზეც დატანილია დასახლებული პუნქტები, ძირითადი გზები და მდინარეები, ისტორიული, კულტურული და ბუნების ძეგლები, დაცული ტერიტორიები და სარეკრეაციო ადგილები. ბანერებზე აღნიშნულია სასტუმროების, კაფე-ბარების და ბანკომატების წერტილები და მოცემულია ტურისტულ-საინფორმაციო ცენტრების საკონტაქტო ინფორმაცია. ტურისტულ-საინფორმაციო ბანერებზე აღნიშნული ტურისტული მარშრუტები დაეხმარება ტურისტებს კარგად დაგეგმონ მათი მოგზაურობა და შეძლონ ყველა საინტერესო ადგილის მონახულება როგორც აჭარის ზღვისპირა ნაწილში, ასევე მთიან აჭარაში. საინფორმაციო ბანერები განლაგებულია ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედას, შუახევის და ხულოს რაიონებში, ასევე ქალაქ ბათუმში.

## მსოფლიო ფინანსური კრიზისი მალე აფხაზეთამდეც მივა

რუსეთის ფედერაციაში გამეფებული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი სულ მალე სეპარატისტული აფხაზეთისა და სომხეთის ეკონომიკაზეც აისახება და მას აქ მცხოვრები ადამიანები იგრძნობენ. აღნიშნული შინაარსის სტატიას რუსული სააგენტო "სეგოდნია.რუ" ავრცელებს.

"როგორც ფინანსურმა კრიზისმა გვაჩვენა, სომხეთისა და აფხაზეთის ეკონომიკებს ექსტრემალურ სიტუაციებში ერთი უპირატესობა აქვთ. აფხაზეთის ეკონომიკის სრულმა იზოლირებულობამ მსოფლიო ეკონომიკური და ფინანსური პროცესებისგან და სომხეთის ეკონომიკის ავტონომიურობის მაღალმა ხარისხმა განაპირობა ის, რომ მათ შეძლეს თავის არიდება მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირველი დარტყმისგან. მაგრამ, როგორც ჩანს, საბოლოო ჯამში ვერც აფხაზეთი და ვერც სომხეთი შეძლებენ მსოფლიო ფინანსური კრიზისის უსიამოვნო შედეგებისაგან თავის დაღწევას. აფხაზეთისა და სომხეთის მოსახლეობა სულ მალე იგრძნობენ რუსეთში არსებულ ფინანსურ კრიზისს," - ნათქვამია სტატიის "კრიზისი აფხაზეთსა და სომხეთს უახლოვდება" დასაწყისში. სტატიის მიხედვით, საქმე მხოლოდ ის როდია, რომ როგორც აფხაზური, ისე სომხური ეკონომიკა რუსეთის ეკონომიკაზე სერიოზულადაა დამოკიდებული, არამედ ისიც, რომ რუსეთიდან აფხაზეთსა და სომხეთში ქაღალდის ფულის მნიშვნელოვანი ნაკადი შეედინება.

"მაგალითად, სომხეთში კერძო პირებისათვის ფულადი გადარიცხვის 75% რუსეთიდან ხორციელდება. ეს ფული, თავის მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამომხმარებლო ბაზრის ფორმირებაზე და მსყიდველობითუნარიონობაზე. ამავე დროს, სომხეთიდან რუსეთში წასული შრომითი მიგრანტების 90% სამშენებლო სფეროშია დასაქმებული. ეს სფერო კი მსოფლიო ფინანსური კრიზისის დროს პირველი დაზარალდა," - ნათქვამია სტატიაში. რაც შეეხება სეპარატისტულ აფხაზეთს, სტატიის ავტორის თქმით, კერძო სექტორში ფულადი გადარიცხვების შესახებ რუსეთიდან ამ რეგიონში ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები არ მოიპოვება, მაგრამ მისი აზრით, პროცენტული მონაცემები საეჭვოა, სომხეთის მონაცემებზე ნაკლები იყოს.

"შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აფხაზეთის სამომხმარებლო ბაზარი ოდნავ ნაკლებადაა დამოკიდებული რუსეთიდან მომდინარე გადარიცხვებზე, ვიდრე სომხური, მაგრამ დამოკიდებულება მაინც მაღალია იმის გამო, რომ სომხეთისგან განსხვავებით, აქ უკვე ჩამოყალიბებულია კრედიტების ბაზრის გარკვეული საფეხური. თავის მხრივ, კრედიტებზე პროცენტების ზრდა - კრიზისის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. მაგალითად, სომხეთში დღეს უკვე შეუძლებელია 15-20-წლიანი კრედიტის აღება," - ნათქვამია სტატიაში. ექსპერტების აზრით, რუსეთის ფედერაციაში არსებული კრიზისის ნეგატიურ შედეგებს სეპარატისტულ აფხაზეთში თებერვლისთვის იგრძნობენ. თუმცა ანალიტიკოსები ასევე აცხადებენ, რომ რუსეთის ფინანსურმა კრიზისმა "უკვე დაარტყა აფხაზეთს და ძალიან მძლავრადაც." "ფაქტობრივად, აზრს მოკლებულია აფხაზეთის ხელისუფლების განცხადებები იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის რაოდენობა მომავალ წელს 6 მილიარდი რუსული რუბლი იქნება. ეს პირდაპირი ტრანშებია, რომლებიც რუსეთიდან უნდა შემოსულიყო. 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტმა 4 მილიარდ რუსულ რუბლზე ოდნავ ცოტა შეადგინა. ასე რომ, აფხაზეთის მთავრობას კრიზისული 2009 წლის ბიუჯეტის შესასრულებლად მართლაც დიდი ძალისხმევა დასჭირდება," - ნათქვამია სტატიაში. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საქართველოსა და სომხეთის პრემიერ-მინისტრები ეკონომიკური ურთიერთობის ხელშეკრულებას გააფორმებენ

დღეს საქართველოს სამუშაო ვიზიტით სომხეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ტიგრან სარქისიანი ეწვევა. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრ გრიგოლ მგალობლიშვილისა და ტიგრან სარქისიანის პირისპირ შეხვედრა შედგება.

გრიგოლ მგალობლიშვილი და ტიგრან სარქისიანი სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" საქართველო-სომხეთის მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისიის სხდომას დაესწრებიან, სადაც დოკუმენტზე ხელმოწერის ცერემონია გაიმართება. შეხვედრის დასასრულს საქართველოსა და სომხეთის პრემიერ-მინისტრების ერთობლივი პრესკონფერენცია გაიმართება. **ჯი-ეიჩ-ენი**

ხელით ნაქსოვი ტრადიციული ქართული ხალიჩა და ფარდაგი
ხელით დამზადებული სუვენირები ტრადიციული ორნამენტებით

მთიები

„ქართული ხალხური კულტურის აღორძინებისა და განვითარების საერთაშორისო ცენტრი მთიები" აწარმოებს მსოფლიოში უანალოგო პროდუქციას – ხელით ნაქსოვ ტრადიციულ ქართულ ხალიჩასა და ფარდაგს. ისინი მცენარეული და მინერალური საღებავებით ნაფერი საუკეთესო ჯიშის ცხვრის მატყლისაგან დამზადებული შალის ძაფით იქსოვება.

ეროვნულ კომპოზიციებთან და კოლორიტულ სტილთან ზომიერად შერწყმული თანამედროვე დიზაინი ქართულ ხალიჩასა და ფარდაგს მეტ ორიგინალობას სძენს და ამშვენებს.

აირჩიეთ დიზაინი, ორნამენტები, სიუჟეტური კომპოზიციები, ზომა და მიიღეთ შეუფასებელი პროდუქცია: ხალიჩა
ფარდაგი და უამრავი
ხელით ნაქარგი სუვენირი



თქვენ ხდებით ქართული ხალხური კულტურის აღორძინების თანამონაწილე

დუშეთი, ბესიკის ქ. №6
ტელ.: (995 32) 66 21 00, (995 32) 66 21 02

## მსოფლიო ბანკი საავტომობილო გზების რეაბილიტაციისთვის, სავარაუდოდ, 70-მილიონიან კრედიტს გამოყოფს

მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით 2009 წლიდან საქართველოს ძირითადი სატრანზიტო ავტომაგისტრალ გორი-რიკოთის მონაკვეთის რეაბილიტაცია დაიწყება. ამის შესახებ ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის დირექტორმა გიორგი ცაგარელმა გვაცნობა. მისი თქმით, საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკის თანხმობა სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების დაფინანსების თაობაზე უკვე მიიღო. ამჟამად მოსამზადებელი საპროექტო სამუშაოები მიმდინარეობს.

პირველ ეტაპზე გორი-რუისის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება იგეგმება. როგორც გიორგი ცაგარელმა აღნიშნა, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, ბოლო წლებში, საქართველოში საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების არაერთი პროექტი განხორციელდა. ამასთან ერთად, ძირითადი აქცენტი აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის გაუმჯობესების სამუშაოებზე კეთდება.

მსოფლიო ბანკი საქართველოს ადგილობრივი დანიშნულების გზების სარემონტო-აღდგენითი სამუშაოების დაფინანსებას მომავალშიც განაგრძობს, - განაცხადა ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის დირექტორმა გიორგი ცაგარელმა.

მისი თქმით, მსოფლიო ბანკი "შიდა სახელმწიფო და ადგილობრივი გზების პროექტის" ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა რაიონებში საავტომობილო გზების მონაკვეთების აღდგენითი სამუშაოებისთვის კრედიტის სახით, სავარაუდოდ, 70 მილიონ აშშ დოლარს გამოყოფს.

სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები 2009-2011 წლებში განხორციელდება. ქვეყნის სხვადასხვა რაიონში 400-450 კილომეტრის საერთო მოცულობის საავტომობილო გზების ცალკეული მონაკვეთების რეაბილიტაცია იგეგმება.

როგორც გიორგი ცაგარელმა აღნიშნა, მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით საქართველოში რამდენიმე პროექტი ხორციელდება. კერძოდ, ზემოხსენებულის გარდა, სარემონტო სამუშაოები აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის აღაიანი-სვენეთის 24კმ. მონაკვეთზე მიმდინარეობს. დასრულების სტადიაშია აღაიანი-იგოეთის 15 მ. მონაკვეთის რეაბილიტაციის პროექტიც. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ამერიკის უდიდესი საგამომცემლო სახლი Tribune ვალების გამო შეიძლება გაკოტრდეს

ამერიკის უდიდესმა საგამომცემლო სახლმა Tribune ვალების გამო შეიძლება გაკოტრების შესახებ გამოაცხადოს, იუწყება ბრიტანული გაზეთი Financial Times-ი.

გაზეთის მონაცემებით, ცნობილი გაზეთების Chicago Tribune-ის და Los Angeles Times-ის ბედი საფრთხის წინაშე დგას მათი მფლობელის, საგამომცემლო სახლის Tribune შესაძლო გაკოტრების გამოცხადების გამო, რომლის ვალი 11,8 მლრდ დოლარს შეადგენს.

საინფორმაციო საშუალებების ინფორმაციით, Tribune-მა ბანკროტად გაფორმებაში დახმარებისთვის საინვესტიციო ბანკ Lazard-ს და იურიდიულ ფირმა Sidley Austin-ს უკვე მიმართა.

Tribune-ის ხელმძღვანელობა თავის მხრივ ინფორმაციას პოტენციური გაკოტრების შესახებ არ ადასტურებს.

"ვითარება გაურკვეველი და რთულია. ჩვენ არანაირი გადაწყვეტილება არ მიგვიღია. ჩვენ ნებისმიერ შესაძლებლობას განვიხილავთ," - განაცხადა საგამომცემლო სახლის წარმომადგენელმა გერი ვაიტმანმა.

შარშან საგამომცემლო სახლი, რომელსაც რამდენიმე ცნობილი გამოცემა და ბეისბოლის კლუბი Chicago Cubs-ი ეკუთვნის, ინვესტორმა სემ ზელმა 8,2 მლრდ დოლარად შეიძინა.

გაზეთის ინფორმაციით, კომპანია ვალის პირობების გადახედვასთან დაკავშირებით ბანკებთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა, თუმცა უშედეგოდ. ასევე კომპანია, სავარაუდოდ, კლუბ Chicago Cubs-ის გაყიდვას აპირებს.

ნოემბერში საგამომცემლო სახლმა Tribune განაცხადა, რომ 2008 წლის III კვარტალში მისი ვალები 11,8 მლრდ დოლარამდე გაიზარდა, შარშან ვალი 9,4 მლრდ დოლარს შეადგენდა. 2008 წლის III კვარტალში Tribune-ის ზარალმა რეკლამიდან შემოსავლის შემცირების გამო 21 მლნ დოლარი შეადგინა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# Ê Ï ÌÐÀÍÉÀ "ÈÁÉËÉÓÉÓ

**კომპანია "თბილისის წყალში" უკვე რამდენიმე თვეა მუშაობს ახალი მენეჯმენტი მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი . ამ ხნის მანძილზე კომპანიის შესახებ არაერთი ინფორმაცია გავრცელდა. საუბარი შეეხება ე.წ. რუსულ კვალს, თანამშრომლების შემცირებას და კომპანიის ხელახალ გაყიდვას. ამ საკითხების თაობაზე "ბიზნესმა" ინტერვიუ ჩამოართვა კომპანია "თბილისის წყლის" გენერალურ დირექტორს იური ლესს.**



**- მედიაში არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ "თბილისის წყლის" უკან რუსული ბიზნესი დგას. რა კავშირი აქვს "მალტიპლექსს" "რაო ეესთან"? ვინ არიან კომპანიის აქციონერები?**

- როგორც ჩანს, ეს თემა ვიღაცისთვის ძალიან მომგებიანია! უკვე რამდენიმე რუსულ კომპანიაზეა საუბარი(?!). არ მინდა ვიფიქრო, რომ ნებისმიერ სიახლეს, რასაც სამომავლოდ წარმატების შანსი ეძლევა, რუსულ კაპიტალს შეგნებულად უკავშირებენ. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, "მალტიპლექს ენერჯი ლიმითედში" "რაო ეეს"-ს იოტისოდენა წილიც არ აქვს. რაც შეეხება კომპანიის აქციონერების ვინაობას, თუ ეს გაინტერესებთ, "მალტიპლექსს" უნდა მიმართოთ.

**- რუსული კვალის დამადასტურებლად "თელასიდან" კადრების გადმოყვანა დასახელდა. რა კომენტარს გააკეთებთ ამასთან დაკავშირებით?**

- თბილისის წყალში თელასიდან კადრების გადმოყვანის გამოყენება რუსეთთან კავშირის დამადასტურებლად, სულ მცირე, სასაცილოა. სერიოზული კომპანიები ცდილობენ, მათთან კვალიფიციურმა კადრებმა იმუშაონ. რა მნიშვნელობა აქვს, მანამდე სად მუშაობდა ადამიანი, მთავარია ტერორისტული ორგანიზაციიდან არ იყოს. მე ამას საუკეთესო კადრების "გადმობირებას" დავარქმევდი. ეს მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია და ძალიან დამახასიათებელი ბიზნესისთვის.

**- რაც შეეხება ინფორმაციას იმის შესახებ, რომ შესაძლოა კომპანია "თბილისის წყალი" გაიყიდოს?**

- ამ შეკითხვაზე პასუხის ორი ვერსია მაქვს, მოკლე და ცოტა ვრცელი. თქვენ რომელი გირჩევნიათ?

**- ვრცელი მოკლედ...**

- მაშინ - კომპანია "თბილისის წყალი" არ იყიდება! არ მესმის, რატომ უნდა გაიყიდოს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: როგორც ჩანს, ჩვენი კომპანიის ირგვლივ ასეთი დეზინფორმაციის გავრცელება ვიღაცის ინტერესებში შედის. არ მინდა ვიფიქრო, რომ ამას კამპანიის ხასიათი აქვს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ - კომპანიის გაყიდვა არ იგეგმება! კომპანიის ახალ მენეჯმენტს უამრავი რამ გვაქვს გასაკეთებელი და რაც გაკეთდება, თბილისელების კეთილდღეობას მოემსახურება. ჩვენ გვაქვს ამბიცია, რომ პროდუქტი, რომელსაც თბილისელებს ვაწვდით, საუცხოო იყოს და დედაქალაქის წყალმომარაგების ხარისხიც საგრძნობლად გავაუმჯობესოთ.

უცნაურია, რატომ უნდა იყიდებოდეს "თბილისის წყალი"?! მაშინ, როცა საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია MVV-Consulting-ი, რომელმაც ტექნიკური აუდიტი ჩაატარა და შეიმუშავა კიდეც "თბილისის წყლის" ტექნიკური განვითარების პროგრამა. ამ პროგრამის მიხედვით გაწერილია ინვესტიციები, რომელსაც აუცილებლად განვახორციელებთ და წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების სრულ რეაბილიტაციასა და მოდერნიზებას მოვახდენთ.

**- მართალია, რომ თქვენი პირველადი პროფესია ტრავმატოლოგიაა?**

- მეშვიდე თვეა, კომპანია "თბილისის წყალში" ვმუშაობ და, აქედან გამომდინარე, საქართველოში, თბილისში მიწევს ცხოვრება. ვცდილობ, თქვენებურად მოვიქცე, თქვენებურად ვიცხოვრო, თბილისელივით, რადგან ვფიქრობ, რომ სხვაგვარად შეუძლებელია. მაგრამ, ეს როგორ გამომდის, არ ვიცი. მე უკრაინელი კაცი ვარ და ხშირად ვადარებ ერთმანეთს უკრაინელებსა და ქართველებს. წარმოიდგინეთ, არის მსგავსება ჩვენს შორის.

ჩემი სამსახურებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, ყოველდღე ვეცნობი პრესას - ბოლო დროს უცნაური ამბები მესმის. არ მეგონა, თუ ჩემი პირველადი პროფესია - ტრავმატოლოგია ასე გასაკიცხი გახდებოდა, თითქოს ეს ერთგვარი გონებრივი ჩამორჩენილობის მანიშნებელი იყოს! ვერ წარმომედგინა, რომ ყველა სიკეთესთან ერთად, ძებნილიც გავხდებოდი. ისიც კი წავიკითხე, რომ თურმე საქართველოს ვაფარებ თავს! საქართველოსთვის ძალიან რთულ ვითარებაში, აგვისტოს მოვლენების დროს აქედან ფეხი არ მომიცვლია, ყველანი მძიმე და საგანგებო რეჟიმში, დაუღალავად ვმუშაობდით, დღესა და ღამეს ვასწორებდით. საგანგებო შტაბი გვქონდა შექმნილი, რომელსაც თავად ვხელმძღვანელობდი. ყველა ობიექტზე უმკაცრესი კონტროლი და პატრულირება გვქონდა დაწესებული - ეს ხდებოდა იმ ფონზე, როცა თბილისში სასმელი წყლის შესაძლო მოწამვლაზე მასობრივი მითქმა-მოთქმა იყო ატეხილი და კომპანიის სატელეფონო "ცხელი ხაზი" მოქალაქეების ზარებისგან ფეთქდებოდა.

**- რაც შეეხება MVV-ის დასკვნას, რა შედეგით დამთავრდა აუდიტი და ამ აუდიტის მიხედვით რას გეგმავს კომპანია მომავალში?**

- როგორც უკვე გითხარით, "თბილისის წყალში", კომპანიის ახალი მენეჯმენტის მოწვევით, ტექნიკურ აუდიტს სამი თვის განმავლობაში ატარებდა ცნობილი გერმანული საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია MVV Consulting -ი. ეს საკონსულტაციო კომპანია 30 წელზე მეტია კომუნალური მომსახურების სფეროში საქმიანობს და წყლის კომუნიკაციებისა და წყალმომარაგების სადისტრიბუციო ქსელების განვითარების მხრივ ერთ-ერთი ნოვატორია მსოფლიოში. აი, რატომ შევაჩერეთ მასზე არჩევანი.

სრული ტექნიკურ აუდიტი MVV-მ ყველა მნიშვნელოვანი მიმართულებით ჩაატარა, მათ შორის წყალმომარაგების, ავტომატური მართვის, წყალარინების, ენერგეტიკული უსაფრთხოების, გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირების, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, რესურსების რაციონალიზაციისა და ახალი პროექტების განხორციელების კუთხითაც. ეს შრომატევადი და მრავალმხრივი სამუშაო გერმანულმა კომპანიამ ოქტომბრის დასაწყისში დაასრულა. მან არაერთი ხარვეზი გამოავლინა, მაგრამ, რაც მთავარია, განვითარების პრიორიტეტები გამოკვეთა.

**- რა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები და რა ინვესტიციები განახორციელა კომპანიამ დღევანდელი მონაცემებით და რა გეგმები აქვს 2009 წლისთვის?**

- ოქტომბრიდან "თბილისის წყალი" სარეაბილიტაციო სამუშაოებს 42 ობიექტზე აწარმოებს.

მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა ნატახტრის წყალმდენის ორ აკვედუკს, საიდანაც დღე-ღამეში 15 000 კუბური მეტრი სასმელი წყალი იღვრებოდა. ამ სამუშაოების დასრულებამ საშულება მოგვცა, თბილისის რიგ უბნებს სასმელი წყალს 24-საათიან რეჟიმში მივაწოდოთ.

ახლაც მიმდინარეობს 3 რეზერვუარის რეაბილიტაცია: ერთის - საბურთალოს რაიონში, ტაშკენტის ქუჩის ბოლოში, ხოლო ორის - ვაზისუბნის დასახლებაში. კაპიტალურად გავარემონტეთ 4 სატუმბო სადგური ქალაქის სხვადასხვა რაიონში - გლდანის VI მიკრორაიონში, "ხარფუხის" დასახლებაში, ზემო ვაკესა და სეიდაბადში.

შევცვალეთ ტუმბო-აგრეგატები და რეაბილიტაცია ჩავუტარეთ 10 ნაგებობას წნევის გამაძლიერებლების ადგილებზე, სადაც გერმანული წარმოების ტუმბო-აგრეგატები დავამონტაჟეთ.

დავასრულეთ წყალსადენისა და წყალარინების ქსელების მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები მოსკოვის გამზირზე, ხიზანიშვილის, ბოგდან ხმელნიცკის, კაიროსა და ყვარლის ქუჩებზე. ამავე ტიპის აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს ამჟამად წინანაურისა და ნაკაშიძეების ქუჩებზეც. მხოლოდ 2 თვის მანძილზე კომპანიამ 3 580 000 ლარის ინვესტიცია განახორციელა.

**- როდის გადავა თბილისის მოსახლეობა წყლის მიწოდების უწყვეტ რეჟიმზე და იგეგმება თუ არა ტარიფის გაზრდა?**

- წყალმომარაგებაზე დაწესებული გრაფიკების გასაუქმებლად და უწყვეტ რეჟიმზე გადასასვლელად რიგი რთული სამუშაოების ჩატარებაა დაგეგმილი. ამ მიმართულებით მუშაობა დაწყებულია და უკვე წინსვლაც გვაქვს, რაც სხვადასხვა უბნებში დაწესებული გრაფიკების ეტაპობრივად შემცირებას გულისხმობს. ვთქვათ, იქ, სადაც 6-საათიანი გრაფიკი მოქმედებს, 2-3 საათამდე უნდა შევამციროთ და ა.შ. კომპანიის მიზანი გრაფიკების სრულად აღმოფხვრაა, რაც აუცილებლად განხორციელდება. ეს არის ჩვენი პროექტი, რომელიც სწორად დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგზეა ორიენტირებული.

მინდა, ყველა თბილისელმა იცოდეს, რამდენი შრომა და სოლიდური თანხები იდება თითოეულ სამუშაოში. მაგრამ, სამწუხაროდ, კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების საფასურის შესაბამისად ამოღება არ ხდება. მოსახლეობას პრეტენზია აქვს მიიღოს საუკეთესო მომსახურება, მაგრამ გადახდა რატომღაც არ სურს. გადამხდელი მხოლოდ 40-45%-ია და ეს დიდ პრობლემებს გვიქმნის. საფასურის ამოღების მოწესრიგება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და, მე ვიტყოდი, გადამწყვეტი მიმართულებაა, რომელსაც კომპანიის მხრიდან გასაწევი ყველა სხვა ოპერაცია ეფუძნება.

რაც შეეხება ტარიფების ზრდას, ალბათ იცით, რომ წყალმომარაგებისა და წყალარინების მომსახურების ტარიფების შეცვლა-არშეცვლის საკითხი ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის გადასაწყვეტია. ზოგადად, სამომხმარებლო ტარიფების გაზრდის მოთხოვნა არც ჩვენი და არც სხვა ტიპის კომუნალური მომსახურების კომპანიის თვითმიზანი არ უნდა იყოს. ჩვენთვის უმთავრესია, დედაქალაქის მოსახლეობის ნდობა მოვიპოვოთ, ავამაღლოთ ჩვენი ბრენდის პრესტიჟი, რაც ერთადერთი გზითაა შესაძლებელი: ყველა კატეგორიის მომხმარებელს უწყვეტად მივაწოდოთ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დამუშავებული, სასიცოცხლოდ უმნიშვნელოვანესი პროდუქტი - ხარისხიანი სასმელი წყალი და, ასევე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად გავუწიოთ წყალარინების მომსახურება.

# ÄÅÒ ÏÊÀÅÛÉÒÉ ÒÖÓÄÈÉÓ ÅÌ Ï-ÛÉ ÂÀÓÀßÄÅÒÉÀÍÄÁ ËÀÃ ÓÀØÀÒÈÅÄË ÏÓ ÃÀÚÏ ËÉÄÁÀÓ

თემურ ჟამბურიძე



რუსეთი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებისათვის აქტიურობას განაგრძობს. იმ ფონზე, როდესაც ცივილიზებული მსოფლიო რუსეთისთვის მთელი რიგი ეკონომიკური სანქციების დაწესება-არდაწესებაზე მსჯელობდა, სრულიად მოულოდნელად, ნიცაში გამართული რუსეთ-ევროკავშირის სამიტის დასრულების შემდეგ, ევროკომისიის ხელმძღვანელმა ჟოზე მანუელ ბაროზომ განაცხადა, რომ ევროკავშირი ადასტურებს თავის დაინტერესებას რუსეთის ფედერაციის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებაში.

"ჩვენ მხარს ვუჭერთ რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებას. ჩვენ მხარს ვუჭერთ პრეზიდენტ მედვედევის წინადადებებს რუსეთის ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებით, რაც, კერძოდ, რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრობას ეხება," - განაცხადა ევროკომისიის ხელმძღვანელმა.

ამასთან, ოფიციალური მოსკოვი აცხადებს, რომ რუსეთმა ამერიკელი პარტნიორებისგან მხარდაჭერის მყარი პირობა მიიღო. მოსკოვს სულაც არ აღელვებს ქართული მხარის პოზიცია. უკანასკნელ პერიოდში საქართველოს თანხმობის გარეშე რუსეთი ვმო-ში შესვლას ჩქარობს და ვმო-სკენ მიმავალ გზაზე წონადი პარტნიორების მხარდაჭერისთვის უკან არაფერზე იხევს. არადა, საქართველო წლების განმავლობაში თავს იმით იმედებდა, რომ რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე ვეტოს უფლებას გამოიყენებდა.

ბუნებრივია, რუსეთისთვის ევროკავშირი გაცილებით ავტორიტეტულია, ვიდრე საქართველო, ამიტომაც მისი მხარდაჭერისთვის მნიშვნელოვან დათმობებზე მიდის. თუმცა არ არის გამორიცხული, რუსეთმა ამ დათმობით ევროკავშირის მხარდაჭერაც მოიპოვოს და, ამავდროულად, ეს "დათმობა" ევროკავშირის მიერ საქართველოზე ზეგავლენისთვის გამოიყენოს.

"რუსეთის ვმო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით ევროკავშირის მხრიდან საქართველოსთან კონსულტაციების დაწყებას არ გამოვრიცხავ, თუმცა არ მგონია, ევროპამ საქართველოზე რაიმე ზეწოლის მოხდენა შეძლოს. საქართველომ რუსეთს კონკრეტული მოთხოვნები წაუყენა, რომელთა შესრულების გარეშე რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ვერანაირად ვერ გახდება," - აცხადებს პოლიტოლოგი ირაკლი მენაღარიშვილი. მისი თქმით, ევროკავშირის დაპირება რუსეთისთვის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების საკითხში, სავარაუდოდ, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას გულისხმობდა.

როგორც ჩანს, რუსეთმა ევროკავშირს დაპირება შეახსენა, რის სანაცვლოდაც რუსეთმა ვმო-ში გაწევრიანება მოსთხოვა. ჯერ კიდევ გასულ წელს, რუსეთის მიერ ევროკავშირისთვის შეთავაზებული კომპრომისული ვარიანტი მის ერთ-ერთ ყველაზე დიდი ბუნებრივ სიმდიდრეს - ტყეს შეეხება. რუსეთმა ევროკავშირს მის მიერ ტყეზე საექსპორტო გადასახადთან დაკავშირებით კომპრომისული გადაწყვეტილება შესთავაზა, რომელსაც შეუძლია მოხსნას ევროკავშირის პრეტენზია რუსეთის ვმო-ში გასაწევრიანებლად. უკვე გარკვეულია საკითხი რუსეთიდან დაუმუშავებელი ხის ექსპორტის გადასახადთან დაკავშირებით. რუსეთი დათანხმდა ევროკავშირს, გააუქმოს ან კორექტირება მოახდინოს ტყის საექსპორტო გადასახადზე. რუსეთი დასანხმდა ევროკავშირს ტყის ექსპორტის გადასახდის გაუქმების ან კორექციის პროგრამაზე.

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე არ გამორიცხავს, რომ რუსეთის მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე თანხმობის მისაღებად სხვადასხვა ქვეყნები საქართველოს დაყოლიებას შეეცდებიან. "ზოგიერთი ქვეყანა საქართველოსთან მოლაპარაკებებს დაიწყებს, რათა ის რუსეთის ვმო-ში გაწევრიანებაზე დაითანხმონ, თუმცა ამ საკითხის განხილვას უახლოეს მომავალში არ უნდა ველოდეთ. ამჟამად თვითონ რუსეთს არ სცალია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისთვის. ასევე, მეეჭვება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოძღვრების გარეშე, ანუ სანამ ამერიკა მსოფლიო პოლიტიკურ საკითხებში არ ჩაერთვება, ვმო-ს საკითხის განახლება მოხდეს," - განაცხადა საყვარელიძემ.

მისივე თქმით, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანების საკითხის განახლება უახლოეს სამ თვეში არ მოხდება.

საქართველოს მთავრობა რუსეთის ვმო-ში გაწევრიანების ფარგლებში მხოლოდ ერთი საკითხის გადაწყვეტას მოითხოვდა - რუსეთ-საქართველოს საზღვარზე ორი არალეგალური საბაჟო-გამშვები პუნქტის - "განთიადი-ადლერისა" და როკი-ქვემო ზარამაგის" - ლეგალიზაცია და გამართული ფუნქციონირება. საქართველოს მთავრობას რუსეთის ვმო-ში გაწევრიანების ფარგლებში სხვა მოთხოვნა არ გააჩნია. ქართულმა დელეგაციამ რუსეთის მხარეს წარუდგინა დოკუმენტი, სადაც დეტალურად აღწერილი და დასაბუთებულია საქართველოს მოთხოვნა რუსეთის მიმართ ამ უკანასკნელის ვმო-ში გაწევრიანების ფარგლებში. "საქართველოს პოზიცია ემყარება რუსეთის მიერ საქართველოს წინაშე ვმო-ში რუსეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების დასრულებაზე 2004 წლის მაისში ხელმოწერილი ორმხრივი ოქმით აღებულ ვალდებულებას. ამ ოქმით რუსეთმა ვალდებულება აიღო, დააჩქაროს ქვეყნებს შორის საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული საბაჟო დარეგულირებისა და ადმინისტრირებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრა," - ნათქვამია დოკუმენტში.

"რუსეთის ვმო-ში არშესვლა ჩვენთვის თვითმიზანი ნამდვილად არ არის. რუსეთის ვმო-ში შესვლას მაშინ დავთანხმდებით, თუ 2004 წელს ნაკისრ ვალდებულებებს შეასრულებს და ფსოუსა და როკის გვირაბთან არსებული საბაჟო-გამშვები პუნქტების ლეგალიზებას მოახდენს. საქართველოს პოზიცია მეტად ტექნიკური და აპოლიტიკურია. რუსეთთან არსებულ პრობლემებზე, რომელიც მართლაც მრავლად გვაქვს, არ ვსაუბრობთ. არ უნდა დავუშვათ, რომ ვმო-ს ფორმატში მიღწეული ორმხრივი შეთანხმებები მხოლოდ ფარატინა ქაღალდი იყოს, რომელსაც არავინ ცნობს. სხვათა შორის, ასეთი პრობლემა რუსეთს არა მხოლოდ ჩვენთან, არამედ აშშ-სთან და ევროკავშირთანაც აქვს. რუსეთს იმისათვის, რომ ვმო-ს სრულუფლებიანი წევრი გახდეს, ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი. ჯერჯერობით კი რუსეთს ჩვენთან და სხვა პარტნიორებთან უამრავი ვალდებულება აქვს შესასრულებელი," - ასეთია საქართველოს პოზიცია. თუმცა, როგორც ჩანს, რუსეთმა ევროკავშირთან გარკვეულ შეთანხმებებს მიაღწია.

2008 წლის 16 ივნისს საქართველომ რუსეთის ვმო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით ჟენევაში დაგეგმილი მრავალმხრივი მოლაპარაკებების მორიგ რაუნდში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. ამის მიზეზად ქართულმა მხარემ 16 აპრილს რუსეთის ყოფილ პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის მიერ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება დაასახელა.

საქართველომ რუსეთისგან, საბაჟო-გამშვები პუნქტების ლეგალიზებასთან ერთად, პუტინის დეკრეტის ანულირება მოითხოვა.

იმის მიუხედავად, სცალია თუ არა ახლა რუსეთს ვმო-ში გაწევრიანებისათვის, ფაქტია, რომ სხვადასხვა ფორმით ახერხებს, ნაბიჯი წინ გადადგას. ამ საკითხს რუსეთი საქართველოსთან "სავაჭროდ" გამოიყენებს.

## "საფრანგეთის ბიზნესსაბჭო - საქართველო" ბიზნესთანამშრომლობის გაღრმავების მიზნით მუშაობას განაგრძობს

"საფრანგეთის ბიზნესსაბჭო - საქართველო" საფრანგეთისა და საქართველოს შორის ბიზნესთანამშრომლობის გაღრმავების მიზნით მუშაობას განაგრძობს.

საბჭომ ტრადიციულ ბიზნესვახშამზე ამჯერად ქართულ კომპანიებს ლორენის საერთაშორისო სავაჭრო-სამრეწველო პალატის დირექტორი ჟან ფილიპ არვერი წარუდგინა, რომელმაც საფრანგეთის ბიზნესსაბჭოსთან თანამშრომლობასა და განვითარების სამომავლო გეგმებზე და ლორენის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საქმიანობაზე ისაუბრა.

ბანკი "რესპუბლიკის" დირექტორ ჟილბერ ის განცხადებით, რომელიც ამავე დროს "საფრანგეთის ბიზნესსაბჭო - საქართველოს" დამფუძნებელიცაა, ჟან ფილიპ არვერის საქართველოში ვიზიტი, საქართველო-საფრანგეთის ბიზნესურთიერთობების განვითარებისა და გაღრმავებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

"საფრანგეთის ბიზნესსაბჭო - საქართველო" 2008 წლის 14 თებერვალს დაარსდა. მისი მიზანი საქართველოში ღია საბაზრო სისტემის ხელშეწყობა და საფრანგეთსა და საქართველოს შორის ბიზნესურთიერთობების გაღრმავებაა, რაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციის განვითარების, მოდერნიზებისა და გაძლიერების მიმართულებით. საფრანგეთის ბიზნესსაბჭოს წევრთა რაოდენობა 40-მდე გაიზარდა. **ინტერპრესნიუსი**

## სურსათის უვნებლობის შესახებ კანონის შეჩერება ევროკავშირთან ვაჭრობას შეაფერხებს

საქართველო და ევროკავშირი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გასაფორმებლად კონკრეტულ ნაბიჯებს დგამენ. მომავალ მოლაპარაკებებზე საქართველოს მთავრობის პოზიციების გასამყარებლად საჭიროა, მას ხელთ ჰქონდეს რაც შეიძლება მეტი დაინტერესებული მხარის მოსაზრება. ამასთან დაკავშირებით ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი საქართველოში მორიგ წარმომადგენლობით ფორუმს გამართავს.

ამჯერად ფორუმის მიზანია, კონკრეტულად იმსჯელოს იმ ბარიერებზე, რომლებიც შეიძლება აღმართოს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმების გზაზე. ერთ-ერთი მათგანია სურსათის უვნებლობის შესახებ საქართველოს კანონის რიგი მუხლების მოქმედებისა და შესრულების შეჩერება.

კვების პროდუქტების უსაფრთხოების სტანდარტებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფას უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭება ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებაზე მუშაობის პროცესში. ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში საქართველოს მწარმოებლებს მოუწევთ მძაფრი კონკურენცია ევროპულ ბაზარზე, აქედან გამომდინარე, ფონდის მიერ ორგანიზებული ფორუმი ძირითადად განიხილავს სწორედ სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელიც მნიშვნელოვანია როგორც ევროპასთან ინტეგრაციის, ისე მომხმარებელთა კანონიერი ინტერესების კუთხით.

პოლიტიკოსებისა და ბიზნესმენების მოსაზრებათა გარდა, წარმოდგენილი იქნება სამოქალაქო საზოგადოების შეხედულება საქართველოში სურსათის უვნებლობასა და სტანდარტებზე. პარლამენტარი კოტე კუბლაშვილი წარმოადგენს ინფორმაციას, რა მომავალი აქვს სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ საქართველოში არსებულ კანონს.

ფორუმზე გაგრძელდება დაწყებული დიალოგი და დისკუსია ევროკავშირისა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის ზონის დაარსების სარგებლიანობისა და ამ კუთხით საერთაშორისო გამოცდილების შესახებ. ეს ფორუმი ტარდება ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის საქართველოს ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის მიერ. **მედიანიუსი**

CMYK - 8

თიბისი ფონდი
დაზარალებულთა მხარდასაჭერად

# აქცია დაზარალებულთა მხარდასაჭერად



## გახსენით ანაბარი 1 დეკემბრამდე,

- ყოველი ანაბრის თანხის **1%-ს ბანკი დამატებით გამოყოფს** და გადარიცხავს დაზარალებულთა დახმარების ფონდში
- ანაბარზე დაგერიცხებათ **+1%**

27 27 27
www.tbcbank.ge

თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

CMYK - 8

ÀàÀÒÀÛÉ ÌÉÌÃÉÍÀÒÄ

ÀàÀÒÀÛÉ ÌÉÌÃÉÍÀÒÄ

GT GROUP
Ü Ï Ë Ï ÚÀÛÅ Ë Ë Ó 48 Á
ÔÄË: 740 740
www.gtgroup.ge

**Ford Transit**
Ford-ის გლობალური იმპორტიორი GT Motors




გარანტია 2 წელი

16 950
ევროდან

**iVan**
გარანტია 2 წელი
"UKR AUTO"-ს ოფიციალური დილერი GT Group
iVan-ის წარმოების საქალაქო და საგარეუბნო ავტობუსი



25 500
ევროდან

**MST**
გარანტია 1 წელი
"SANKO"-ს ოფიციალური დილერი GT Group
MST-ს ბეკოლოუდერები




46 000
ევროდან

## ფრონტალური-დამტვირთველი:
## 456 HT

JCB
TEGETA CONSTRUCTION EQUIPMENT
JCB-ს ოფიციალური დილერი საქართველოში

ტექნიკის ტიპი: ფრონტალური-დამტვირთველი
მწარმოებელი: JCB (დიდი ბრიტანეთი)
მოდელი: 456 HT
ძრავის სიმძლავრე: 216 ცხ.ძ.
საექსპლუატაციო მასა: 22,79 ტ.
ციცხვის ტევადობა: 3,5 მ³
ტვირთამწეობა: 11 757 კგ.
მიწოდების ვადა: 1 დღე
გარანტია: 1 წელი, სამუშაო საათების შეუზღუდავად.



მიწოდების ვადა 1 დღე

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. E-mail: jcb@tegetamotors.ge
244-744, 895 300-711, 244-744 (1219) www.tegetamotors.ge

### განცხადება
### აუქციონში ცვლილების შესახებ

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2008 წლის 2 დეკემბერს გამოცხადებულ აუქციონში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. ამოღებულ იქნეს აუქციონის მე-3-ე და მე-8-ე ლოტები;
2. ტექნიკური შეცდომის გამო აუქციონის ჩატარების თარიღად მითითებული იქნა 2009 წლის 31 დეკემბერი. შესწორდეს აღნიშნული შეცდომა და აუქციონის ჩატარების თარიღად განისაზღვროს 2008 წლის 31 დეკემბერი.

**დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა**

### საქართველოს პარლამენტის აპარატის განცხადება

საკანცელარიო საქონლის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში (გაზეთი „24 საათი", 22 ოქტომბერი, 2008 წელი, N235) გამოვლინდა გამარჯვებული შპს „ფორმატი" - 45236,50 ლარი, რომელთანაც მიმდინარე წლის 24 ნოემბერს გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება.

**საქართველოს პარლამენტის აპარატის სატენდერო კომისია**

GT GROUP
ჯი-თი ჯგუფი - FordCargo -ს ოფიციალური დილერი საქართველოში
ბოლოყაშვილის 48 ბ, ტელ: 740 740, www.gtgroup.ge









გარანტია 2 წელი
(გარანტია ვრცელდება ყველა დეტალზე)

4 9 000
ევროდან

თქვენს საქმიანობაზე მორგებული სატვირთო ავტომობილი

# სარეკლამო განცხადება აუქციონი

სს ქუთაისის ავტოქარხნის გაკოტრების მმართველი აცხადებს აუქციონს, მოვალის სს ქუთაისის ავტოქარხნის ერთიანი ქონებრივი კომპლექსის გაყიდვის მიზნით.

მოვალის იურიდიული მისამართია: ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის ქ. №88.

მოვალის ქონება მდებარეობს ქ. ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა №88-ში.

მოვალის ქონებას წარმოადგენს მიწის ნაკვეთი, შენობა-ნაგებობები, ინვენტარი, მანქანა-დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები, სასაქონლო მატერილური მარაგი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების: ექსპედიციის , სავაჭრო სახლისა და ავტოაგრეგატსერვისის 100%-იანი წილი.

სულ საწარმოს აქტივების საბალანსო ღირებულება შეადგენს 10 325 654 (ათი მილიონ სამასოცდახუთი ათას ექვსას ორმოცდათოთხმეტი) ლარს.

ქონების საწყისი გასაყიდი ფასია: 12 600 000 (თორმეტი მილიონ ექვსასი ათასი) ლარი.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი ვალდებულია გადაიხადოს ბე , რომლის ოდენობა შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის 10%-ს.

მინიმალური ბიჯი შეადგენს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარს.

აუცქიონში მონაწილის ბილეთის ღირებულება შეადგენს 200 (ორასი) ლარს.

აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს საქართველოს ან უცხო ქვეყნის პირებს.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველთა განაცხადის მიღება წარმოებს აუქციონის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 2008 წლის 24 დეკემბრის 13 საათამდე.

2008 წლის 24 დეკემბრის 13 საათზე განაცხადების მიღება შეწყდება.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველმა ( მონაწილემ ) გაკოტრების მმართველის სახელზე უნდა წარმოადგინოს:

ა) განაცხადი;

ყ) სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე - **საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტიის სადეპოზიტო ანგარიში ბანკი რესპუბლიკა, ანგარიშის 33050001; მფო 220101757; ბანკის კოდი 204856263;** ბე -ს თანხის გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

გ) ბ პუნქტში მითითებულ ანგარიშზე აუქციონის მონაწილის ბილეთის შეძენის ღირებულების გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

დ) განაცხადის შემტანი ფიზიკური პირის შემთხვევაში - პირადობის მოწმობის ქსეროასლი (აუქციონის დღეს თან უნდა იქონიოს პირადობის მოწმობა); იურიდიული პირის შემთხვევაში - სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი.

განაცხადის წარმომადგენლის მეშვეობით შეტანის შემთხვევაგი წარმოდგენილი უნდა იქნეს სანოტარო წესით დამოწმებული რწმუნებულება.

მონაწილეს აუქციონში მონაწილეთ ჟურნალში რეგისტრაციისთანავე გადაეცემა აუქციონში მონაწილის ბილეთი და იღებს აუქციონში მონაწილის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება მონაწილე , რომელიც გამყიდველს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს.

აუქციონში გამარხვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე- **საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტიის სადეპოზიტო ანგარიში ბანკი რესპუბლიკა, ანგარიშის N33050001; მფო 220101757; ბანკის კოდი 204856263** - ჩარიცხოს აუქციონზე მის მიერ დასახელებული თანხა, რის შესახებაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს გაკოტრების მმართველს.

თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთის (ქვითრის) გაკოტრების მმართველთან წარმოდგენიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში ფორმდება ნასყიდობის ხელშეკრულება.

აუქციონში გამარჯვებულს მის მიერ ბე -ს სახით გადახდილი თანხა ჩაეთვლება აუქციონზე დასახელებული თანხის ოდენობაში.

მონაწილეებს , რომლებმაც ვერ შეიძინეს აუქციონზე ქონება - ბე -ს თანხა დაუბრუნდებათ.

თუ აუქციონში გამარჯვებული დადგენილ ვადაში არ გადაიხდის ქონების შესაძენად აუქციონში მის მიერ დასახელებულ თანხას, მასთან არ გაფორმდება ნასყიდობის ხელშეკრულება და გადახდილი ბე არ დაუბრუნდება.

ნებისმიერი პირი უფლებამოსილია გაკოტრების მმართველს მიმართოს აუქციონის თაობაზე დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით.

გასაყიდ ქონებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია **ქ. ქუთაისში, ავტომშენებლის ქ. 88-ში, ყოველდღე, კვირის გარდა 10 საათიდან 17 საათამდე, ტელეფონები: 8(231) 1-22-12; 897-477-700.**

აუქციონი გაიმართება 2008 წლის 24 დეკემბერს, 14 საათზე; მისამართი: ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის 88, სს ქუთაისის ავტოქარხნის ადმინისტრაციის შენობა, მე-3 სართული.

სს ქუთაისის ავტოქარხნის გაკოტრების მმართველი

---

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

„განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 04 დეკემბრის N1071 ბრძანების საფუძველზე შპს „შავნაბადას აკადემიის" სახელობო ცენტრისთვის" სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღად განისაზღვრა 2008 წლის 02 დეკემბერი. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მოუთითოს თავისი ვინაობა".

---

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2008 წლის 24 ნოემბერს დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ „ფერისცვალების დედათა მონასტერთან არსებული მოწყალების ცენტრისთვის" სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მოუთითოს თავისი ვინაობა".

---

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2008 წლის 21 ნოემბერს დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება სსიპ „ქ. ქუთაისის სამუსიკო კოლეჯისათვის" უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მოუთითოს ვინაობა".

---

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

„განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 04 დეკემბრის N1072 ბრძანების საფუძველზე შპს „არგოსთვის" სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღად განისაზღვრა 2008 წლის 02 დეკემბერს. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მოუთითოს თავისი ვინაობა".

---

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2008 წლის 26 ნოემბერს დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება არასამეწარმეო იურიდიული პირი „ჭიათურის სასწავლო ცენტრისთვის" უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მოუთითოს ვინაობა".

---

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაცია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2008 წლის 5 დეკემბრის N105 ბრძანების შესაბამისად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყველა აკადემიური საფეხურისა და უმაღლესი პროფესიული სწავლების სტუდენტებს, რომლებსაც აქვთ წინა სასწავლო წლების სწავლის საფასურის დავალიანება, დავალიანების დაფარვის დამატებითი ვადა განესაზღვრათ 2009 წლის 1 თებერვლამდე. აღნიშნულ ვადაში დარჩენილი სწავლის საფასურის დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში სტუდენტი გაირიცხება უნივერსიტეტიდან.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, მისამართზე - ქ. თბილისი უზნაძის ქ.N52 ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მისამართზე - ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, N6.

**ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.**

---

ჰაიდელბერგცემენტი
HEIDELBERGCEMENT

შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი"
აცხადებს ტენდერს
შემდეგ სახის შესყიდვაზე:

რუსთავის ცემენტის ქარხნისთვის სათადარიგო ნაწილების დამზადებაზე (თანდართული ნახაზების მიხედვით):

**I ლოტი - გრეიფერული 10 ტონიანი ამწეკრანისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილები**

**II ლოტი - ცემენტის და ნედლეულის წისქვილებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილები**

**III ლოტი - თიხის კარიერის მთქვეფარის ვერტიკალური რედუქტორის სათადარიგო ნაწილები**

**IV ლოტი - ნედლეულის საამქროსათვის მილგაყვანილობისათვის საცობიანი ონკანი**

**V ლოტი - სხვადასხვა სამაგრი დეტალები**

დაინტერესებულ პირებს ან კომპანიებს სატენდერო მასალების წაღება შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან, ქვემოთ მოცემულ მისამართზე.

შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი"
წინამძღვრიშვილის N 90, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 47 47 47
+995 77 57 75 12
ელ. ფოსტა: tamriko.darakhvelidze@heidelbergcement.ge
თამარ დარახველიძე

წინადადებების შემოტანის ბოლო ვადაა: 2008 წლის 18 დეკემბერი

# საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განცხადება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების მიზნით

www.privatization.ge

| № | ობიექტის ადგილმდებარეობა | ობიექტის დასახელება | შენობა-ნაგებობების ფართი | მიწის ფართი | „საწყისი გასაყიდი ფასი" (აშშ დოლარი) | „ბე" (აშშ დოლარი) | „ბიჯი" (აშშ დოლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქალაქი მცხეთა,ნარეკვავის დასახლება | შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი | 242 | 2127 | 145 000 | 14 500 | 10 000 |
| 2 | ქალაქი მცხეთა,ნარეკვავის დასახლება | შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი და მოძრავი ქონება (საძირკვლის ბლოკი 25 ცალი, რიგელი 10 ცალი, სიმკარი 2 ცალი | 198 | 1350 | 65 000 | 6 500 | 5 000 |
| 3 | ყაზბეგის რაიონი, დაბა სტეფანწმინდა (დარიალი) | პავილიონის შენობა და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი | | 400 | 8 000 | 800 | 1 000 |
| 4 | თეთრიწყარო, ასურეთი | შენობა-ნაგებობები და მათზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი | საერთო ფართი 416.7 კვ.მ სასარგებლო ფართი 131.76 კვ.მ, დამხმარე ფართი 285 კვ.მ, განაშენიანების ფართი 303.04 კვ.მ | 600 | 20 000 | 2 000 | 1 000 |
| 5 | ქ. ზესტაფონი, სტაროსელსკის ქუჩა | შენობა-ნაგებობები და მათზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი | №1 685<br>№2 89.76<br>№3 141.3<br>№4 108.6<br>სულ 1024.49 | 3601 | 100 000 | 10 000 | 10 000 |
| 6 | ქ. ზესტაფონი, ფარნავაზის ქუჩა №4ა | შენობა-ნაგებობა და მათზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი | 1806 კვ.მ. (დაშენების ფართი 695.25) | 2688.43 | 100 000 | 10 000 | 10 000 |
| 7 | ქ. ზესტაფონი, შათირიშვილის ქუჩა | შენობა-ნაგებობა (საქვაბე) და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი და 32 ერთეული მოძრავი ქონება | 1020 | 3900 | 55 000 | 5 500 | 5 000 |
| 8 | ქ. ზესტაფონი, ნინოშვილის (გაბესაძის) №54 | შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი და მოძრავი ქონება ( 108 ცალი ემალირებული და 1 ცალი მეტალის ღვინის შესანახი ავზები) | | 30000 | 600 000 | 60 000 | 30 000 |
| 9 | ქ. ყვარელი, გოგებაშვილის ქუჩა | შენობა-ნაგებობები და მათზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი | №1 - 295.4<br>№2 - 233.6<br>სულ: 529 | 2397.1 | 25 000 | 2 500 | 1 000 |
| 10 | ლაგოდეხი, თავისუფლების ქუჩა | შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი | დაშენების ფართი 283 | 647.49 | 16 000 | 1 600 | 1 000 |
| 11 | ქ. ქუთაისი, ნიკეას 19 | შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი | 1162.5 | 6640.4 | 230 000 | 23 000 | 10 000 |
| 12 | ქ. კასპი კონსტიტუციის ქუჩა | ჩიხის დემონტაჟის შედეგად დარჩენილი მასალები (შპალები და რელსები) | შპალი ბეტონის - 180 ცალი<br>ხის ამორტიზებული შპალი - 53 ცალი<br>რკინის რელსი - 40 ცალი, მ.შ. 12 ცალი 22 გრძ. მ. ხოლო 28 ცალი 12 გრძ. მ.<br>რკინის რელსი გადასაყვანი ისრებისთვის - 7 ცალი, 7გრძ. მ. | | 50 000 | 5 000 | 5 000 |
| 13 | ქ. თბილისი, დიდი დიღმის დასახლება, III მიკრო რაიონი, კორპ №14 | არასაცხოვრებელი ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი | 32.2 | | 13 000 | 1 300 | 1 000 |
| 14 | ქ. თბილისი, ივანე ჯავახიშვილის მოედანი №13/ჩხეიძის №5 | არასაცხოვრებელი ფართი (შენობის I სართული) და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი | 163.67 | | 110 000 | 11 000 | 10 000 |
| 15 | ქ. თბილისი, ანდრონიკაშვილის I შესახვევი №66 | შენობა-ნაგებობა და მათზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი | 54.9 | 79 | 6 000 | 600 | 1 000 |
| 16 | დაბა ჩხოროწყუ, ცანავას ქუჩა | შენობა-ნაგებობა და მათზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი | 395.5 | 1500 | 25 000 | 2 500 | 1 000 |
| 17 | ქ. თბილისი, ფორე მოსულიშვილის ქ. №1 | შენობა-ნაგებობა (მშენებარე) და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი | | 2930 | 260 000 | 26 000 | 15 000 |
| 18 | ქ. თბილისი, ამირანაშვილის ქ. №8 | შენობა-ნაგებობები და მათზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი | №1 №2 №3 - 270.27 | 936 | 100 000 | 10 000 | 10 000 |
| 19 | ქ. თბილისი, ჭოჭინაძის №29-ის მიმდებარედ | შენობა-ნაგებობები (ნანგრევები) და მათზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი | | 436 | 120 000 | 12 000 | 10 000 |
| 20 | ქ. თბილისი, ორთაჭალის ქ. №57ა | შენობა-ნაგებობა და მათზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი | №1 საერთო ფართით 35.59 კვ.მ და №2 | 60 | 20 000 | 2 000 | 1 000 |
| 21 | ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, №73 III კვარტალი კორპ №1ა | შენობა-ნაგებობა და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი | ძირითადი ფართი 29.92 კვ.მ. , დამხმარე ფართი 26.43 კვ.მ. | | 100 000 | 10 000 | 10 000 |
| 22 | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, მარტყოფის საკრებულო, ვაზიანი | შენობა-ნაგებობები, მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი და მოძრავი ქონება (47 ერთეული) | | 17 414 | 750 000 | 75 000 | 50 000 |
| 23 | ქ. კასპი, კასპი-იგოეთის საავტომობილო გზის მარჯვენა მხარე (ყოფილი ავტომომსახურეობის ამორტიზებული სადგური) | შენობა-ნაგებობები და მათზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი | 168.8 | 2352 | 70 000 | 7 000 | 5 000 |
| 24 | ქ. თბილისი, ლიბანის №13 | შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი | 141.79 | 605 | 50 000 | 5 000 | 5 000 |
| 25 | რუსთავი, ტყეჭალა, წიდასაყრელის მიმდებარე ტერიტორია | არასაცხოვრებელი ფართი და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი | 3114.98 | 9006 | 260 000 | 26 000 | 15 000 |
| 26 | ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის ქ. №12 | შენობა-ნაგებობა და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი | 1157.94 | | 310 000 | 31 000 | 20 000 |
| 27 | ქ. თბილისი, ი. პეტრიწის ქ. №8 | სარდაფი და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი | 117.5 | | 12 000 | 1 200 | 1 000 |
| 28 | ქ. თბილისი, დიღმის მასივი, V კვარტალი, კორპ. 25ა | შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი | 165.8 | | 100 000 | 10 000 | 10 000 |
| 29 | ქ. ახალციხე, ხარზმელის ქუჩის მიმდებარედ | შენობა-ნაგებობა (ყოფილი საქვაბე) და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი | ერთ სართულიანი შენობა-ნაგებობა 345 | 1395 | 20 000 | 2 000 | 1 000 |
| 30 | ქ. თბილისი, ჯიქიას ქუჩა 12 | შენობა-ნაგებობები და მათზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი | №1 №2 №3 №4 | 822 | 220 000 | 22 000 | 10 000 |
| 31 | ქ. თბილისი, ჯიქიას ქუჩა 12 | შენობა-ნაგებობები და მათზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი | №1; №4; №5; №6; №7; №8; №9; ასევე №2 საერთო ფართით 65 კვ.მ. №3 საერთო ფართით 187 კვ.მ №10 საერთო ფართით 1157 კვ.მ | 32 805 | 5 000 000 | 500 000 | 250 000 |
| 32 | ქ. თბილისი, ჯიქიას ქუჩა 12 | შენობა-ნაგებობა და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი | №1 იდან 678.89 კვ.მ. და №2 | | 380 000 | 38 000 | 20 000 |
| 33 | ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზ №41 | შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი | 67.84 | 68 | 15 000 | 1 500 | 1 000 |
| 34 | ქ. თბილისი რ. ლაღიძის ქ. №2/რუსთაველის 27 | არასაცხოვრებელი ფართები და მათზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი | პირველი სართული- 280 კვ.მ სარდაფები -180 კვ.მ, 75 კვ.მ, 154 კვ.მ | | 900 000 | 90 000 | 50 000 |
| 35 | დუშეთი, ჟინვალი-შატილის საავტომობილო გზის 54 კმ | შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი | განაშენიანების ფართი - 880.8 კვ.მ | 1280 | 15 000 | 1 500 | 1 000 |
| 36 | სამტრედია რესპუბლიკის ქუჩა №3 | არასაცხოვრებელი ფართი და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი | 285 | | 40 000 | 4 000 | 2 000 |
| 37 | ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. №56 | ს/ს „დელტა"-ს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 1.47 დოლარიანი ნომინალური ღირებულების 6 755 აქცია (სახელმწიფოს წილი კაპიტალში 1.077650 %) | | | 20 000 | 2 000 | 1 000 |
| განაცხადების მიღების ვადა | | | | 2008 წლის 5 დეკემბრიდან 2009 წლის 5 იანვრის ჩათვლით 14.00სთ-დან 17.00 სთ-მდე (შაბათ-კვირის გარდა) | | | |
| აუქციონის ჩატარების თარიღი | | | | 2009 წლის 5 იანვარს 17:30 სთ. შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქუჩა №12, II სართული | | | |

ობიექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, ჭანტურიას №12-ში, ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.privatization.ge და ტელეფონის ნომრებზე: 893 42 20 02
99 78 81

# მოწვევა წინასაკვალიფიკაციო შერჩევისათვის

საქართველო, თბილისი
აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მესამე პროექტი
კრედიტის ნომერი -------
სატენდერო მოწვევის ნომერი: TEWHIP/CW/ICB-01

**E-60 ავტომაგისტრალის სვენეთი – რუისის მონაკვეთის (კმ 80 – კმ 95) გაუმჯობესება**

1. საქართველომ მიმართა საერთაშორისო განვითარების ასოციაციას (IDA) აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მესამე პროექტისთვის კრედიტის გამოყოფის შესახებ. აღნიშნული კრედიტის გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ამავე ავტომაგისტრალის სვენეთი-რუისის მონაკვეთის (კმ80 კმ95) გაუმჯობესების მიზნით.

2. წინასაკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წინასაკვალიფიკაციო პროცედურების გათვალისწინებით, რომლებიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში: "შესყიდვები განვითარების და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკის სესხებით და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის კრედიტებით" და ღიაა მონაწილეობის უფლების მქონე ნებისმიერი პრეტენდენტისთვის, ზემოხსენებულ სახელმძღვანელოში განსაზღვრული პირობების შესაბამისად. E-60 ავტომაგისტრალის სვენეთი-რუისის მონაკვეთის (კმ80 – კმ95) გასაუმჯობესებლად ძირითადი სამუშაოები განხორციელდება ქვემოთ ჩამოთვლილი სამუშაო კონტრაქტების საერთაშორისო ტენდერის (ICB) პროცედურებით შესყიდვის გზით, რაც მოხდება "განვითარების და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკის სესხების და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის კრედიტების სახელმძღვანელო პრინციპების" (2004 წ. მაისი, კორექტირებულია 2006 წლის ოქტომბერში) 2.4 პარაგრაფში წარმოდგენილ ლოტებად და პაკეტებად დაყოფის პრინციპის თანახმად. ერთი ან ერთზე მეტი ლოტის წინასაკვალიფიკაციო შერჩევაში მონაწილე პრეტენდენტებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ლოტების ნებისმიერ კომბინაციაზე სატენდერო წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში უნდა აკმაყოფილებდნენ წინასაკვალიფიკაციო კრიტერიუმების ჯამურ მაჩვენებელს ლოტების იმ რაოდენობისთვის, რომელზეც განაცხადი კეთდება. თუმცა, დამკვეთი იტოვებს უფლებას, რომ წინამდებარე წინასაკვალიფიკაციო შეტყობინებაში მოცემული თითოეული კონტრაქტისათვის ინდივიდუალურად განახორციელოს სატენდერო პროცესი, რაც დამოკიდებულია გამოსაყენებლად საჭირო სატენდერო დოკუმენტების მზადყოფნაზე.

3. კონტრაქტი №1, TEWHIP/CW/ICB-01, სვენეთი მდ. ლიახვის (მარცხენა ნაპირი) საგზაო მონაკვეთი, კმ 80.0 კმ 84.750: 4 ზოლიანი ავტომაგისტრალის მშენებლობა ორი კვანძის მოწყობით.

კონტრაქტი №2, TEWHIP/CW/ICB-02, მდ. ლიახვი (კმ 84+750 კმ 85+850): მდ. ლიახვზე 877 მ. სიგრძის ორი ახალი ხიდის მშენებლობა 4 ზოლიან ავტომაგისტრალთან მისასვლელი გზების უზრუნველსაყოფად.

კონტრაქტი №3, TEWHIP/CW/ICB-03 ოთარაშენი რუისის საგზაო მონაკვეთი (კმ 85+850 კმ 94+531): 4 ზოლიანი ავტომაგისტრალის მშენებლობა 800 მ. სიგრძის გვირაბის ჩათვლით (ორი გვირაბი, თითო ორ ზოლიანი).

4. წინასაკვალიფიკაციო კონფერენცია ჩატარდება 2008 წლის 26 დეკემბერს, ადგილობრივი დროით 15:00 საათზე ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

5. დაინტერესებულ, უფლებამოსილ განმცხადებლებს შეუძლიათ დამატებითი ინფორმაცია მიიღონ და გაეცნონ წინასაკვალიფიკაციო დოკუმენტებს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში 10:00 საათიდან 18:00 საათამდე (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით). სატენდერო დოკუმენტების მთლიანი პაკეტის ინგლისურ და ქართულ ენაზე შეძენა დაინტერესებული პრეტენდენტებისათვის შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი მიმართვის და არაანაზღაურებადი 200 ლარის ან მისი ეკვივალენტის აშშ. დოლარებში ან ევროში გადახდის შემდეგ. გადახდის ფორმაა პირდაპირი გადარიცხვა შემდეგ ანგარიშზე:

| | |
|---|---|
| *მიმღების დასახელება:* | *ხაზინის ანგარიში* |
| *საიდენტიფიკაციო კოდი:* | *302 003 000* |
| *სალარე ანგარიში:* | *200 122 900* |
| *სავალუტო ანგარიში:* | *001 189 362* |
| *მიმღები ბანკი:* | *საქართველოს ეროვნული ბანკი* |
| *კოდი:* | *220 101 107* |
| *გადასახადის დანიშნულება:* | *წინასაკვალიფიკაციო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის (მიუთითეთ პროექტის დასახელება)* |

მოთხოვნის შემთხვევაში, განმცხადებლებს სატენდერო დოკუმენტები კურიერული ფოსტით გაეგზავნებათ მათი ხარჯებით.

6. განაცხადი წინასაკვალიფიკაციო შერჩევაში მონაწილეობისთვის წარმოდგენილ უნდა იქნეს დალუქული პაკეტებით ქვემოთ მითითებულ მისამართზე არა უგვიანეს 2009 წლის 23 იანვრის $17^{00}$ საათისა და გარკვევით მიეთითოს „კონტრაქტის წინასაკვალიფიკაციო განაცხადი (მიუთითეთ კონტრაქტი ან კონტრაქტები)".

მისამართი:

***საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს***
***საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი,***
***ალ. ყაზბეგის გამზირი №12, 0160 თბილისი, საქართველო***
***I სართული, კანცელარია***

საკონტაქტო პირი:

***ბ-ნი შაქრო ხალვაში, შესყიდვების სამმართველოს უფროსი***
***სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო (IV სართული)***
***ტელ: + (995 32) 37 05 08 დამ. 2-15***
***ფაქსი: + (995 32) 31-30-34***
***ელექტრონული ფოსტა:*** info@georoad.ge და roaddepirakli@yahoo.com
***ვებ-გვერდი:*** www.georoad.ge

**PRE-QUALIFICATION NOTICE**
**Georgia, Tbilisii**
**Third East West Highway Improvement Project**
**CreditNo …..**
**Notice No: TEWHIP/CW/ICB-01**

**Upgrading of Sveneti - Ruisi Section (km 80 - km 95) of E-60 Highway**

1. Georgia is applying for a credit from International Development Association (IDA) toward the cost of the Third East West Highway Improvement Project and intends to apply part of the proceeds to eligible payments for contracts for upgrading Sveneti-Ruisi section (km 80-km 95) of E-60 Highway.

2. Prequalification will be conducted through the prequalification procedures specified in the World Bank's Guidelines: Procurement under IBRD Loans and IDA Credits and is open to all eligible bidders as defined in the guidelines. Main works for upgrading Sveneti-Ruisi section (km 80-km 95) of E-60, will be carried out through ICB procurement of the following list of works contracts, intended to be procured on slice and package basis as described in Paragraph 2.4 of the "Guidelines under IBRD Loans and IDA Credits" (May 2004, Revised October 2006). Applicants applying for prequalification for more than one slice shall be aware that if they will bid for any combination of slices they shall meet the sum of prequalification criteria for the number of slices that they are applying for. However the Client reserves the right of carrying out separate bidding process for each of the contracts included in this PQ depending on readiness and availability of bidding documents.

3.

Contract No. 1, TEWHIP/CW/ICB-01, Sveneti - River Liakhvi (left embankment) road section, km 80.0 - km 84.750: Construction of a 4 lane motorway with two interchanges.

Contract No. 2, TEWHIP/CW/ICB-02, River Liakhvi (km 84+750 - km 85+850): Construction of a 877 meter long two new bridges across the Liakhvi river to support a 4 lane motorway with access roads.

Contract No.3, TEWHIP/CW/ICB-03 Otarasheni - Ruisi road section (km 85+850 - km 94 + 531): Construction of a 4 lane motorway with a 800 meter long tunnel (two tubes, two lanes each).

4. A Prequalification conference will be held on 26 December 2008, 15:00 local time at the address below.

5. Interested eligible applicants may obtain further information and inspect prequalification documentation at RDMED from 10:00 to 18:00 hours (Monday to Friday). A complete set of pre-qualification document in English and Georgian languages may be purchased by interested applicants (a) on the submission of written application to the address below and upon payment of a nonrefundable fee of 200 Georgian Lari or equivalent in USD/EUR. The method of payment will be by direct deposit to the following account:

Name of the recipient: Treasury Account
Identification code: 302 003 000
Account in Georgian Lari: 200 122 900
Account in international currencies: 001 189 362
Recipient bank: National Bank of Georgia
Code: 220 101 107
Purpose of transfer: Pre-Qualification fee for the Roads Department (Insert project name)

If requested, the documents will be sent by courier service at the applicant's expense.

6. Application for prequalification should be delivered in sealed envelopes to the address below by 23 January, 2009 17:00 and clearly marked "Application for prequalification for the Contract (specify the contract or contracts)

Address: Roads Department of the Ministry of Economic Development of Georgia
I-st floor, Reception
Al. Kazbegi Avenue 12, Tbilisi, 0160 Georgia

Attention:
Mr. Shakro Khalvashi
Head of Procurement Division, IV Floor
Tel: + (995 32) 37-05-08 ext.215
Fax: + (995 32) 31-30-34
E-mail: info@georoad.ge and roaddepirakli@yahoo.com
Web Site: www.georoad.ge

01.05.2008